

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა „გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია“

ანა გვეტაძე

ეთნიკური უმცირესობების აკულტურაცია საქართველოში

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე ფირცხალავა,
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი
2023

სარჩევი

აბსტრაქტი -----	V
Abstract -----	VII
შესავალი -----	1
ნაშრომის სტრუქტურა -----	6
თავი 1. აკულტურაციის თეორიული მიმოხილვა -----	8
1.1. აკულტურაციის დეფინიცია -----	8
1.2. აკულტურაციის თეორიები -----	15
1.3. აკულტურაციის გაზომვის ინსტრუმენტები -----	29
1.4. შეჯამება -----	31
თავი 2. კვლევის მიზნები და ჰიპოთეზები -----	33
2.1. კვლევის თეორიული მოდელი -----	33
2.2. კვლევის მიზნები და საკვლევი საკითხები -----	33
2.3. კვლევის ჰიპოთეზები -----	36
თავი 3 - კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება -----	41
თავი 4. კვლევის მეთოდოლოგია -----	43
4.1 კვლევის პროცედურა და საკვლევი ინსტრუმენტები -----	43
4.1.1. პირველი ეტაპი -----	43
4.1.2. მეორე ეტაპი -----	44
4.1.3. მესამე ეტაპი -----	47
4.1.4. მეოთხე ეტაპი -----	48
4.2. შერჩევის მეთოდი -----	50
4.3. კვლევის მონაწილეები -----	52
4.4. ეთიკური საკითხები -----	59
თავი 5. შედეგების აღწერა -----	60
5.1 ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიების განსაზღვრა -----	60
5.2. ეთნიკური უმცირესობების საქართველოში ცხოვრების კონტექსტისა და პრობლემების შეფასება -----	67
5.3. ეთნიკური ქართველების დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების მიმართ -----	80
5.3.1. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კონტაქტები სხვადასხვა ჯგუფთან -----	93

5.3.2. ეთნიკურად ქართველების დამოკიდებულებები რელიგიის მიმართ -----	97
5.3.3. ეთნიკური უმცირესობებისთვის რელიგიის მნიშვნელობა და კავშირი აკულტურაციასთან -----	98
5.3.4 ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში -----	110
5.4. ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიებისა და სხვადასხვა ფაქტორების კორელაციური და რეგრესიული ანალიზი-----	115
5.4.1. აკულტურაციის სტრატეგიების არჩევა სხვადასხვა ასაკისა და განათლების მქონე ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის -----	117
5.4.2. ქართული ენის ცოდნა , როგორც აკულტურაციის სტრატეგიაზე გავლენის მქონე ცვლადი -----	122
5.4.3. პიროვნული ფაქტორების კავშირი აკულტურაციის სტრატეგიებთან -----	124
თავი 6. დასკვნები -----	141
თავი 7. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო რეკომენდაციები-----	147
7.1. კვლევის შეზღუდვები -----	147
7.2. სამომავლო რეკომენდაციები -----	147
ბიბლიოგრაფია -----	149
დანართი 1 - ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული კვლევის კითხვარი (ქართულად)--	165
დანართი 2 - ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული კვლევის კითხვარი (სომხურად)---	179
დანართი 3 - ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული კვლევის კითხვარი (აზერ.)-----	194
დანართი 4 - ეთნიკურად ქართველებთან ჩატარებული კითხვარი -----	206

ცხრილები და ფიგურები

ცხრილები

ცხრილი 1 - აკულტურაციის 8 სავარაუდო შესაძლებლობა.....	18
ცხრილი 2 -აკულტურაციის სტრატეგიები.....	21
ცხრილი 3- კვლევაში მონაწილე ექსპერტები.....	52
ცხრილი 4-ენების ცოდნა.....	54
ცხრილი 5-მონაწილეთა განათლება	54
ცხრილი 6-მონაწილეთა სქესი	55
ცხრილი 7 - აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანი ეროვნების მიხედვით.....	63
ცხრილი 8 - ეთნოსების დახასიათება	82
ცხრილი 9 -სოციალური დისტანციის სასურველი დონე ქართველებისთვის	87
ცხრილი 10 -სოციალური დისტანციის სასურველი დონე განათლების მიხედვით	88
ცხრილი 11 - სოციალური დისტანციის სასურველი დონე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.....	89
ცხრილი 12 -სოციალური დისტანციის სასურველი დონე რეგიონის მიხედვით.....	90
ცხრილი 13 - სოციალური დისტანციის სასურველი დონე დომინანტ და უმცირესობათა ჯგუფისთვის	95
ცხრილი 14 - სოციალური დისტანციის სასურველი დონე რუსებისა და თურქებისთვის.....	96
ცხრილი 15 - ეთნიკურად ქართველებისგან კონტაქტის შეფასება	99
ცხრილი 16 - ინტეგრაცია და მარგინალიზაცია აღმსარებლობის მიხედვით.....	101
ცხრილი 17 - რელიგიურობა განათლების მიხედვით.....	102
ცხრილი 18 - ინტეგრაცია და მარგინალიზაცია რელიგიის მიხედვით	104
ცხრილი 19 - რელიგიის მნიშვნელობა განათლების მიხედვით	105
ცხრილი 20 - მარგინალიზაცია რელიგიის მნიშვნელობის მიხედვით	105
ცხრილი 21 - სეპარაცია, ინტეგრაცია და მარგინალიზაცია სალოცავად სიარულის მიხედვით	107
ცხრილი 22 - მარგინალიზაცია რელიგიური რიტუალების შესრულების მიხედვით	108
ცხრილი 23 - რელიგიის მიმართ დამოკიდებულება ეთნოსების მიხედვით	108
ცხრილი 24 - ასიმილაცია, სეპარაცია და მარგინალიზაცია რელიგიის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით.....	109
ცხრილი 25 - ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების შეფასება ეთნიკურად ქართველების მიერ.....	113
ცხრილი 26 - კორელაციური ანალიზი.....	115
ცხრილი 27 - აკულტურაციის სტრატეგიები ასაკობრივ ჭრილში	119
ცხრილი 28 - აკულტურაციის სტრატეგიები განათლების მიხედვით.....	121
ცხრილი 29 - ქართული ენის ცოდნა ასაკის მიხედვით.....	123
ცხრილი 30 - აკულტურაციის სტრატეგიები ქართული ენის ცოდნის მიხედვით	123
ცხრილი 31 - ასიმილაცია და მარგინალიზაცია მართობის მაჩვენებლის მიხედვით	126
ცხრილი 32 - სეპარაცია, ინტეგრაცია, მარგინალიზაცია ცხოვრების ორიენტაციის მიხედვით	127
ცხრილი 33 - აკულტურაციის სტრატეგიები კონტროლის ლოკუსის მიხედვით.....	127
ცხრილი 34 - ინტეგრაცია და მარგინალიზაცია თვითშეფასების მიხედვით	128
ცხრილი 35 - ინტეგრაციის სტრატეგიის რეგრესიული ანალიზი.....	129

ცხრილი 36 - ინტეგრაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი (პიროვნული მახასიათებლები) ეთნიკურად სომხებისთვის	130
ცხრილი 37 - ეთნიკურად სომხების ინტეგრაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი.....	131
ცხრილი 38 - ინტეგრაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის.....	131
ცხრილი 39 - ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი.....	132
ცხრილი 40 - ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით	133
ცხრილი 41 - ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით ეთნიკურად სომხებისთვის.....	133
ცხრილი 42 - ეთნიკურად სომხებისთვის ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი	134
ცხრილი 43 - ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი	135
ცხრილი 44 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი.....	135
ცხრილი 45 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით.....	136
ცხრილი 46 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით ეთნიკურად სომხებისთვის	136
ცხრილი 47 - სეპარაციის სტრატეგიის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად სომხებისთვის.	137
ცხრილი 48 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის.....	138
ცხრილი 49 - მარგინალიზაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი	138
ცხრილი 50 - მარგინალიზაციის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად სომხებისთვის	139

ფიგურები

ფიგურა 1 - აკულტურაციის მოდელი	22
ფიგურა 2- ბერისა და ბოურისის მოდელის შედარება.....	32
ფიგურა 3 - მონაწილეთა ასაკობრივი გადანაწილება.....	53
ფიგურა 4 -მონაწილეთა ასაკი.....	55
ფიგურა 5 -მონაწილეთა სქესისა და ასაკის შეფარდება	56
ფიგურა 6 - მონაწილეთა განათლება	56
ფიგურა 7 - მონაწილეთა მატერიალური მდგომარეობა	57
ფიგურა 8 - მონაწილეთა აღმსარებლობა	57
ფიგურა 9 -მონაწილეთა რეგიონის მიხედვით გადანაწილება	58

აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხილულია ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიები საქართველოს კონტექსტში. საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც თავს კომპაქტურად იყრიან საქართველოს რამდენიმე რეგიონში. ორი ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელიც საქართველოში კომპაქტურად არის დასახლებული, არიან სომხები და აზერბაიჯანელები. საქართველოში ცხოვრების სპეციფიკისა და ეთნიკური ჯგუფების კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, უმცირესობების ჯგუფებს ექმნებათ სხვადასხვა ტიპის პრობლემა ინტეგრაციის პროცესში. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შეისწავლოს საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების აკულტურაციის სტრატეგიები. დისერტაციაში ნაკვლევია აკულტურაცია, როგორც ორმხრივი პროცესი, ორი თეორიის ფარგლებში აკულტურაციის კონტექსტუალური მოდელი (Berry, 1997, 2005) და აკულტურაციის ინტერაქციული მოდელი (IAM) (Bourhis et. al., 1997). კვლევაში ყურადღება გამახვილებულია აკულტურაციის, როგორც პროცესის ორ მონაწილეზე - როგორც არადომინანტი, ასევე დომინანტი კულტურის მოლოდინებსა და ატიტუდებზე აკულტურაციის სტრატეგიის არჩევის პროცესში. თეორიული ჩარჩოს მიხედვით, აკულტურაციაზე მოქმედებს არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების თავისებურებები და მოტივაცია, არამედ დამხვედრი (დომინანტი) კულტურის ატიტუდები და ეს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, ინდივიდის მიერ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევის პროცესს.

სადისერტაციო კვლევა იყენებს შერეულ მეთოდებს - კვლევის როგორც თვისებრივ (სიღრმისეული ინტერვიუები) და ასევე რაოდენობრივ მეთოდებს (გამოკითხვა). მეთოდოლოგიურად, პირველ ეტაპზე სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა თემის 15 დარგობრივ ექსპერტთან, შემდეგ ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 452-მა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა. მესამე ეტაპზე მიღებული რაოდენობრივი მონაცემების სიღრმისეული გაანალიზებისთვის, ჩატარდა 42 ინტერვიუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. ბოლო ეტაპზე თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით,

აკულტურაციის პროცესში მონაწილე მეორე მხარის, დომინანტი კულტურის ატიტუდების დადგენის მიზნით, განხორციელდა ეთნიკურად ქართველების რაოდენობრივი გამოკითხვა რომელშიც მთელი საქართველოს მასშტაბით, გამოკითხა 1200 რესპონდენტი. კვლევა ჩატარდა ეთიკური სტანდარტების დაცვით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აკულტურაციის სტრატეგიების არჩევანი განსხვავებულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა (სომხებსა და აზერბაიჯანელებს) შორის, ისევე, როგორც განსხვავებული აღმოჩნდა ეთნიკურად ქართველების დამოკიდებულებები უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. ქართველებს ბევრად დადებითი დამოკიდებულება აქვთ ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ და უარყოფითად აფასებენ ეთნიკურ სომხებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეთნიკური სომხები უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციის, ხოლო ეთნიკური აზერბაიჯანელები სეპარაციის სტრატეგიას საქართველოში, რაც ეწინააღმდეგება აკულტურაციის კონტექსტუალურ მოდელსა (Berry, 1997, 2005) და აკულტურაციის ინტერაქციულ მოდელს (IAM) (Bourhis et. al., 1997), რომ დამხვედრი კულტურის ატიტუდები გავლენას ახდენს უმცირესობათა ჯგუფის მიერ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანი კავშირშია უფრო მეტად ისეთ ფაქტორებთან, როგორცაა უმცირესობათა ასაკი, განათლება, ქართული ენის ცოდნა, თვითშეფასება, მართობა და კონტროლის ლოკუსი. კვლევის სიახლეს წარმოადგენს აკულტურაციის, როგორც ორმხრივი მოდელის გამოყენება საქართველოს კონტექსტში და პირველად იქნა ამ მიზნით შესწავლილი ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებები ეთნიკური უმცირესობების მიმართ. კვლევის გამოყენებითი ხასიათის გათვალისწინებით, შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების თემაზე მომუშავე პოლიტიკის განმსაზღვრელი ინსტიტუტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: აკულტურაციის სტრატეგიები, სომხები, აზერბაიჯანელები, ინტეგრაცია, ასიმილაცია, მარგინალიზაცია, სეპარაცია

Abstract

This thesis focuses on the acculturation strategies of ethnic minorities within Georgia, a multicultural country with various ethnic and religious groups coexisting in concentrated regions. The two largest ethnic groups in Georgia are the Armenians and Azeris, and due to the specific nature of living in Georgia and the cultural characteristics of these ethnic groups, minority communities face diverse challenges during the integration process. The objective of this thesis is to investigate the acculturation strategies employed by Armenians and Azeris residing in Georgia, drawing upon two theoretical frameworks: Berry's contextual model of acculturation (1997, 2005) and the interactional model of acculturation (IAM) proposed by Bourhis et al. (1997).

The thesis employs a mixed methods approach, consisting of both qualitative (in-depth interviews) and quantitative (survey) research methodologies. The initial stage involves conducting in-depth interviews with 15 field experts in the field, followed by a quantitative survey administered to representatives of ethnic minorities, with a participation rate of 452 individuals. To further analyze the quantitative data collected, 42 interviews are conducted with ethnic minorities. In the last phase, a quantitative survey is carried out among individuals of the ethnic Georgian population to assess their attitudes towards Armenians and Azeris.

The findings of this study reveal variations in the choice of acculturation strategies among ethnic minorities (Armenians and Azeris) residing in Georgia, as well as distinct attitudes of ethnic Georgians towards different minority groups. Ethnic Georgians demonstrate more positive attitudes towards ethnic Azeris, whereas they hold negative perceptions of ethnic Armenians. However, despite these attitudes, ethnic Armenians tend to prefer integration as their acculturation strategy, whereas ethnic Azeris lean towards separation. The research identifies factors such as age, education, proficiency in the Georgian language, self-esteem, loneliness, and locus of control as closely associated with the selection of acculturation strategies.

The research novelty lies in the application of a bidirectional acculturation model within the context of Georgia, along with the first-time assessment of ethnic Georgians' attitudes towards

ethnic minorities. Given the practical nature of this research, specific recommendations are formulated for policymaking institutions engaged in the field of ethnic minority affairs.

Keywords: acculturation strategies, Armenians, Azeris, integration, assimilation, marginalization, separation.

შესავალი

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია. 2009 წელს, გაერთიანებული ერების უმაღლესმა კომისარმა ადამიანის უფლებების საკითხში, ნავანეთემ ფილიმ (Pillay, 2009) განაცხადა, რომ „მსოფლიოს ყველა რეგიონში უმცირესობები განიცდიან საფრთხეებს, დისკრიმინაციას, რასიზმს და ისინი ვერ მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნისა და საზოგადოების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში“ (CIPDD, 2011). მტრული და ქსენოფობიური დამოკიდებულებები, სიძულვილის ენა სოციალურ ქსელებში კვლავ შეინიშნება რამდენიმე ქვეყანაში, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმართ (Laub, 2019). ემიგრანტები აღიქმებიან, როგორც საფრთხე ერის სოციალური უსაფრთხოებისა და კულტურული ერთიანობისთვის (Velasco-González et al., 2008). ამ კონტექსტში, მულტიკულტურალიზმისა და იმიგრაციისადმი დამოკიდებულების გაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ჯგუფთაშორისი პოზიტიური ურთიერთობების გასაძლიერებლად. კულტურათაშორისი ურთიერთობების წარმატებული მართვა მოითხოვს იმ ფსიქოლოგიური პროცესების ღრმა გააზრებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ფენომენებზე სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში (Stogianni et.al, 2023).

საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა, ისტორიული წყაროების (მაისურაძე, 1999, ვადაჭკორია, 2003, თეთვაძე, 1998, ჯაოშვილი, 1996) მიხედვით, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ადამიანები. ეს ფაქტი ისტორიულ მოცემულობად მიიჩნევა და აქედან გამომდინარეობს გავრცელებული შეხედულება, რომ „ქართველი ერი ტოლერანტი ერია“, ვინაიდან მის ტერიტორიაზე საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრობენ განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები (უმცირესობები).

ტერმინ „უმცირესობას“ სხვადასხვა განმარტება აქვს. ერთ-ერთი განსაზღვრება, რომელიც საკმაოდ ხშირად გამოიყენება, არის ფრანჩესკო კაპოტორტის (Capotorti, 1979), რომლის მიხედვითაც „უმცირესობა“ არის „ჯგუფი, რომელიც რაოდენობრივად

უმცირესობაშია ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, არ აქვს დომინანტური პოზიცია, ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ახასიათებთ უმრავლესობისგან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები და იმპლიციტურად გამოხატავენ სოლიდარობას, რომელიც პირადაპირ მიმართულია თავიანთი კულტურის, ტრადიციების, რელიგიისა და ენის შენარჩუნებაზე“ (გვ. 19).

თანამედროვე საქართველოშიც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, კომპაქტურად ჩასახლების რეგიონებში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ყოველი მეორე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. 2014 წლის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 86.8% ქართველია, 6.3% – აზერბაიჯანელი, ხოლო 4.5% - ეთნიკურად სომეხი მოქალაქეები არიან, დანარჩენს ეთნიკურად რუსები – 0.7%, ოსები – 0.4%, იეზიდები – 0.3%, უკრაინელები – 0.2%, ქისტები – 0.2%, ბერძნები – 0.1%, ასირიელები – 0.1% (სხვა _ 0.4%) შეადგენენ (GeoStat, 2014).

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რაზეც მეტყველებს საქართველოს მთავრობის დადგენილება (N.356) “სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგია“ (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს მინისტრის აპარატი, 2021), სადაც ხაზგასმულია, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ქვეყნის განვითარებისთვისა და თანასწორობის ჩამოყალიბებისთვის; თუმცა მიუხედავად დომინანტურ ჯგუფთან მრავალწლიანი თანაცხოვრებისა, დღეს ხშირად ვხვდებით რელიგიურ თუ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც ხან სამართლებრივი დავის, ხან საზოგადოებრივი უკმაყოფილებისა და ხშირად დაპირისპირების საგანია (CIPDD, 2011). ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია ქართული დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. ბოლო ათწლეულების მანძილზე, არაერთი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელდა ამ მიმართულებით, მათ შორის ქართული ენის შესასწავლად და უმაღლესი განათლების

მისაღებად შემუშავებული სხვადასხვა საშეღავათო პროგრამა, ერთ-ერთი მათგანი არის „1+4“ პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ერთწლიან მომზადებას გულისხმობს ქართულ ენაზე არსებულ საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013). მნიშვნელოვანი წინსვლა უმცირესობათა ინტეგრაციის და ჩართულობის თვალსაზრისით, არ შეინიშნება. სახელმწიფო ენის არასათანადო დონეზე ცოდნა, რეგიონული იზოლაცია, გარკვეული ჯგუფების მარგინალიზაცია, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური და სოციალური მონაწილეობა, მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფებისათვის კულტურული და ლინგვისტური თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემები, კვლავ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ საკითხებს წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის (ACICC¹, 2012).

მდგრადი მექანიზმები იმისთვის, რომ უმცირესობებმა თავი იგრძნონ საზოგადოების განუყრელ ნაწილად საქართველოში, ჯერ კიდევ განვითარების გზაზეა. ამას ემატება, უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობების ისტორიულ სამშობლოსთან მიბმულობის მაღალი ხარისხი, მეზობელი ქვეყნების (საკუთარი ეთნიკური სამშობლოს) საინფორმაციო წყაროებზე დამოკიდებულება და სახელმწიფო ენის არცოდნა (CIPDD, 2011). სახელმწიფოში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე, სახელმწიფო ენის არცოდნა, წარმოადგენს სერიოზულ შეზღუდვას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დასაქმების მიმართულებით, რაც ზრდის უკმაყოფილებას და ქვეყნის დატოვების მოტივაციას. ასევე, სახელმწიფო ენის არასათანადო დონეზე ცოდნა განაპირობებს უმცირესობების სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდულობას (CIPDD, 2011).

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოში, ეთნიკური უმცირესობა, დომინანტ კულტურასთან თანაცხოვრებისას სხვადასხვა სტრატეგიას ირჩევს, ამ პროცესებსა და ცვლილებებს ეწოდება აკულტურაცია, რომელიც მოიცავს 4 განსხვავებულ სტრატეგიას (ინტეგრაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია და ასიმილაცია) (Sam & Berry, 2006). ახალ გარემოში ცხოვრების გაგრძელებისთვის, ინტეგრაცია ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზად არის

¹ Analytical Center for Interethnic Cooperation and Consultations

მიჩნეული (Berry, 1997)² ინტეგრაცია შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც აკულტურაციის ერთ-ერთი სტრატეგია, რომელსაც უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელმა შესაძლოა მიმართოს, როდესაც ის ხვდება უცხო კულტურაში (Sam & Berry, 2006), ის დაკავშირებულია ეთნიკური უმცირესობების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან (Rogler, et.al., 1991; Suinn et. al, 1987). მკვლევრები (Sam., Berry 2006; Berry 2001; Sammut 2010; Padilla, 1980) ხაზს უსვამენ ფაქტორებს, რომლებიც ინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობად შეიძლება დასახელდეს, მაგალითად, მასპინძელი საზოგადოების - ენისა და კულტურის შესწავლის სურვილი, მასპინძლის კულტურის ღირებულებებთან შეგუება (ფირცხალავა, 2017).

ახალ გარემოში სტუმარი საზოგადოების მასპინძელ საზოგადოებაში ადაპტაციისა და ინტეგრაციის მკვლევრები (Gordon, 1964; Berry, 1960; Pettigrew, 1974; Portes, 1970, Rex, 1960, Benet-Martinez & Haritatos, 2005; Schwartz et.al., 2007; Tadmor & Tetlock, 2006) ხაზს უსვამენ აკულტურაციის, ანუ კულტურათა ურთიერთგავლენის პროცესებს, როდესაც ერთი კულტურა, ან ხალხი მთლიანად ან ნაწილობრივ, ითვისებს სხვა კულტურის ან ხალხის ქცევას და კულტურულ ნორმებს. აკულტურაციის პროცესი დომინანტური (მასპინძელი) და არადომინანტური (სტუმარი) ჯგუფების ურთიერთქმედებაა, რომელიც სხვადასხვა მამოტივირებელ ფაქტორზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ამ ურთიერთქმედების პროცესში ორივე ჯგუფის მიერ მუშავდება ცალკეული სტრატეგიები.

21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიურმა პროგრესმა კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახადა აკულტურაციის საკითხი, რადგან არადომინანტური კულტურის წარმომადგენლებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ყოველდღიური კონტაქტების დამყარება მშობლიური კულტურის წარმომადგენლებთან. შესაბამისად, უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა შეინარჩუნონ კონტაქტები მშობლიურ კულტურასთან (Esman, 2009).

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმატებული ინტეგრაციისა და ადაპტაციის საკითხი, მნიშვნელოვანია მსოფლიო მასშტაბით, ისევე, როგორც საქართველოსთვის, რადგან საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13%

² Berry, J. W. 1997. Immigration, acculturation and adaptation. *Applied Psychology: An International Review*, 46(1), 5-68

არის ეთნიკური უმცირეების წარმომადგენელი და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აკულტურაციის, როგორც ორმხრივი ფენომენის შესწავლაზე და გამოიკვეთოს ინტეგრაციის პროცესის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები.

მოცემული სადოქტორო ნაშრომის მიზანია შეისწავლოს აკულტურაცია, როგორც ორმხრივი პროცესი, აკულტურაციის კონტექსტუალური მოდელისა (Berry, 1997, 2005) და აკულტურაციის ინტერაქციული მოდელის (IAM) (Bourhis et. al., 1997) ფარგლებში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ამ პროცესის ორ მონაწილეზე - როგორც არადომინანტი, ასევე დომინანტი კულტურის მოლოდინებსა და ატიტუდებზე აკულტურაციის სტრატეგიის არჩევის პროცესში.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ორ ყველაზე დიდ ჯგუფს მიეკუთვნებიან ეთნიკური სომხები და ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც ძირითადად, კომპაქტურად არიან დასახლებულნი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ხოლო ყველაზე დიდი რაოდენობით ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის მხარეში (GeoStat, 2014). სადისერტაციო ნაშრომი ფოკუსირებულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების მიერ არჩეული აკულტურაციის სტრატეგიის განსაზღვრაზე, ასევე იმ გარემოებების დადგენაზე, რომლებიც ხელს უწყობს ან უშლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აკულტურაციის სტრატეგიებიდან ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევაში.

ნაშრომში ნაკვლევია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების (არადომინანტური ჯგუფი), კერძოდ, ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების მიერ საქართველოში ცხოვრებისთვის შერჩეული აკულტურაციის სტრატეგიები და ასევე, შესწავლილია ეთნიკურად ქართველების (დომინანტური ჯგუფის) ატიტუდები, დამოკიდებულებები უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ.

აღნიშნული საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგანაც ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის, როგორც ორმხრივი ფენომენის მეცნიერული

შესწავლა და აკულტურაციის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების განსაზღვრა, არ განხორციელებულა საქართველოში. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და სოციალური ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის მიმართულებით ინტერვენციების დასაგეგმად.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება 7 თავისგან.

პირველ თავში განხილულია აკულტურაციის მიმართულებით არსებული ძირითადი მიდგომები და თეორიები. ასევე, აკულტურაციის საკვლევ ინსტრუმენტები.

მეორე თავი ეხება სადოქტორო ნაშრომის თეორიულ მოდელს, თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით კვლევის მიზნების, ამოცანებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას.

მესამე თავში მოცემულია კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება.

მეოთხე თავში მიმოხილულია კვლევის მეთოდოლოგია, შერჩევა და ეთიკური სტანდარტები.

მეხუთე თავი ეთმობა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების განხილვას და ანალიზს.

მექვსვე თავში მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები.

დასასრულს, განხილულია კვლევის შეზღუდვები და შესასწავლი საკითხის ირგვლივ სამომავლო კვლევების განხორციელებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

პირველი ნაწილის უმთავრესი მიზანი იყო თემის დარგობრივი ექსპერტებისგან მიგველო შესაბამისი ცოდნა ეთნიკური უმცირესობების საქართველოში ცხოვრების გამოცდილების შესახებ, და გაგნგვესაზღვრა ის ძირითადი პრობლემები, რომელსაც ისინი აწყდებიან საქართველოში ცხოვრებისას. მეორე ეტაპის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ეთნიკური უმცირესობების მიერ საქართველოში ცხოვრების პროცესში

შერჩეული აკულტურაციის სტრატეგიების გაზომვა, გარკვევა, ხოლო მესამე ეტაპზე სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით, რაოდენობრივი კვლევით მიღებული მონაცემების ინტერპრეტირება ეთნიკური უმცირესობებისგან მათი საქართველოში ცხოვრებისა და აკულტურაციის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის საფუძველზე მიღება. და ბოლოს, მეოთხე ეტაპზე განხორციელდა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა საქართველოში მცხოვრები - ეთნიკურად ქართველების ეთნიკური კვლევა ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებების განსაზღვრავად .ის მიზნით.

ნაშრომის სტრუქტურად განისაზღვრა კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, ერთ საკითხზე მიღებული შედეგების ერთობლივად წარმოდგენა (მაგალითად, რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგების წარდგენა ერთ თავში), რათა კონკრეტულ საკითხზე მომხდარიყო სიღრმისეული მსჯელობა და უფრო ნათელი ყოფილიყო თითოეულ საკითხთან დაკავშირებული დასკვნები.

თავი 1. აკულტურაციის თეორიული მიმოხილვა

1.1. აკულტურაციის დეფინიცია

ორ კულტურას შორის ურთიერთკავშირები არ არის ახალი ფენომენი. სხვადასხვა კულტურის შეხვედრები და შეხვედრების ურთიერთგავლენით გამოწვეული ცვლილებები არის ის, რასაც ეწოდება აკულტურაცია (Sam & Berry, 2006).

აკულტურაცია და მისი შესწავლა, ერთი შეხედვით, შეიძლება თანამედროვეობის კვლევის თემად აღვიქვათ, თუმცა იგი ათწლეულების განმავლობაში იყო მეცნიერთა ყურადღების ცენტრში (Adler, 1975; Redfield et. al., 1936; Richardson, 1957; Thomas & Znanieck, 1918; van Osch & Breugelmans, 2012; Ward & Kennedy, 1994). ამ ფენომენზე შეიქმნა მრავალი თეორია, მაგალითად, მილტონ გორდონის (Gordon, 1964) ასიმილაციის თეორია, აკულტურაციის მრავალგანზომილებიანი მოდელი (Ward, 2001), აკულტურაციის სტრატეგიების მოდელი (Sam & Berry, 2006), ინტერაქციული მოდელი (Bourhis et. al., 1997) და ა.შ. თუმცა რთულია ვთქვათ, თუ რომელი მოდელი აღწერს და ზომავს აკულტურაციას ყველაზე ზუსტად (Reise & Yu, 2001, Kang, 2006).

პირველ რიგში განვიხილოთ აკულტურაციის სხვადასხვა დეფინიცია, რომელსაც ხშირად არასწორად ხმარობენ და /ან იყენებენ ასიმილაციის პროცესის აღწერის ნაცვლად (Sam & Berry 2006).

ტერმინი აკულტურაცია თავდაპირველად ამერიკულ ანთროპოლოგიაში გაჩნდა. ის პირველად ჯონ უესლი პაუელმა (Powell, 1883) გამოიყენა ამერიკული ეთნოგრაფიის ბიუროს ანგარიშში და აკულტურაცია განმარტა, როგორც ფსიქოლოგიური ცვლილებები, რომელიც გამოწვეულია კულტურების მიბაძვით (Boas et. Al., 1993). 1883 წელს პაუელმა (Powell) განმარტა, რომ აკულტურაცია არის ფსიქოლოგიური ევოლუციის პროცესი, რომელსაც იყენებენ ე.წ. „პრიმიტიული“ ადამიანები, რათა მოახდინონ შედარებით განვითარებული საზოგადოების უნარების, ტექნოლოგიური წინსვლისა და იდეების იმიტირება. მისი განმარტებით, აკულტურაციის დროს, შედარებით კულტურულად განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ჯგუფები, გადიან სუბიექტური შეგუების პროცესს, უფრო „მაღალი დონის“ კულტურასთან და ავარჯიშებენ გონებას იმავე ფიზიკურ აქტივობებში. პაუელმა (Powell, 1883) არ განსაზღვრა, თუ რა იგულისხმებოდა კულტურის „მაღალი“ და „დაბალი“

განვითარების დონეებში. ინდუსტრიულ ეპოქაში ეს განსხვავებები დამოკიდებული იყო იმ სტერეოტიპებსა და ცრურწმენებზე, რომელსაც კულტურული ჯგუფი იზიარებდა და განსაზღვრავდა კონკრეტულ მახასიათებლებს, როგორც განვითარებულს. ეს მახასიათებლები ძირითადად, დაფუძნებული იყო კულტურის ეკონომიკურ განვითარებასა და სამხედრო ძალაზე. ამ მოდელის მიხედვით, აკულტურაციას მხოლოდ „პრიმიტიული“ ჯგუფები გადიან და განვითარებული ჯგუფის წარმომადგენელი არ გადის აკულტურაციის პროცესს (Schwartz & Unger, 2017). შესაბამისად, ანთროპოლოგებისთვის აკულტურაციის პროცესი წარმოადგენდა პროგრესისთვის სწრაფვას, ნაკლებად განვითარებული კულტურის მხრიდან (Powell, 1883).

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ღრმავდება ინტერესი აკულტურაციის კვლევის მიმართ. თუმცა, აღინიშნება სირთულეები აკულტურაციის შესახებ ემპირიული კვლევის დაგროვებასა და კულტურული კონტაქტის შედეგად მიღებული ცვლილების პროცესში ჩართული ცენტრალური ცნებების სისტემატიზაციისა და კოდირების თეორიის შემუშავებას შორის (Ward, 1996). ამიტომაც აკულტურაციის ტერმინის შენაცვლებით ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი, როგორცაა მორგება, ადაპტაცია და ასიმილაცია (Searle & Ward, 1990), ან ამ ტერმინებს განიხილავენ, როგორც ურთიერთდამოკიდებულს (Sayegh & Lasry, 1993).

მე-20 საუკუნის ადრეულ წლებში, ედვარდ როსი (Ross, 1920) იყენებდა ისტორიულ მაგალითებს და ბიოლოგიურ მეტაფორებს, რათა დაედგინა „როგორ ახდენდნენ განსხვავებული ეთნიკური ელემენტები ადაპტაციას ერთმანეთთან“ (p. 224). მან ამ პროცესის ასახსნელად გამოიყენა ისეთი ტერმინები, როგორცაა აკომოდაცია, ტოლერანტობა და კომპრომისი. ასევე, მე-20 საუკუნის დასაწყისში სხვა მეცნიერებიც (Berkson, 1920; Bartlett, 1923; Miller, 1924; Park, 1928; Thurnwald, 1932; Hoffman, 1934, Brown, 1934 და სხვა) განსხვავებულ კონტექსტში ცდილობდნენ აკულტურაციის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას.

სტენლი ჰოლი (Hall, 1904) მიიჩნევა პირველ ფსიქოლოგად, რომელმაც დაწერა აკულტურაციის შესახებ, თუმცა პირველი ფსიქოლოგიური თეორიის ავტორები იყვნენ ტომასი და ზნანეცკი (Thomas & Znaniecki 1987, p. 45). ისინი აღნიშნავენ, რომ

კულტურა შედგება გაზიარებული ცნობიერი პროცესებისგან, მაგალითად, როგორცაა ჩვევები, ასოციაციები, ატიტუდები და რწმენები, რომელსაც მოიხსენიებდნენ, როგორც სქემებს, რადგან ისინი სასარგებლო არის სტაბილურ სოციალურ გარემოში. მათ მიხედვით, „კრეატიული ადამიანი ცვლის თავის კულტურულ სქემას იმისთვის, რომ გააფართოოს მის გარემოში კონტროლი და ადაპტაცია გაიაროს მის მიზნებთან, რომ სოციალური რეალობის სფერო გაზარდოს“ (Thomas & Znaniecki 1987, p. 1856).

1936 წელს რედფილდმა, ლინტონმა და ჰერკოვიცმა (Redfield, Linton & Herskovits, 1936), შემოგვთავაზეს აკულტურაციის პირველი კლასიკური განმარტება, მათ აკულტურაცია განსაზღვრეს შემდეგნაირად: „აკულტურაცია არის ის ფენომენი, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებს უწევთ ისეთი განმეორებადი პირისპირ შეხვედრები ერთმანეთთან, რომელიც იწვევს შემდგომ ცვლილებებს ერთ-ერთ ან ორივე ჯგუფში“ (Redfield et.al., 1936; pp. 149-152). ამ განსაზღვრების მიხედვით, აკულტურაცია და კულტურული ცვლილებები არის განსხვავებული ფენომენი. კულტურული ცვლილებები წარმოადგენს მხოლოდ აკულტურაციის ერთ კონკრეტულ ასპექტს და ასიმილაცია არის განხილული, როგორც აკულტურაციის ერთ-ერთი ფაზა. რედფილდმა (Redfield) და მისმა კოლეგებმა, 1936 წელს შემოგვთავაზეს აკულტურაციის განმარტების განსხვავებული ფორმულირებაც, რომელიც სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საბჭოს (Social Science Research Council, p. 974) მიერ 1954 წელს გამოქვეყნდა. განსხვავებულ ფორმულირებაში აკულტურაცია განსაზღვრულია, როგორც კულტურული ცვლილება, რომელიც გამოწვეული არის ორი ან მეტი ავტონომიური კულტურის სისტემების კავშირით, ხოლო აკულტურაციული ცვლილება შესაძლებელია გამოწვეული იყოს კულტურების კონტაქტის შედეგად, პირდაპირი კულტურული გადაცემით. ცვლილება შესაძლებელია, ასევე, გამოწვეული იყოს ისეთი მიზეზებითაც, რომელიც არ არის კულტურასთან პირდაპირ კავშირში, მაგალითად, როგორცაა ეკოლოგია და დემოგრაფიული მოდიფიკაცია და შესაძლოა კავშირში იყოს თავად დამხვედრ კულტურასთან. აკულტურაციული ცვლილება შეიძლება შეფერხდეს, ისევე, როგორც ინტერნალური ცვლილებები და შეგუების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია დამხვედრი კულტურის პატერნებისა და

ჩვევების მიღებასთან; ასევე, შესაძლოა წარიმართოს, როგორც ცხოვრების ტრადიციული მოდელების რეაქტიული ადაპტაცია. მისი დინამიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფასეულობათა სისტემების შერჩევითი ადაპტაცია, ინტეგრაციისა და დიფერენციაციის პროცესები, განვითარების პროცესების წარმოქმნა და როლური დეტერმინანტებისა და პიროვნული ფაქტორების მოქმედება (Rudmin, 2009).

ამ განმარტებების მიხედვით, აკულტურაცია მოიცავს კონტაქტს, უმცირესობათა მიერ უმრავლესობასთან კონტაქტის პროცესსა და მათ შინაგან მდგომარეობას, ანუ საჭიროა იყოს უზრუნველყოფილი დინამიური კონტაქტები კულტურათა შორის, პირისპირ კონტაქტისა ან კულტურათაშორისი ინტერაქციის (ურთიერთქმედება) პროცესში (Redfield et, al., 1936). რედფილდი და მისი კოლეგები (Redfield et.al., 1936) აღნიშნავენ, რომ აკულტურაციული კონტაქტის შედეგი არის:

1. დამხვედრი კულტურის ჩვევების მიღება და საბოლოოდ ასიმილაცია;
2. რეაქციები, რომელიც წარმოიქმნება, როგორც კომპენსაცია, რათა არ მოხდეს პრესტიჟის დაკარგვა ან არასრულფასოვნების განცდის ჩამოყალიბება;
3. ჰარმონიული მთლიანობის ჩამოყალიბების შექმნის მიზნით, ორი კულტურის შერწყმა და ადაპტაცია.

აკულტურაცია არის პროცესის შედეგი, რომელიც შედარებით სტაბილურია, თუმცა შესაძლებელია განაგრძოს ცვლილებები მიმდინარე პროცესებთან ერთად (Berry, 1990a).

1949 წელს ემორი ბოგარდუსმა (Bogardus) აკულტურაცია განსაზღვრა, როგორც „პროცესი, რომლის დროსაც ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლის კონტაქტის შედეგად წარმოიქმნება ერთი კულტურული სისტემა“ (p.125). ბოგარდუსი თავის ნაშრომებში საუბრობს დაწესებულ, ბრმა და დემოკრატიულ აკულტურაციაზე. ის აღნიშნავს, რომ დაწესებული აკულტურაცია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც დომინანტი კულტურის წარმომადგენლები ცდილობენ ემიგრანტების კულტურული პატერნების შევიწროებას და აწესებენ საკუთარი ქცევის წესებს (p. 125-126). ბრმა აკულტურაცია წარმოიქმნება ყველაზე ხშირად და ის არის ბუნებრივი, ირიბი, ნებაყოფლობითი პროცესი, როდესაც ორი ან მეტი კულტურა ცხოვრობს მოზაიკურად

დიდი დროის განმავლობაში და ახორციელებენ ერთმანეთის იმიტაციას. რაც შეეხება დემოკრატიულ აკულტურაციას, იგი წარმოიშვა კულტურული პლურალიზმის განვითარების პოლიტიკიდან, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ და ხასიათდება სხვადასხვა თვისებით:

1. თითოეული კულტურის წარმომადგენელი ერთმანეთის კულტურასა და ისტორიას სცემს პატივს (p. 127);
2. არ ხდება სხვადასხვა კულტურის მიერ ერთმანეთზე ზეწოლა, მეორე კულტურის პატერნების ათვისების მიზნით (p. 127);
3. იმიგრანტები წახალისებულნი არიან განვიტარონ საკუთარი კულტურული მახასიათებლები სრულად და წვლილი შეიტანონ ეროვნულ განვითარებაში (p. 127);
4. დაწესებულ და ბრმა აკულტურაციასთან შედარებით, დემოკრატიული აკულტურაცია ხელს უწყობს ადამიანის კულტურული იდენტობის შენარჩუნებას უფრო ხანგრძლივი დროით (p. 128);
5. დემოკრატიული აკულტურაცია ხელს უწყობს იმიგრანტის, როგორც კულტურული მედიატორის როლის ჩამოყალიბებას და არ უჩენს სირცხვილის და მორიდებულობის გრძნობას მისი კულტურული ჩვეულებების გამო (p. 129);
6. ხელს უშლის კულტურული სტერეოტიპების გავრცელებას (p. 129).

4

მიუხედავად იმისა, რომ აკულტურაციის კონცეფცია წარმოიშვა ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიიდან და ძირითადად განიხილება, როგორც კულტურული ჯგუფის ფენომენი, პირველადი განსაზღვრებებიც კი შეიცავდა ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ინდივიდი“ და „ხალხი“, რომელსაც ერთმანეთთან და განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან აქვთ ურთიერთობები. მოგვიანებით აკულტურაცია ყველაზე მეტად კროს-კულტურული ფსიქოლოგიისთვის გახდა მნიშვნელოვანი 1960-იან წლებში (Rudmin, 2009). ჯგუფური და ინდივიდუალური აკულტურაცია განცალკევდა, როდესაც შემოვიდა ტერმინი „ფსიქოლოგიური აკულტურაცია“ და ჩაანაცვლა ანთროპოლოგიური ტერმინი „აკულტურაცია“ (Sam, 1994a; Ward, 1996). გრეისი (Graves, 1967) იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც ხაზი გაუსვა ჯგუფურსა და ინდივიდუალურ საფეხურებს შორის განსხვავებებს. იგი აკულტურაციის

ინდივიდუალურ საფეხურს განსაზღვრავს, როგორც „ფსიქოლოგიურ აკულტურაციას“. ფსიქოლოგიური აკულტურაცია მიესადაგება იმ ცვლილებებს, რომელსაც ადამიანი განიცდის სხვა კულტურასთან ურთიერთობის შედეგად (Graves, 1967, cited in Sam, 2006a). ხოლო ჯგუფური საფეხურის აკულტურაცია განსაზღვრულია, როგორც უფრო დიდი კონცეფცია, რომელიც მოიცავს ცვლილებას თავად კულტურაში და გამოიხატება პოპულაციის საფეხურზე ცვლილებებში და გამოწვეულია კულტურებს შორის კონტაქტით (Berry et.al., 1988). ჯგუფური აკულტურაცია, ზოგადად, მოითხოვს დროს, როგორც ეკოლოგიური ცვლილება, ხოლო ინდივიდუალური აკულტურაცია არის უფრო პირდაპირი ცვლილება, როდესაც ინდივიდებში ხდება ცვლილება სხვა პოპულაციასთან კონტაქტისას (Miwa, 2009).

გრეისისა (Graves, 1967) და ბერისა და სემის (Berry & Sam) აკულტურაციის ადრეული დეფინიციების (Berry et al., 1992; Sam, 1994a) შემდეგ, აკულტურაცია მოგვიანებით, ასევე გააზრებული იქნა ფსიქოლოგიურ დისციპლინებში, როგორც რესოციალიზაციის პროცესი, რომელიც მოიცავს ისეთ ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, როგორცაა დამოკიდებულებების, ღირებულებებისა და იდენტობის ცვლილებები; ახალი სოციალური უნარებისა და ნორმების შექმნა; განსხვავებული ჯგუფების წევრობა და ახალ გარემოსთან შეგუება ან ადაპტაცია.

ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში აკულტურაციისა და ადაპტაციის შესახებ, ასევე გამოიკვეთა განსხვავება ადაპტაციის ორ ტიპს შორის - ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული (Ward & Kennedy, 1993a&b) ადაპტაცია. პირველი ტიპის ფსიქოლოგიური ადაპტაცია მიესადაგება ინტერნალურ ფსიქოლოგიური შედეგების ერთობლიობას, მათ შორის, ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას და ახალ კულტურულ კონტექსტში კმაყოფილების მიღწევას; მეორე ტიპის სოციოკულტურული ადაპტაცია მიესადაგება გარე ფსიქოლოგიური შედეგების ერთობლიობას, რომელიც აკავშირებს ინდივიდებს მათ ახალ კონტექსტთან და ნიშნავს შესაბამისი სოციალური უნარებისა და ქცევების შექმნას, რომლებიც საჭიროა ყოველდღიური საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად.

2004 წელს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) აკულტურაცია განსაზღვრა, როგორც „ინდივიდის, ჯგუფისა ან კლასის მიერ უცხო კულტურის ელემენტების პროგრესული ადაპტაცია (იდებების, სიტყვების, ღირებულებების, ნორმების, ქცევის, ინსტიტუციების) (IOM, 2004, p.5). სხვადასხვა ლექსიკონი განმარტავს აკულტურაციას, როგორც უცხო კულტურის მიღებასა და ათვისებას (The Oxford English Dictionary), სხვა კულტურის თვისებების მიღების პროცესს ან შედეგს (The Chambers Twentieth Century Dictionary), განსხვავებული ჯგუფების კულტურული თვისებებისა ან სოციალური მოდელების მიღების პროცესს (The Random House Dictionary); აკულტურაციის ტერმინი, ასევე გამოიყენება ეთნოგრაფიასა და კულტუროლოგიაშიც და აღნიშნავს კულტურათა ურთიერთგავლენის პროცესებს, რომლის შედეგადაც ერთი კულტურა მთლიანად ან ნაწილობრივ ითვისებს სხვა (როგორც წესი, უფრო განვითარებული) კულტურას. მას მეორე მნიშვნელობაც აქვს - თაობიდან თაობაზე კულტურის გადაცემა, თუმცა ასეთ შემთხვევაში, უფრო ენკულტურაციისა და სოციალიზაციის ცნებებს გამოიყენებენ (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი).

ტერმინი „აკულტურაცია“, გამოიყენება როგორც პროცესის, ასევე, მისი შედეგების აღსანიშნავად. იგი აღნიშნავს ერთი კულტურის მიერ სხვა კულტურის ელემენტების შეთვისების, მატერიალური კულტურის, წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ცვლილებათა პროცესს, რომელიც სხვადასხვა სოციოკულტურული სისტემების უშუალო კონტაქტის დროს მიმდინარეობს. უფრო ხშირად აკულტურაციაში გულისხმობენ არაინდუსტრიულ ერთობებში დასავლური საზოგადოების გავლენით მიმდინარე ცვლილებებს (Rudmin et.al., 2016).

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკულტურაციის სხვადასხვა განსაზღვრება არსებობს, თუმცა ყველა მათგანი ხაზს უსვამს იმ ცვლილებებს, რომელიც მიმდინარეობს უმცირესობათა ჯგუფსა და უმრავლესობათა ჯგუფში, როდესაც ისინი ერთმანეთს ხვდებიან.

1.2. აკულტურაციის თეორიები

თავდაპირველად, აკულტურაცია აღქმული იყო, როგორც სწორხაზოვანი ან ერთგანზომილებიანი პროცესი (Graves, 1967), რომლის დროსაც ინდივიდები ერთი პოლუსიდან გადადიოდნენ მეორეზე - მშობლიური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებიდან, მასპინძელ კულტურასთან ასიმილაციაზე. ეს მოდელი მიესადაგება ბიპოლარულ კონტინიუმს, რაც გულისხმობს იმას, რომ ერთი კონტინიუმის კლება მოქმედებს მეორე კონტინიუმის ზრდაზე, მაგალითად, ახალი კულტურის ადაპტირება გულისხმობს მშობლიური კულტურის დაკარგვას. ასევე, ავტორებმა (Birman & Tricket, 2001; Schwartz & Zamboanga, 2008) შემოგვთავაზეს აკულტურაციის კონტექსტუალური მოდელი, რომლის მიხედვითაც არ არსებობს ერთი, უნივერსალური აკულტურაციის სტრატეგია, რომელიც ყველგან მუშაობს. განსხვავებული აკულტურაციის სტრატეგიები უკეთ მუშაობენ სხვადასხვა გარემოში.

სოციოლოგმა მილტონ გორდონმა (Gordon, 1964) შემოგვთავაზა ასიმილაციის ერთგანზომილებიანი მოდელი უმცირესობის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებული კულტურული ცვლილებების აღსაწერად. მის მოდელში აკულტურაცია წარმოდგენილია, როგორც ასიმილაციის ქვეპროცესი, სადაც ბიკულტურალიზმი წარმოადგენს პროცესის მხოლოდ გარდამავალ ფაზას სრული სეგრეგირებიდან სრულ ასიმილაციამდე. ძირითადი ვარაუდი არის ის, რომ ერთი კულტურის წევრი კარგავს თავის თავდაპირველ კულტურულ იდენტობას, რადგან ის იძენს ახალ იდენტობას მეორე კულტურაში (მაგ., LaFromboise et.al., 1993). ამ მოდელში, ემიგრანტების მიერ განცდილი აკულტურაციის პრობლემები მიეკუთვნება თავად უმცირესობის ჯგუფის წევრებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მასპინძელ საზოგადოებაში ასიმილაციის წარუმატებლობაზე (Bourhis et.al, 1997). აკულტურაციის მსგავსი ცალმხრივი მოდელები შემუშავდა სოციალურ ფსიქოლოგიაში (მაგ., Lambert et.al., 1986), რათა აღწერონ ინდივიდების აკულტურაცია მთლიანი მემკვიდრეობის შენარჩუნების დამტკიცებიდან სრული ასიმილაციის მიღწევამდე.

ერთგანზომილებიანი მოდელების კრიტიკამ ხელი შეუწყო აკულტურაციის ორგანზომილებიანი მოდელების შემუშავებას, რომელშიც ემიგრანტების იდენტიფიკაცია ორ კულტურასთან ფასდება ორ დამოუკიდებელ განზომილებაში და ცვლილება იზომება თითოეული განზომილების გასწვრივ (Sayegh & Lasry, 1993;

Bourhis et al., 1997). 1970 წელს ჯონ ბერის (Berry) მიერ შემოთავაზებულია აკულტურაციის ტიპოლოგია, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს ორიენტაციას მასპინძელი საზოგადოებისა და მშობლიური ქვეყნის მიმართ (Berry 1970; Sommerlad and Berry 1970).

მოცემული სადისერტაციო ნაშრომი ბერისა (Berry, 2005) და ბოურისის (Bourhis et. al., 1997) ეფუძნება, რადგან აღნიშნული თეორიები აღწერენ აკულტურაციას, როგორც ორმხრივ და არა ცალმხრივ პროცესს.

ბერის (Berry) მიერ შემოთავაზებული აკულტურაციის ჩარჩო (1990a, 1992, 1997a), რომელიც ძირითადად ეფუძნება მის ორგანზომილებიანი აკულტურაციის სტრატეგიას და აკულტურაციური სტრესის მოდელს (მაგ., Berry et al., 1986, 1987, 1989) აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი. ეს ჩარჩო აერთიანებს კულტურული დონის (ძირითადად, სიტუაციური ცვლადები) და ფსიქოლოგიური დონის (ძირითადად, პიროვნების ცვლადები) ფენომენებს, ასევე აკულტურაციის სტრუქტურულ და პროცესულ მახასიათებლებს.

ბოურისის (Bourhis et. al., 1997) ინტერაქციული მოდელის მიხედვით, ის მოლოდინები, რომელიც დომინანტური ჯგუფის წევრებს აქვთ არადომინანტური ჯგუფის წევრების აკულტურაციასთან დაკავშირებით, გავლენას ახდენს იმაზე, თუ აკულტურაციის რომელ სტრატეგიას აირჩევენ უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლები.

1970 წელს ჯონ ბერიმ და ელიზაბეთ სომერლადმა (Berry & Sommerlad) პირველად გამოიყენეს ფსიქომეტრია ავსტრალიელი აბორიგენების ეთნიკური იდენტობისა და კულტურული დამოკიდებულებების შესასწავლად. 1970 წელს, ასიმილაცია განისაზღვრა, როგორც იდენტიფიკაცია, რომლის დროსაც უმცირესობათა ჯგუფს უვითარდება ექსკლუზიურობის განცდა დამხვედრი კულტურის მიმართ (p. 23). ინტეგრაცია განისაზღვრა, როგორც უმცირესობათა იდენტობის შენარჩუნების სურვილი და მცირე რაოდენობით ქცევითი ცვლილება, როდესაც ინდივიდები იდენტიფიკაციას უკეთებენ საკუთარ თავს, როგორც საკუთარი კულტურის წარმომადგენლებს, თუმცა ამავე დროს, დამხვედრ კულტურაში შეაქვთ საკუთარი რწმენები და ღირებულებები (p. 24-25). რაც შეეხება მარგინალიზაციის განსაზღვრებას,

ადრეულ ნაშრომებში ბერი (Berry, 1970) მიყვება გლასერის (Glaser, 1958) განსაზღვრებას და მარგინალურად განმარტავს მას, ვინც იდენტიფიკაციას ახდენს ორივესთან, როგორც მშობლიურ, ისე მასპინძელ კულტურასთან (p. 24). მოგვიანებით, ბერის (Berry, 1970) და სომერლენდის (Sommerland, 1970) მიერ შემუშავებული სკალის მიხედვით გამოაქვეყნა მეორე ნაშრომი, რომელშიც ასიმილაცია განისაზღვრა, როგორც საკუთარი იდენტობის დაკარგვა (p. 242), ინტეგრაცია განისაზღვრა, როგორც განსხვავებულ კულტურაში გადაადგილება ისე, რომ შეინარჩუნო შენი კულტურული იდენტობა (p. 242); სეპარირება განისაზღვრა, როგორც ასიმილაციისა და ინტეგრაციის უარყოფა და საკუთარი კულტურული ღირებულებების შენარჩუნება (p. 242). მარგინალობა კი წარმოადგინა ორი განსხვავებული მნიშვნელობით: „საზოგადოებრივ დონეზე მარგინალობა მიესადაგება საზოგადოებრივ ბიკულტურალიზმს“ (p. 240) და „ფსიქოლოგიურ დონეზე მარგინალობა გულისხმობს ფსიქოპათოლოგიურ მდგომარეობას - აგრესია, ეჭვი, გაურკვეველობა, უარყოფა, შფოთვა და სოლიდარობის ნაკლებობა“ (p. 241). 1972 წლიდან ევანსსა და რაულინსონთან (Evans & Rawlinson) ერთად, ბერიმ (Berry) წარმოადგინა აკულტურაციის კონცეპტების ტაქსონომია, სადაც აკულტურაციის სახეები დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე:

1. აქვთ თუ არა უმცირესობის წარმომადგენლებს საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნების სურვილი?
2. აქვთ თუ არა სურვილი წვლილი შეიტანოს უფრო ფართო საზოგადოებაში?
3. აკონტროლებენ თუ არა სოციალურ ინსტიტუტებს?

ასიმილაცია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც უმცირესობას არ აქვს საკუთარი იდენტობის შენარჩუნების სურვილი, მოსალოდნელია წვლილი შეიტანოს ფართო საზოგადოებაში და არ აქვს კონტროლი ინსტიტუტებზე. სეპარაცია ჩნდება მაშინ, როდესაც უმცირესობას სურს შეინარჩუნოს იდენტობა, არ უნდა ფართო საზოგადოებაში წვლილის შეტანა და აკონტროლებს ინსტიტუტებს. ინტეგრაცია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც უმცირესობას სურს შეინარჩუნოს იდენტობა, სურს წვლილი შეიტანოს ფართო საზოგადოებაში და აკონტროლებს ინსტიტუტებს (p. 29). ამ ტაქსონომიაზე დაყრდნობით, ბერიმ (Berry), 1974 წელს განსაზღვრა აკულტურაციის 8 სავარაუდო შესაძლებლობა სამი კითხვის საფუძველზე:

ცხრილი 1 - აკულტურაციის 8 სავარაუდო შესაძლებლობა

	ინარჩუნებს თუ არა უმცირესობა იდენტობას?	აქვს თუ არა უმცირესობას დადებითი შიდა ურთიერთობები?	აქვს თუ უმცირესობას არჩევანის შესაძლებლობა ამ საკითხებთან დაკავშირებით?
ასიმილაცია (Melting pot)	არა	კი	კი
ასიმილაცია (Pressure Cooker)	არა	კი	არა
უარყოფა (თვით-სეგრეგაცია)	კი	არა	კი
სეგრეგაცია	კი	არა	არა
ინტეგრაცია	კი	კი	კი
ინტეგრაცია / ინკლუზიური სეგრეგაცია (Paternal)	კი	კი	არა
მარგინალიზაცია	არა	არა	კი
დეკულტურაცია	არა	არა	არა

1976 წელს, ბერიმ (Berry), აკულტურაციისა და კოგნიტური ფსიქოლოგიის კვლევების შეჯამებით, შეიმუშავა განახლებული ჩარჩო და გამოყო აკულტურაციის ოთხი კონსტრუქტი, რომელიც დაუკავშირა იმას, თუ რამდენად იყო კულტურა ღირებული ინდივიდისთვის და რამდენად ეძებდა პოზიტიურ ურთიერთობებს ინდივიდი. ასიმილაცია დაკავშირებულია კულტურის შენარჩუნების ნაკლებ ღირებულებასა და პოზიტიური ურთიერთობის ძიებასთან. უარყოფა მიმართულია კულტურის შენარჩუნებასა და ნაკლებ სურვილზე, იყოს კომუნიკაციაში ახალ კულტურასთან. ინტეგრაცია გულისხმობს პოზიტიურ დამოკიდებულებას ორივე კულტურის მიმართ, ხოლო დეკულტურაცია ორივე საკითხის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას. 1977 წელს, ბერიმ (Berry), კალინთან და ტეილორთან (Kalin & Taylor) ერთად, გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც მის მიერ შემუშავებული აკულტურაციის 4 კონსტრუქტი განსაზღვრა, როგორც უმცირესობათა ჯგუფის ატიტუდები დამხვედრი კულტურის მიმართ. 1980 წელს, ბერიმ (Berry) აკულტურაციის ტაქსონომიის თეორიაში უმცირესობათა უფლებებსა და თავისუფლების ხარისხს გაუსვა ხაზი პოლიტიკურ საკითხებში. მან 1983 წელს, დახვეწა აკულტურაციის კონსტრუქტები და უარყოფა დაუკავშირა თვით-ინიცირებულ გადაყვანას ფართო საზოგადოებიდან იმ წინააღმდეგობას, რომელიც

ჩნდება იმ ძალადობის შედეგად, რომელსაც დომინანტი კულტურა იყენებს როლური გადანაწილების შესანარჩუნებლად (p.69).

2001 წელს ბერიმ (Berry) დახვეწა მისი ადრინდელი თეორია (Berry et al., 1972; Berry, 1974; 1980), რომელიც გულისხმობდა რვა სახის აკულტურაციას და გამოყო 4 სახის აკულტურაციის სტრატეგია, რომელსაც უმცირესობათა წარმომადგენელმა შეიძლება მიმართოს დომინანტ კულტურასთან ურთიერთობის პროცესში:

1. ასიმილაცია: როდესაც ინდივიდს არ აქვს სურვილი ჰქონდეს კავშირი მშობლიურ კულტურასთან და ცდილობს უფრო აქტიურად იყოს ჩართული მასპინძელ კულტურაში; ასიმილაცია არის ორი კულტურის ურთიერთქმედების პროცესი, რომლის შედეგადაც ერთ-ერთი მათგანი კარგავს საკუთარ იდენტობას და შთაინთქმევა მეორეს მიერ (Berry, 1980, 1997; Berry, 2006; Sam, 2006a; Sam & Berry, 2010; Ward & Kus, 2012; Celenk & Van de Vijver, 2011);
2. ინტეგრაცია: როდესაც ინდივიდი ინარჩუნებს კავშირს მშობლიურ კულტურასთან და ამავე დროს, აქტიურად არის ჩართული მასპინძელ კულტურაში (Berry, 1980, 1997; Berry, 2006; Sam, 2006a; Sam & Berry, 2010; Ward & Kus, 2012; Celenk & Van de Vijver, 2011);
3. სეპარაცია: ინდივიდი ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს მშობლიურ კულტურასთან, ხოლო მასპინძელ კულტურასთან კონტაქტი მინიმუმამდეა დაყვანილი; მიესადაგება სხვადასხვა რასის, კულტურისა და წარსულის მქონე ინდივიდებს, რომლებიც არ არიან ძირითად მასასთან და გლობალურ კულტურასთან ასიმილირებულნი და ცდილობენ დარჩნენ განცალკევებით (Berry, 1980, 1997; Berry, 2006; Sam, 2006a; Sam & Berry, 2010; Ward & Kus, 2012; Celenk & Van de Vijver, 2011);
4. მარგინალიზაცია: ინდივიდი თავს არიდებს როგორც მშობლიურ, ასევე მასპინძელ კულტურას. უმრავლესობის წარმომადგენლები გაურბიან უმცირესობათა ჯგუფის წევრებს. ხდება მათი მარგინალიზაცია. უმცირესობათა ჯგუფი და მათთან დაკავშირებული საკითხები უხილავი ხდება საზოგადოებისთვის. ადამიანთა კლასისა ან ჯგუფის ნაკლებად გახდომის პროცესი ან მეორად პოზიციასთან დაკავშირება.

მარგინალიზაციის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ინდივიდი ერთიანდება, როგორც მეორადი მოსახლეობის კლასი (Berry, 1980, 1997; Berry, 2006; Sam, 2006a; Sam & Berry, 2010; Ward & Kus, 2012; Celenk & Van de Vijver, 2011).

ბერის (Berry, 1980, 1997, 2006) მიერ სხვადასხვა წლებში შემოთავაზებული თეორია ეხება ინდივიდების აკულტურაციის ორ მთავარ საკითხს - პირველი მიდგომა შეეხება იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, როდესაც კონტაქტი აქვს მასპინძელ კულტურასთან. მეორე მიდგომა შეეხება იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის მონაწილეობა მიიღოს უფრო დიდი სოციუმის აქტივობებში. სწორედ ამ ორი მიდგომიდან გამომდინარეობს აკულტურაციის ოთხი სტრატეგია - ამ სტრატეგიების დაჯგუფება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებით: სტრატეგიები, რომლებიც ორიენტირებულია მასპინძელ კულტურაზე და სტრატეგიები - ორიენტირებული მშობლიური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე. ინდივიდის მიერ ძლიერი ორიენტაცია მასპინძელ კულტურაზე, განაპირობებს ასიმილაციას, ხოლო პირიქით (მშობლიურ კულტურულ მემკვიდრეობაზე) სეპარაციას, ხოლო მათ, რომლებიც ერიდებიან ორივე კულტურას, ორიენტაცია აქვთ მარგინალიზაციისაკენ (Berry, 1997, 2005).


ლიტერატურაში, ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას, უმცირესობათა ჯგუფს აღნიშნავენ M ასოთი (Minority), მშობლიურ კულტურას F ასოთი (First Culture) და დომინანტ, დამხვედრ კულტურას D ასოთი (Dominant) ან C ასოთი (Contact Culture) (Rudmin, 2009) შესაბამისად.

M+ D-	უმცირესობათა ჯგუფის წევრისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი კულტურის შენარჩუნება და არ ცდილობს მონაწილეობა მიიღოს დომინანტური ჯგუფის აქტივობებში	სეპარაცია
M+ D+	უმცირესობათა ჯგუფის წევრისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი კულტურის შენარჩუნება და ამავდროულად, ცდილობს მონაწილეობა მიიღოს დომინანტური ჯგუფის აქტივობებში	ინტეგრაცია
M- D+	უმცირესობათა ჯგუფს არ სურს შეინარჩუნოს საკუთარი კულტურა და ცდილობს მიიღოს დომინანტი კულტურა	ასიმილაცია
M- D-	უმცირესობათა ჯგუფი უარყოფს ორივე კულტურას	მარგინალიზაცია

ბერი (Berry) თავის თეორიაში აღნიშნავს, რომ აკულტურაცია არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალმხრივი პროცესი, რომელსაც ახორციელებს მხოლოდ ამ პროცესის ერთი მხარე - უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელი, დომინანტურ ჯგუფს ასევე აქვს ძალიან დიდი როლი უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიების ფორმირებაში (Berry, 2003). დომინანტი კულტურის წევრების ატიტუდებმა და ქცევებმა (დისკრიმინაცია, განრიდება, სტერეოტიპირება და სხვა) შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს იმიგრანტების სოციალურ, ემიგრაციისა და ორგანიზაციულ პოლიტიკაზე (Eseses et.al., 2001). მაგალითად, დომინანტური ჯგუფის წევრებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ იმიგრანტებს სოციუმის აქტივობებში სრულად მონაწილეობაში, ისინი შესაძლოა გამოხატავდნენ ნეგატიურ სტერეოტიპებს ან ფიქრობდნენ, რომ იმიგრანტების სოციალური და ეკონომიკური სტატუსი უფრო დაბალია, ვიდრე დომინანტური ჯგუფის წევრების (e.g. Bourhis et.al., 1997; Stephan et.al., 1999). ბერის (Berry, 1890, 1997, 2005) მიხედვით, დამხვედრმა ჯგუფმა/საზოგადოებამ შეიძლება 4 სხვადასხვა სტრატეგია აირჩიოს უმცირესობათა ჯგუფის საპასუხოდ: მულტიკულტურალიზმი, შერწყმა, სეგრეგაცია და გარიცხვა. ამ მიდგომის მიხედვით, მულტიკულტურალიზმს ვხვდებით იმ შემთხვევაში, თუ თავად დამხვედრი კულტურა არის ინკლუზიური, ცდილობს შექმნას კულტურულად მრავალფეროვანი და ინტეგრაციული გარემო. შერწყმა ხდება მაშინ, როდესაც უმცირესობათა ჯგუფი იძულებული ხდება დათმოს მისი კულტურა და მიიღოს დამხვედრი კულტურის ღირებულებები. როდესაც უმრავლესობის ჯგუფი არ იღებს

უმცირესობათა ჯგუფს, საქმე გვაქვს სეგრეგაციასთან, ხოლო თუ არც უმრავლესობის და არც უმცირესობის ჯგუფი არ იღებს ინდივიდს, საქმე გვაქვს გარიცხვასთან (Berry, 2003, 2006). შესაბამისად, ინტეგრაცია მოდის მულტიკულტურალიზმთან შესაბამისობაში, ასიმილაცია შერწყმასთან, სეპარაცია სეგრეგაციასთან და მარგინალიზაცია გარიცხვასთან. დომინანტური ჯგუფის წევრების პერსპექტივიდან, ინტეგრაციის სტრატეგია გულისხმობს საზოგადოებაში ყველა ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის მიღებისა და ჩართვის სურვილს. პირიქით, ასიმილაცია და განცალკევება გვთავაზობს ნეგატიურ დამოკიდებულებებს მრავალფეროვნების მიმართ, მათ შორის იმ მოლოდინს, რომ ემიგრანტთა ჯგუფები აითვისებენ ფართო საზოგადოების კულტურულ პრაქტიკას და კულტურულად განსხვავებული ჯგუფების სოციალურ გარიყულობას (Stogianni et.al, 2023).

ფიგურა 1 - აკულტურაციის მოდელი



დომინანტი ჯგუფების ატიტუდებზე, უმცირესობათა ჯგუფის ინტეგრაციის მიმართ აისახება მიგრაციისა და სხვადასხვა ეთნოკულტურული ჯგუფების სოციალური ინტეგრაციის განსხვავებული ხარისხი (Davidov & Semyonov, 2017). ასევე, კიდევ ერთი ფაქტორია ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს ინტეგრაციის აღქმულ ნორმებზე და ემიგრანტების უფლებებისადმი დამოკიდებულებაზე (Green et al., 2020).

კვლევებმა (e.g. Berry et.al., 1989; Berry & Krishnan, 1992; Dona & Berry, 1994, van Oudenhoven et. Al., 1998) აჩვენა, რომ უმცირესობათა ჯგუფისთვის აკულტურაციის სტრატეგიებიდან, ახალ გარემოში ინტეგრაცია ყველაზე მისაღები სტრატეგიაა,

შემდეგ მოდის ასიმილაცია, შემდეგ სეპარაცია და ბოლოს მარგინალიზაცია. ბერის (Berry, 2003, 2006) თეორიას თუ გავყვებით, იმისთვის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა აირჩიონ ინტეგრაციის სტრატეგია, მნიშვნელოვანია, რომ დომინანტი კულტურის მხრიდან იყოს მულტიკულტურალისტური დამოკიდებულება.

აკულტურაციის სტრატეგიები მოიცავს 2 კომპონენტს: ატიტუდები და ქცევები. რა თქმა უნდა, ძალიან იშვიათია, როდესაც ის, რასაც ადამიანი აკეთებს და რაც სურს, რომ გააკეთოს, ერთმანეთს ემთხვეოდეს. როდესაც ადამიანს არ უნდა შეინარჩუნოს თავისი კულტურული იდენტობა და ეძებს ყოველდღიურ ინტერაქციას სხვა კულტურასთან, საქმე გვაქვს ასიმილაციის სტრატეგიასთან. საპირისპიროდ, როდესაც ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია შეინარჩუნოს თავისი კულტურული იდენტობა და ამასთან, არ სურს კონტაქტი სხვებთან, ჩნდება სეპარაცია. როდესაც ინდივიდს უნდა შეინარჩუნოს თავისი კულტურა და ამასთან, ურთიერთობა ქონდეს სხვა ჯგუფთან, ჩნდება ინტეგრაცია და ბოლოს, როდესაც არის მცირე ალბათობა ან ინტერესი კულტურული იდენტობის შენარჩუნების და მცირე ინტერესი აქვთ სხვა ჯგუფთან ინტერაქციის, ჩნდება მარგინალიზაცია (Sam; Berry 2006).

მკვლევრებმა (e.g. LaFromboise et.al., 1993; Rudmin & Ahmadeaden, 2001; Padilla & Perez, 2003; Navas et.al., 2005) გააფართოვეს ბერის (Berry, 1990) ორგანოზომილებიანი მოდელი. მათ შორის ბოურისმა (Bourhis, 1997) და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს აკულტურაციის ინტერაქციული მოდელი (IAM). ამ მოდელის მიხედვით ის მოლოდინები, რომელიც დომინანტურ ჯგუფის წევრებს აქვთ არადომინანტური ჯგუფის წევრების აკულტურაციასთან დაკავშირებით, გავლენას ახდენს იმაზე, თუ აკულტურაციის რომელ სტრატეგიას აირჩევენ უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენლები (Bourhis et. al., 1997).

სოციალურმა ფსიქოლოგებმა რიჩარდ ბოუჰისმა, ლენა მოისემ, სტეფან პერომ და საშა სენეკალმა (Bourhis et. al., 1997) შემოგვთავაზეს აკულტურაციის ერთ-ერთი ყველაზე ყოვლისმომცველი მოდელი.

ბოურისი (Bourhis et. al., 1997) მიყვება ბერის ტიპოლოგიას და ამბობს, რომ შესაძლებელია გამოიყოს ოთხი აკულტურაციის სტრატეგია/იდეოლოგია:

1. ასიმილაციური, რომელიც მოითხოვს უმცირესობისგან დომინანტური საზოგადოების ქცევებისა და ღირებულებების მიღებას, ყოველ შემთხვევაში, კომერციული და სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში, უმცირესობის კულტურა დროთა განმავლობაში ნებაყოფლობით გაქრება;
2. ეთნისტური იდეოლოგია მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება მოსთხოვოს უმცირესობას უარი თქვას მშობლიურ კულტურაზე და მიიღოს დომინანტური კულტურა, მაშინაც კი, თუ არ არსებობს განზრახვა მიიღოს ახალმოსახლეები, როგორც სრულად თანასწორი მოქალაქეები;
3. პლურალიზმის იდეოლოგია მოელის უმცირესობების ჯგუფების შესაბამისობას საჯარო სფეროში ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ქცევასა და ღირებულებებთან. თუმცა, ლიბერალური თეორიის მიხედვით, პლურალიზმი თვლის, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს პირად საქმეებში, რომ სახელმწიფოს ფუნქციაა მაქსიმალურად გაზარდოს ინდივიდუალური არჩევანის თავისუფლება და რომ ყველა მოქალაქემ თანაბრად ისარგებლოს მთავრობის ქმედებებით და ფულით. ამდენად, პლურალიზმი გულისხმობს მთავრობის მხარდაჭერას ეთნიკური აქტივობების მიმართ, რამდენადაც ისინი მონაწილეთა ნებაყოფლობითი საქმიანობაა;
4. სამოქალაქო იდეოლოგია ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფომ არ უნდა შეუწყოს ხელი კერძო აქტივობებს, როგორცაა უმცირესობების კულტურული აქტივობები და ცდილობს იყოს კულტურულად ბრმა.

იმავე სტატიაში, ბოურისი და მისი კოლეგები (Bourhis et al., 1997) წარმოადგენენ ბერის (Berry et al., 1984; 1989) აკულტურაციის ტაქსონომიის რევიზიას. მათ აღწერეს სხვადასხვა სახის აკულტურაციის ორი მსგავსი ტაქსონომია, ერთი - უმცირესობის ჯგუფის და მეორე - უმრავლესობის ჯგუფის პერსპექტივიდან, რომელიც განისაზღვრება იმით, არის თუ არა ღირებული უმცირესობის კულტურის შენარჩუნება და ასევე, ღირებულია თუ არა უმცირესობისთვის სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან, განსაკუთრებით დომინანტურ ჯგუფთან ურთიერთობის შენარჩუნება.

უმცირესობის პერსპექტივიდან, ასიმილაცია ნიშნავს უმცირესობის კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის დათმობას, პოზიტიური ჯგუფთაშორისი ურთიერთობებისთვის. სეპარაცია ნიშნავს საპირისპიროს, უმცირესობის

კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის შენარჩუნების უპირატესობას და სხვა კულტურულ ჯგუფებთან ჩართულობის დათმობას. ინტეგრაცია ნიშნავს ერთნაირი მნიშვნელობის მინიჭებას, როგორც უმცირესობების კულტურულ მემკვიდრეობისთვის, ასევე სხვა ჯგუფებთან ჩართულობისთვის (Bourhis et al.,1997). რაც შეეხება მარგინალიზაციას, ბოურისი და მისი კოლეგები (Bourhis et al.,1997) გვთავაზობენ მარგინალიზაციის 2 ტიპს: ანომია და ინდივიდუალიზმი. ანომია ესადაგება მათ, ვინც უარყოფს ორივე კულტურას და განიცდის კულტურულ გაუცხოებას ან უკულტურობას. ინდივიდუალიზმი, ასევე გულისხმობს კულტურული იდენტობებისა და ეტიკეტების უარყოფას, როგორც „მსოფლიო მოქალაქე“ და კულტურისგან თავისუფალ იდენტიფიკაციის საშუალებას.

რაც შეეხება *უმრავლესობის ჯგუფის პერსპექტივას*, აკულტურაციის სტრატეგიები მსგავსია უმცირესობის ჯგუფისთვის დამახასიათებელი სტრატეგიების, გარდა სეპარაციის სტრატეგიისა. როდესაც სეპარაციის სტრატეგიის გამოყენება ხდება უმრავლესობის მხრიდან და არა უმცირესობიდან, მას უკვე უნდა ვუწოდოთ სეგრეგაცია, ხოლო თუ დომინანტი კულტურის წევრი კარგავს ორივე კულტურას, მაშინ ამას უნდა ეწოდოს გარიყვა (exclusion) (Bourhis et al.,1997).

ინტერაქტიული აკულტურაციის მოდელი (IAM) (Bourhis et al.,1997) ვარაუდობს, რომ ეთნიკური უმცირესობების წევრების აკულტურაციის სტრატეგიები ურთიერთდაკავშირებულია დომინანტი კულტურის აკულტურაციის სტრატეგიასთან, ხოლო ამ უკანასკნელ ჯგუფს (დომინანტი) უფრო ძლიერი გავლენა აქვს პირველის (უმცირესობა) აკულტურაციის პრეფერენციებზე. IAM-ის თანახმად, თანხვედრა ხდება მაშინ, როდესაც დომინანტი კულტურა და ეთნიკური უმცირესობები იზიარებენ აკულტურაციის ორიენტაციის თითქმის ერთნაირ პროფილს. უთანხმოება დომინანტ საზოგადოებასა და უმცირესობათა ჯგუფს შორის ჭარბობს, როდესაც დომინანტისა და უმცირესობის ჯგუფებისთვის მიღებული აკულტურაციის ორიენტაციების პროფილი ძალიან მცირე თანხვედრაშია ან საერთოდ არ ემთხვევა. თანმიმდევრული და შეუსაბამო აკულტურაციის პროფილები იძლევა განსხვავებულ, ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შედეგებს, მაგალითად, როგორცაა ჯგუფთაშორისი დისკრიმინაცია, რომელიც უფრო ხშირად არის მიმართული უმცირესობის ჯგუფის წევრების მიმართ. კონსენსუალური

ურთიერთობის შედეგების წინასწარმეტყველება ხდება მაშინ, როდესაც მასპინძელი საზოგადოების წევრები და უმცირესობის ჯგუფის წევრები იზიარებენ ინტეგრაციის ან ასიმილაციის სტრატეგიებს. უმრავლესობის წევრები, რომლებიც მხარს უჭერენ სეგრეგაციასა და გარიყულობის ორიენტაციას უმცირესობის ჯგუფის წევრების მიმართ, სავარაუდოდ, ხელს უწყობენ ურთიერთობის ყველაზე კონფლიქტურ შედეგებს.

IAM ასევე ვარაუდობს, რომ როგორც პრობლემური, ასევე კონფლიქტური ურთიერთობის შედეგები ხელს შეუწყობს ნეგატიურ სტერეოტიპებს უმცირესობის ჯგუფის წევრებთან დაკავშირებით და გამოიწვევს მათ მიმართ დისკრიმინაციულ ქცევას (Bourhis et al., 1997).

მოგვიანებით მონტრეილიმ და რიჩარდ ბოურისმა (Montreuil & Bourhis, 2001) გამოიყენეს ბოურისის (Bourhis et al, 1997) მიერ განსაზღვრული აკულტურაციის კონსტრუქტები და ბოურისისა და ბუგის (Bourhis and Bougie, 1998) პიროვნების კვლევის შედეგები და განსაზღვრეს, რომ:

- *ასიმილაციონისტები*, როგორც წესი, გრძნობენ თავს კულტურულად საფრთხის ქვეშ იმიგრანტების გარე ჯგუფებისგან და შესაბამისად, ამჯობინებენ, რომ უმცირესობებმა უარი თქვან თავიანთ კულტურებზე და შეუერთდნენ დომინანტურ კულტურას;
- *სეგრეგაციონისტებს* აქვთ დაუცველი სოციალური იდენტობა, დაბალი თვითშეფასება, მაღალი ავტორიტარიზმი და ეთნოცენტრიზმი. ისინი გრძნობენ საფრთხეს იმიგრანტების გარე ჯგუფებისგან და ამჯობინებენ, რომ უმცირესობები არ შეერიონ მათ;
- *ინტეგრაციულებს*, როგორც დომინანტურ ჯგუფს, აქვთ პოზიტიური სოციალური იდენტობა, დაბალი ავტორიტარიზმითა და ეთნოცენტრიზმით და პოზიტიურად არიან განწყობილნი იმიგრანტების მიმართ მათი წარმომავლობის მიუხედავად;
- *ექსკლუზიონისტებს*, როგორც წესი, ყველაზე მეტად ეშინიათ უმცირესობების გარე ჯგუფების და ყველაზე მაღალი ავტორიტარიზმითა და ეთნოცენტრიზმით ხასიათდებიან. მათ ურჩევნიათ ნაკლები იმიგრაცია იყოს და

უმცირესობათა ჯგუფებმა არც შეინარჩუნონ თავიანთი კულტურა და არც დომინანტურ ჯგუფს შეუერთდნენ;

- *ინდივიდუალისტებს* აქვთ პიროვნული მახასიათებლები, მაგრამ აქვთ ნაკლებად თანმიმდევრული და ნაკლებად ღირებული უმრავლესობის ჯგუფის კულტურული იდენტობა. ისინი მიიჩნევენ, რომ კულტურული იდენტობა არის კერძო საკითხი, რომელიც არ არის მნიშვნელოვანი საზრუნავი.

აღნიშნული კლასიფიკაციის მიხედვით, ასიმილაციონისტური დამოკიდებულებები შეესაბამება უმცირესობათა მხრიდან ასიმილაციის სტრატეგიის არჩევას, სეგრეგაციონისტური დამოკიდებულებები - სეპარაციას, ინტეგრაციული დამოკიდებულებები - ინტეგრაციას, ხოლო ექსკლუზიონისტური - მარგინალიზაციას.

კვლევების (Berry, 2003; Bhugra, 2003; Oh et. al., 2002; Yeh, 2003) მიხედვით გამოიყოფა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენენ აკულტურაციაზე, კერძოდ, ემიგრანტების დამოკიდებულებას აკულტურაციის მიმართ, სოციალური მხარდაჭერა, ასაკი, ცხოვრების ხანგრძლივობა მასპინძელ ქვეყანაში, განათლების დონე, დამხვედრი კულტურის ენის ცოდნა და სქესი.

მკვლევრების მიხედვით (Arends-Tóth, & van de Vijver, 2004), ადამიანების მიერ გამოყენებული აკულტურაციის სტრატეგიები შეიძლება განსხვავდებოდეს მათი ცხოვრების კერძო და საჯარო სფეროებში. მაგალითად, ინდივიდმა შეიძლება უარყოს მასპინძელი კულტურის ღირებულებები და ნორმები მის პირად ცხოვრებაში (განცალკევება), მაგრამ შეიძლება მოერგოს მასპინძელ კულტურას მისი ცხოვრების საჯარო სფეროებში (მაგ.; ინტეგრაცია ან ასიმილაცია).

ზანეს და მაკის (Zane & Mak, 2003) მიხედვით, იმიგრანტებმა შესაძლოა აირჩიონ სხვადასხვა აკულტურაციის სტრატეგია ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მიხედვით. ეს არის აკულტურაციის ინდივიდუალური არჩევანი - შევინარჩუნო მშობლიური მემკვიდრეობა და/ან ასიმილაცია გავიარო მასპინძელ კულტურასთან სპეციფიკურ სიტუაციებში. ინდივიდმა შესაძლოა აირჩიოს შევინარჩუნოს თავისი კულტურული მემკვიდრეობის მახასიათებლები სახლში, მაშინ როცა შესაძლოა ამავედროულად, ასიმილირებული იყოს მასპინძელ კულტურასთან სკოლაში ან სამსახურში.

გამოიკვეთება ცხოვრებისეული სფეროების 10 მიმართულება (Zan & Mark, 2003):

1. ენის გამოყენება
2. სოციალური აფილაცია
3. ყოველდღიური ცხოვრებისეული ჩვევები
4. კულტურული ტრადიციები
5. კომუნიკაციის სტილი
6. კულტურული იდენტობა/ღირსება
7. აღქმული დისკრიმინაცია
8. ზოგადი სტატუსი
9. ოჯახის სოციალიზაცია
10. კულტურული ცოდნა/რწმენები/ღირებულებები.

ამ სფეროებიდან ზოგიერთი შესაძლოა მივაკუთვნოთ საჯარო სფეროებს, მაგალითად სოციალური აფილაცია, მაშინ როცა, ზოგიერთი მათგანის მიკუთვნება შეიძლება პირად სფეროებთან, მაგალითად, ოჯახის სოციალიზაცია. დამტკიცებულია, რომ იმიგრანტებს ურჩევნიათ შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის მახასიათებლები პირად სფეროებში მაშინ, როცა საჯარო სფეროებში უპირატესობას ანიჭებენ ადაპტაციას (Clement & Noels, 1992; Taylor & Lambert, 1996). აღნიშნული დისერტაციის ფარგლებში ყურადღება მახვილდება აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე საჯარო სფეროებში.

შეჯამების სახით შეგვიძლიათ ვთქვათ, რომ აკულტურაციის კვლევამ და თეორიების ჩამოყალიბებამ გაიარა ბევრი ეტაპი, მათ შორის აკულტურაციის, როგორც ცალმხრივი ფენომენის აღქმის, ასევე მისი ორმხრივი პერსპექტივიდან განხილვაც. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ თეორიებზე დაყრდნობით, როგორ ხდება აკულტურაციის გაზომვა და შეფასება.

1.3. აკულტურაციის გაზომვის ინსტრუმენტები

სამეცნიერო ლიტერატურაში აკულტურაციის ორიენტაციის გაზომვის სამი მიდგომა არსებობს: ბიპოლარული, ორგანზომილებიანი და ოთხგანზომილებიანი მიდგომები.

ბიპოლარულ მოდელში მონაწილეები აღნიშნავენ თავიანთ უპირატესობას მასპინძელი ან მშობლიური კულტურის მიმართ, სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, მაგალითად, როგორცაა მეგობრობა ან ტრადიციები (e.g. Celano & Tyler, 1991). ორგანზომილებიანი მიდგომის მიხედვით, უპირატესობის მინიჭება დამხვედრი და მასპინძელი კულტურის მიმართ, იზომება დამოუკიდებლად ორივე კულტურისთვის (e.g. Dona & Berry, 1994) და ბოლოს, ოთხგანზომილებიან მოდელში, განსხვავებული დებულებები გამოხატავენ ოთხ ორიენტაციას და უპირატესობის მინიჭება აკულტურაციის შემადგენელი ორიენტაციებისათვის ფასდება დამოუკიდებლად (e.g. Berry et. al., 2006).

მიდგომის მიუხედავად, აკულტურაციის შეფასებას/გაზომვას აქვს თავისი შეზღუდვები: პირველი, ბევრი სკალა იყო შემუშავებული სპეციფიკური იმიგრანტების პოპულაციისათვის და/ან კონტექსტისთვის, რამაც რთული გახდა ამ ტესტების სხვა პოპულაციაში ან კონტექსტში განზოგადება (Demes & Geeraert, 2014). მაგალითად, ემიგრანტების აკულტურაციის სკალა (Immigrant Acculturation Scale) (Bourhis & Barrette, 2006) არ არის მარტივად ადაპტირებადი არაემიგრანტ საზოგადოებაზე, მაგალითად, როგორცაა დროებით გადასახლებულები. ზოგიერთი დებულება დაკავშირებულია სახლის მოვლასთან, დასაქმებასთან, ქორწინებასთან, რომელიც შეიძლება არ იყოს რელევანტური ყველა საზოგადოებისთვის (მაგალითად, დროებითი რეპატრიანტებისა ან საერთაშორისო სტუდენტებისთვის) (Demes & Geeraert, 2014).

კითხვის ნიშნის ქვეშ დგება აკულტურაციის ორიენტაციის გაზომვის კონცეპტუალური მიდგომის სიცხადეც. აკულტურაციის ორიენტაციასა და იდენტიფიკაციას შორის თეორიული გადაფარვაც ამ პრობლემის ერთ-ერთი ნაწილია (Demes & Geeraert, 2014). მაგალითად, აკულტურაციის ინდექსი (Ward & Rana-Deuba, 1999) განსაზღვრულია, როგორც იდენტობის საზომი, მაგრამ ის გამოიყენება როგორც რესპონდენტების აკულტურაციის ორიენტაციის საზომი. უფრო მეტიც, ამ

ინსტრუმენტის გამოყენება შეიძლება, როგორც კულტურული სხვაობის საზომის, რადგან ინსტრუქციაში რესპონდენტებს სთხოვენ შეაფასონ მსგავსებები მათ მშობლიურსა და დამხვედრთა კულტურას შორის (Demes & Geeraert, 2014).

და ბოლოს, მეთოდოლოგიური საკითხი, აკულტურაციის ორიენტაციის საზომების გამოყენება ისე, რომ ინდივიდები შეესაბამებოდნენ ოთხი სტრატეგიიდან (Berry et. al., 2006; Bourhis et al., 2009) ერთ-ერთს. მაგალითად, ბერის (Berry) და მისი კოლეგების (2006) საზომი - აკულტურაციის ატიტუდების სკალა - იყენებს ოთხ სკალიან მეთოდს, რომელიც რესპონდენტებს აფასებინებს ინდივიდუალურ აკულტურაციის ატიტუდებთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან მტკიცებებს. ის ატიტუდი, რომელიც ყველაზე მაღალი ქულითაა შეფასებული, განსაზღვრავს ინდივიდის ორიენტაციას (Berry et. al., 2006). აკულტურაციის ინდექსის საზომის (Ward & Rana-Deuba, 1999) შემთხვევაში, მონაწილეებს ყოფენ ოთხ ჯგუფად, იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ აფასებენ მშობლიურ და მასპინძელ კულტურებს შორის განსხვავებულობას (მაგალითად, ორივესთან მაღალი მსგავსება = ინტეგრაციას).

ბერის (Berry, 2001) მიხედვით, აკულტურაციას უნდა მივუდგეთ ისე, როგორც კომპლექსურ პროფილს და არა როგორც იზოლირებულ ფენომენს ან ერთგანზომილებიან ქულას. მიუხედავად იმისა, რომ ბერის (Berry) განსაზღვრება კონცეპტუალურად არის ძალიან მდიდარი, მისი საზომი ინსტრუმენტი ნაკლებად გამოდგება სხვადასხვა კულტურის იმიგრანტების შესაფასებლად (Berry, 2001), სწორედ ამ მიზნით გადავწყვიტეთ კვლევის ფარგლებში, არ გამოგვეყენებინა ჯონ ბერის (Berry) აკულტურაციის საზომი სკალა და გამოვიყენეთ დეკლან ბერის (Berry, 2001) აღმოსავლეთ აზიელი ემიგრანტების აკულტურაციის შეფასების სკალა (EAAM).

აღმოსავლეთ აზიელი ემიგრანტების აკულტურაციის შეფასების სკალა (EAAM) (Berry, 2001) შედგება თვითაღწერითი 29 დებულებისგან, რომლებიც ზომავენ ჯონ ბერის (Berry) აკულტურაციის ოთხ განზომილებას: ასიმილაციას (8 დებულება), სეპარაციას (7 დებულება), ინტეგრაციას (5 დებულება) და მარგინალიზაციას (9 დებულება). ასევე, შეფასებულია სოციალური ინტერაქციისა და კომუნიკაციების სტილების დამოკიდებულებითი და ქცევითი ასპექტები. დებულებები ფასდება ლაიკერტის (Likert) ტიპის სკალაზე, 7 ბალიანი სისტემით: საერთოდ არ ვეთანხმები, არ

ვეთანხმები, გარკვეულწილად არ ვეთანხმები, ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს, გარკვეულწილად ვეთანხმები, ვეთანხმები და სრულიად ვეთანხმები. საბოლოო ქულის გამოანგარიშება ხდება დადებითი ქულების დაჯამებით (Barry, 2001). თავად დებულებები შემუშავებულია ბერის (Barry) მიერ ნახევრადსტრუქტურირებულ სიღრმისეულ ინტერვიუებზე დაყრდნობით. მას შემდეგ, რაც ავტორმა მოიპოვა ინფორმაცია სიღრმისეული ინტერვიუებიდან, მან ჩაატარა პილოტური კვლევა - მონაწილეები დაყო ორ ცხრაკაციან ჯგუფად, იმისთვის რომ მიეღო უკუკავშირი და შეემოწმებინა სკალის შავი ვერსია, თავად დებულებების მნიშვნელობები და მათი სიცხადე, რის შედეგადაც სკალამ გაიარა კიდევ შემდგომი მოდიფიკაციები (Barry, 2001).

სკალის სანდოობა მიღებულია კრომბახის ალფის დათვლით, რომლის კოეფიციენტი - ასიმილაცია = 0,77, სეპარაცია = 0,76, ინტეგრაცია = 0,74, მარგინალიზაცია = 0,85 (Barry, 2001).

აკულტურაციის ეს სკალა (EAAM), სხვა საზომებისგან განსხვავებით, აკულტურაციას უდგება, როგორც მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომელიც ჩნდება სხვადასხვა ეტაპზე, აფასებს ატიტუდებსა და ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში. სკალის თითოეული დებულება ზომავს განსხვავებულ სფეროს, სკალა არ არის ორაზროვანი ან სამაზროვანი და არ ხდება დებულებების მიერ ერთმანეთის გადაფარვა (Barry, 2001).

აღმოსავლეთ აზიელთა აკულტურაციის საზომი (EAAM) ადაპტირებულია/ნათარგმნია, საქართველოს კონტექსტში 2015 წელს, ია შეყრილადის მიერ (Shekriladze, 2017).


მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში სამიზნე ჯგუფის (სომხები და აზერბაიჯანელები) აკულტურაციის ორიენტაციები გაიზომა სწორედ აღმოსავლეთ აზიელთა აკულტურაციის ადაპტირებული საზომით (EAAM).

1.4. შეჯამება

აკულტურაცია წლების განმავლობაში იყო მეცნიერთა ყურადღების საგანი და მიმდინარეობდა კვლევები ამ მიმართულებით, თუმცა თავდაპირველად ის განხილული იყო, როგორც ერთგანზომილებიანი მოდელი, სადაც მხოლოდ

უმცირესობათა ჯგუფზე კეთდებოდა აქცენტი. სადისერტაციო ნაშრომი ემყარება ერთ-ერთი პირველი მკვლევრების თეორიებს, რომლებმაც აკულტურაცია განიხილეს, როგორც ორგანოზომილებიანი მოდელი და ყურადღება გაამახვილეს უმცირესობათა ჯგუფთან ერთად, უმრავლესობის/დომინანტი ჯგუფის მიმდებლობასა და ატიტუდებზე, რომლებიც იყვნენ ბერი და ბოურისი (Berry, 1989; Bourhis, 1997), რომელთა თეორიების მიხედვითაც, უმცირესობათა ჯგუფის მიერ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე გავლენას ახდენს დამხვედრი (დომინანტი) კულტურის დამოკიდებულებები. სწორედ, აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომი დამყარებულია მათ თეორიაზე და გაზომვის სირთულიდან გამომდინარე, იყენებს ბერის (Berry, 2001) აკულტურაციის გაზომვის სკალას და უკავშირებს აკულტურაციის სტრატეგიის გაზომვას იმ პიროვნულ თუ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინონ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე.

ფიგურა 2- ბერისა და ბოურისის მოდელის შედარება



აკულტურაციის კონტექსტუალური მოდელისა (Berry, 1997, 2005) და აკულტურაციის ინტერაქციული მოდელის (IAM) (Bourhis et. al., 1997) მიხედვით, ინტეგრაციის სტრატეგია შეესაბამება ინტეგრაციულ სტრატეგიას (მულტიკულტურალიზმი), ასიმილაციის ასიმილაციონისტურს (შერწყმა), სეპარაციის სტრატეგია სეგრეგაციულს (სეგრეგაცია) და მარგინალიზაციის ექსკლუზიონისტურს (გარიცხვა).

თავი 2. კვლევის მიზნები და ჰიპოთეზები

2.1. კვლევის თეორიული მოდელი

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემული სადისერტაციო ნაშრომი ემყარება აკულტურაციის კონტექსტუალურმოდელსა (Berry, 1997, 2005) და აკულტურაციის ინტერაქციულმოდელს (IAM) (Bourhis et. al., 1997), რომლის მიხედვით აკულტურაცია განიხილება, როგორც ორმხრივი მოდელი და აკულტურაციის პროცესების ყურადღების ცენტრში, **უმცირესობათა ატიტუდებთან** ერთად, ექცევა **უმრავლესობათა ატიტუდებიც**. ბერიმ (Berry, 1997) თავის თეორიულ მოდელში გამოყო 4 განსხვავებული სტრატეგია, რომელიც **უმცირესობათა ჯგუფმა შესაძლებელია**, აირჩიოს დომინანტ კულტურასთან ურთიერთობის პროცესში. ეს სტრატეგიებია ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია და მარგინალიზაცია. აქედან 2 სტრატეგია მიმართულია მშობლიური კულტურის შენარჩუნებისკენ (ინტეგრაცია და სეპარაცია), ხოლო 2 სტრატეგია - საპირისპიროდ (მარგინალიზაცია და ასიმილაცია). ამ თეორიული მოდელის მიხედვით ის, თუ რომელ სტრატეგიას აირჩევს უმცირესობათა წარმომადგენელი დომინანტ კულტურასთან ურთიერთობის პროცესში, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა მაგალითად, დემოგრაფიული მახასიათებლები (სქესი, ასაკი, განათლება და ა.შ), პიროვნული მახასიათებლები და დომინანტი კულტურის ატიტუდები უმცირესობათა ჯგუფის მიმართ, რომელიც დიდწილად განაპირობებს უმცირესობათა მხრიდან კონკრეტული სტრატეგიის არჩევანს. ბოურისის (Bourhis, 1997) მიხედვით, **უმცირესობათა მიმართ დომინანტმა კულტურამ** შესაძლებელია გამოხატოს სხვადასხვა ორიენტაცია, როგორცაა ინტეგრაციული, ასიმილაციონისტური, სეგრეგაციული და ექსკლუზიონისტური.

აღნიშნული თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით მოხდა სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული კვლევის მიზნების, საკვლევი საკითხების, ჰიპოთეზებისა და მეთოდოლოგიის ფორმულირება.

2.2. კვლევის მიზნები და საკვლევი საკითხები

მონაცემთა მოპოვებისთვის გამოყენებული იყო, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. მოცემულ კვლევაში, მეთოდთა ტრიანგულაცია

საშუალებას იძლევა (სამაგიდე კვლევა, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები) განისაზღვროს, როგორც საკვლევი ინდიკატორები, ასევე შესაძლებელი გახდეს რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე გამოვლენილ ცვლადთა ურთიერთკავშირის ინტერპრეტაცია.

საკითხის შესწავლის სპეციფიკის შესაბამისად, კვლევა დაიგეგმა რამდენიმე ეტაპად და თითოეულ მათგანს ჰქონდა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული მიზნები და ამოცანები.

პირველ ეტაპზე კვლევა განხორციელდა თემის დარგობრივ ექსპერტებთან, მეორე ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი გამოკითხვა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად აზერბაიჯანელებთან და სომხებთან, მესამე ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, ხოლო ბოლო ეტაპზე გამოიკითხა ეთნიკურად ქართველები, უმცირესობების მიმართ ატიტუდების დადგენის მიზნით.

კვლევის პირველ ეტაპზე, კვლევის ფარგლებში საკვლევი ცვლადებისა და საკვლევი ინსტრუმენტების დახვეწისთვის ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები თემის დარგობრივ ექსპერტებთან. სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარების დროს, ძირითადი ყურადღება გამახვილდა ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების გამოცდილებასა და იმ პრობლემებზე, რომელიც მათ ექმნებათ საქართველოში, როგორც ცხოვრების ინდივიდუალურ სფეროებში, ასევე საჯარო სფეროებშიც.

კვლევის მეორე და მესამე ეტაპზე ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებთან, მათი აკულტურაციის სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორების განსაზღვრის მიზნით.

კვლევის მეოთხე ეტაპზე ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვის მიზანი იყო განგვესაზღვრა ეთნიკურად ქართველების დამოკიდებულებები ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევები მიზნად ისახავდა პასუხი გაეცა შემდეგი კითხვებისთვის:

1. როგორ ინტეგრირდებიან საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები? რა სირთულეები ექმნებათ მათ ამ პროცესში?
2. აკულტურაციის რომელ სტრატეგიას ირჩევენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები?
3. რა არის ძირითადი საკვლევი საკითხები საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების აკულტურაციის მიმართულებით?
4. რა სოციალური პიროვნული და კულტურული ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებს ინტეგრაციის სტრატეგიების შერჩევას?
5. რა სოციალური, პიროვნული და კულტურული ფაქტორები განაპირობებს კონკრეტული აკულტურაციის სტრატეგიის არჩევას?
6. რა სხვაობაა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებისა და ეთნიკურად აზერბაიჯანელების მხრიდან არჩეულ აკულტურაციის სტრატეგიებს შორის?
7. როგორ აფასებენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები ეთნიკურად ქართველებთან კონტაქტის გამოცდილებას და სოციალური დისტანციის სასურველ დონეს?
8. რა როლი აქვს რელიგიას ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის პროცესში და რა განსხვავება აქვს რელიგიის როლს საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებში აკულტურაციის პროცესში?
9. როგორია ეთნიკური ქართველების მიერ საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების სოციალური აღქმა, მათ მიმართ დამოკიდებულებები (ატიტუდები)?
10. როგორია ეთნიკური ქართველების მიმდებლობა და სასურველი სოციალური კონტაქტის დონე სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლის მიმართ?

კვლევის მიზნებიდან, სამაგიდო კვლევისა და საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, შემუშავდა და სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია 4 ჰიპოთეზა, რომელიც ბერისა (Berry, 1989) და ბოურისის (Bourhis, 1997) თეორიულ ჩარჩოსთან ერთად, დაეყრდნო დარგის ექსპერტების ინტერვიუების ანალიზსა და აკულტურაციის შესახებ ლიტერატურის მიმოხილვას.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩამოყალიბდა 4 ჰიპოთეზა:

H1: საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები აკულტურაციის ოთხი სტრატეგიიდან (ასიმილაცია, ინტეგრაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია) უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციის სტრატეგიას;

H2: საქართველოში მცხოვრები სომხების და აზერბაიჯანელების რელიგიურობის მაღალი დონე უარყოფით კავშირში იქნება ასიმილაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიასთან და დადებით კავშირში იქნება სეპარაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიასთან;

H3: თვითშეფასება დადებით კავშირშია ინტეგრაციის სტრატეგიასთან და უარყოფით კავშირშია მარგინალიზაციის სტრატეგიასთან; ინტეგრაციის სტრატეგია დადებით კავშირშია კონტროლის შიდა ლოკუსთან და უარყოფით კავშირშია კონტროლის გარე ლოკუსთან; ინტეგრაცია უარყოფით კავშირშია მარტოობის მაჩვენებელთან;

H4: ეთნიკურად ქართველებს უარყოფითი სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვთ ეთნიკური უმცირესობების მიმართ და ისინი გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

2.3. კვლევის ჰიპოთეზები

***H1:** საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები აკულტურაციის ოთხი სტრატეგიიდან (ასიმილაცია, ინტეგრაცია, სეპარაცია, მარგინალიზაცია) უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციის სტრატეგიას.*

აკულტურაციის სტრატეგიებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული (Bourhis et al., 1997) და ასევე, წარმატებულ სტრატეგიად მიჩნეულია ინტეგრაციის სტრატეგია (Berry et. al., 1989; Berry & Krishnan, 1992; Dona & Berry, 1994, van Oudenhoven et. al., 1998). სხვა კვლევები (Berry et al., 2006; Paluck et al., 2019) ხაზს უსვამენ ინტეგრაციის მნიშვნელობას პოზიტიური ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ხელშეწყობის მიმართულებით და მულტიკულტურული იდეოლოგიების მნიშვნელობას უმცირესობათა ჯგუფის წევრების მიმართ ცრურწმენის შემცირებაში (Rios & Wynn, 2016). კვლევების (Berry et al., 2021; Nguyen & Benet-Martinez, 2013; Stogianni et.al ,2021) უმეტესობა ადასტურებს, რომ ინტეგრაციის სტრატეგიის

მხარდაჭერა დაკავშირებულია ემიგრანტებისთვის სასიკეთო შედეგებთან, მათ შორის ისეთებთან, როგორცაა ცხოვრებისეული კმაყოფილების უფრო მაღალი დონე, მაღალი თვითშეფასება და უკეთესი სოციოკულტურული ადაპტაცია. შესაბამისად, როგორც თეორიული ჩარჩოდან იკვეთება, ჩვენი წინასწარი ვარაუდით, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებიც და აზერბაიჯანელებიც უპირატესობას უნდა ანიჭებდნენ ინტეგრაციის სტრატეგიას.

H2: საქართველოში მცხოვრები სომხების და აზერბაიჯანელების რელიგიურობის მაღალი დონე უარყოფით კავშირში იქნება ასიმილაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიასთან და დადებით კავშირში იქნება სეპარაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიასთან.

ნაშრომის თეორიული ჩარჩოს (Berry, 2001) მიხედვით, ინდივიდის აკულტურაციის გამოცდილება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, მათ შორის მიგრაციის მოტივაციაზე (მაგ., ნებაყოფლობითი ან უნებლიე), ინდივიდუალურ ფაქტორებზე, კულტურულ ფაქტორებზე და მიგრანტების გამოცდილებასთან დაკავშირებულ ფაქტორებზე (Berry, 2001; Bochner, 1982). ადამიანები განსხვავდებიან სხვადასხვა კულტურული მახასიათებლით, რომელსაც გავლენა აქვს აკულტურაციაზე და რაც უფრო დიდია ეს განსხვავება, მით უფრო რთულია აკულტურაციის პროცესი (Sam & Berry, 2006). სხვა კვლევებიც (Awad, 2010; Gungor et al., 2011; Maliepaard et al., 2010) ხაზს უსვამენ უმცირესობისა და უმრავლესობის ჯგუფების/თემების აკულტურაციულ ორიენტაციას, რელიგიურ იდენტობასა და ჯგუფურ დამოკიდებულებას შორის ურთიერთკავშირს.

მოცემულ კვლევაში მონაწილე ეთნიკური უმცირესობები (სომხები და აზერბაიჯანელები) და დომინანტი კულტურის წარმომადგენლები (ქართველები) სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მატარებლები არიან. კვლევის მონაწილეები, ეთნიკურ წარმომავლობასთან ერთად, რელიგიური მრწამსით განსხვავდებიან, შესაბამისად, ასევე არიან რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები, 16,6% არის არამართმადიდებლური რელიგიის მიმდევარი.

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემები აღმსარებლობის მიხედვით აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებელია,

10.7% – მუსლიმი, 2.9% – სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი (GeoStat, 2014). დანარჩენ მაჩვენებლებს ინაწილებენ: კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები, იეჰოვას მოწმეები, იეზიდური, პროტესტანტული და იუდეური თემები.

ბერის (Berry 2006) მოდელისა და სხვა კვლევების (e.g. Amer & Hovey, 2005; Amer & Hovey, 2007; Jadalla & Lee, 2012; Aprahamian et. al., 2011) მიხედვით, განსხვავებული რელიგიის მქონე ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთაც მაღალი რელიგიური მიკუთვნებულობა აქვთ (არიან ღრმად მორწმუნეები), აკულტურაციის პროცესში ექმნებათ სირთულეები.

***H3:** თვითშეფასება დადებით კავშირშია ინტეგრაციის სტრატეგიასთან და უარყოფით კავშირშია მარგინალიზაციის სტრატეგიასთან; ინტეგრაციის სტრატეგია დადებით კავშირშია კონტროლის შიდა ლოკუსთან და უარყოფით კავშირშია კონტროლის გარე ლოკუსთან; ინტეგრაცია უარყოფით კავშირშია მარტოობის მაჩვენებელთან.*

ბერის (Berry, 2001) მიხედვით, თითოეული მიგრანტის დემოგრაფიული და ფსიქოლოგიური მახასიათებლები გავლენას ახდენს მათ ინდივიდუალურ აკულტურაციაზე. ფაქტორები მოიცავს ასაკს, სქესს, განათლებას, სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს და დამხვედრი კულტურის ენის ცოდნას.

სხვა კვლევები (Roncancio et. Al., 2012; Knight et. Al., 1977; Yao, 1983; Prigooff, 1984; Negg & Woods, 1992) ადასტურებენ, რომ ინდივიდის ფსიქოლოგიური მახასიათებლები, კერძოდ კონტროლის ლოკუსი და თვითშეფასების მაჩვენებელი, კავშირშია ინტეგრაციასა და აკულტურაციასთან, მაგალითად, მაღალი შინაგანი კონტროლის ლოკუსის მქონე ლათინო ამერიკელები, უფრო აკულტურირებულნი იყვნენ, ვიდრე გარეგანი ლოკუსის მქონე (Roncancio, et. Al., 2012). მექსიკელ ამერიკელებში აკულტურაციისა და კონტროლის ლოკუსის და თვითშეფასების მაჩვენებლებს შორის კორელაცია დადასტურდა (Knight et. Al., 1977); ჩინელებსა და მექსიკელებზე ჩატარებული კვლევები ამბობენ, რომ ბიკულტურული (ორი კულტურა) იდენტობის მქონე რესპონდენტებს უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ (Yao, 1983; Prigooff, 1984); ნეგისა და ვუდის (Negg & Woods, 1992) კვლევა ხაზს უსვამს თვითშეფასების გავლენას აკულტურაციაზე, კვლევის მიხედვით, თვით დარწმუნებულობა უბიძგებს ადამიანს

იყოს უფრო რისკიანი, დაამყაროს კონტაქტი იმ ადამიანთან, რომელიც არის მისი ეთნიკური ჯგუფის გარეთ, მაგალითად, დომინანტი კულტურის წარმომადგენლებთან.

გარდა თვითშეფასებისა და კონტროლის ლოკუსისა, აკულტურაცია სხვა კვლევების თანახმად (Jobe-Shields et. Al., 2011, Woodhouse et., 2012), კავშირშია მარტობის მაჩვენებელთანაც - მარტობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ინდივიდები აფიქსირებენ საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის დაბალ დონესა და სოციალური უნარების დეფიციტს. მიგრანტები, რომლებიც ავლენენ მეტ ორიენტაციას მშობლიური კულტურის მიმართ, შესაბამისად არიან უფრო ჩაკეტილნი, უფრო მეტად გრძნობენ მარტობას (Sawir et. Al., 2008); სტუდენტები, რომლებიც მუდმივ კონტაქტში არიან მშობლიური ქვეყნის მეგობრებთან, უცხო კულტურაში უფრო მარტოდ გრძნობენ თავს (Hofhus et. Al., 2019). მარტობის შეგრძნების დაბალი დონე ასევე, კავშირშია ინტეგრაციისა და ეთნიკური იდენტობის მაღალი და აღქმული დისკრიმინაციის დაბალ დონესთან (Neto et. al., 2022).

***H4:** ეთნიკურად ქართველებს უარყოფითი სტერეოტიპული დამოკიდებულება აქვთ ეთნიკური უმცირესობების მიმართ და ისინი გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ.*

ბერისა (Berry, 2003) და ბოურისის (Bourhis et. al., 1997) მიხედვით - აკულტურაცია ორმხრივი პროცესია და უმცირესობათა ჯგუფის აკულტურაციის სტრატეგიის არჩევაზე გავლენას ახდენს დომინანტი კულტურის მოლოდინები და რწმენები. აღნიშნულ აზრს ეხმიანება კვლევაში მონაწილე დარგობრივ ექპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგებიც, რომლის მიხედვითაც ქართველებს არ აქვთ ხშირი და ახლო კონტაქტი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტორთან, რომ ეთნიკურად ქართველები სტერეოტიპულად აღიქვამენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს. თემის დარგობრივი ექპერტების ინტერვიუების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს აქვთ ინტეგრაციის სურვილი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, თუმცა მათ ექმნებათ სხვადასხვა სირთულე, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ეთნიკურად

ქართველების მხრიდან მიუღებლობასთან, როგორც მოსახლეობის მხრიდან, ასევე სახელისუფლებლო დონეზეც.

„ეთნიკურ უმცირესობებს უნდათ საქართველოს პოლიტიკური პროცესების ან ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სივრცის ნაწილი იყვნენ. უბრალოდ ეს არსებული სტუმრის განცდა ხვდება, ეჭახება არსებულ პოლიტიკას უმცირესობის მიმართ, რაც შედეგად ეთნიკური უმცირესობების ფრუსტრირებას იწვევს“

(კაცი, ეთნიკური უმცირესობების მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ეთნიკურ უმრავლესობაში [ქართველებში] ამის მზაობა არ არის. არც სახელმწიფო დონეზე. ერთი არის იმიტომ, რომ არ იციან. მეორე იმიტომ, რომ საფრთხედ უყურებენ საკუთარი ადგილის კონკურენტად თვლიან და მესამე იმიტომ, რომ ისტორიული გამოცდილება რომ ამათთან თანაცხოვრება არ არის და თუ არის თანაცხოვრება ზევიდან ქვემოთ უყურებენ ეთნიკურ უმცირესობებს...“

(კაცი, ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ექსპერტების აზრით, საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები სტუმრებად გრძნობენ თავს საქართველოში, არ თვლიან, რომ ისინი არიან საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი.

„ეთნიკური უმცირესობები უმეტესად, საკუთარ თავს გრძნობენ საქართველოში, როგორც სტუმარი. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა საქართველოს წინაშე დღეს ეს... ძირითადად მიდგომა ეთნიკურ უმცირესობებისა არის, რომ ჩვენ მაინც არავინ არ გვეკითხება, ჩვენ მაინც გადაწყვეტი არა ვართ ამ ქვეყანაში ხო, ჩვენი ხმა მაინც არ წყვეტს არაფერს“

(კაცი, ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

მოცემული სადისერტაციო კვლევა მიზნად ისახავს შეამოწმოს ეს 4 ჰიპოთეზა და პასუხი გასცეს ზემოთ მოცემულ საკვლევ კითხვებს.

თავი 3 - კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პრაქტიკული გამოყენება

კვლევის მთავარ სამეცნიერო ღირებულებას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიებისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლა საქართველოს კონტექსტში. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები იმ ფაქტორების იდენტიფიცირების საშუალებას გვაძლევს, რომლებიც გავლენას ახდენენ ეთნიკური უმცირესობების მხრიდან აკულტურაციის კონკრეტული სტრატეგიის არჩევანზე და მეცნიერული კვლევა გამოვიყენოთ პრაქტიკული მიზნებისთვის.

აკულტურაციის სტრატეგიების განხილვის პროცესში ძირითადი ყურადღება ყოველთვის მახვილდება თავად უმცირესობათა ჯგუფის წევრების მიერ არჩევანის გაკეთებაზე და ნაკლებად არის შესწავლილი დომინანტი კულტურის დამოკიდებულებები. ამ სადისერტაციო ნაშრომში კი პირველად მოხდა აკულტურაციის, როგორც ორმხრივი ფენომენის შესწავლა საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებთან დაკავშირებით, სადაც კვლევის ფოკუსში მოექცა არა მხოლოდ უმცირესობათა წარმომადგენლები, არამედ ეთნიკურად ქართველებიც, როგორც დომინანტური ჯგუფის წევრები.

ასევე, მოხდა ბერისა (Berry, 2001) და ბოურისის (Bourhis et. al., 1997) თეორიული მიდგომების საქართველოს კონტექსტში შემოწმება, რითიც მოკრძალებული წვლილი შეაქვს აკულტურაციის ორმხრივი შესწავლის მიმართულებით. კვლევამ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა იმას, რომ აკულტურაციის ფენომენის შესწავლის პროცესში, უმნიშვნელოვანესია გავითვალისწინოთ კულტურული მახასიათებლები, როგორც უმცირესობათა ჯგუფის, ასევე დომინანტი კულტურის, რადგან სწორედ ეს მახასიათებლები და ეთნიკური ჯგუფის თავისებურებები განსაზღვრავს აკულტურაციის სტრატეგიის არჩევას.

ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილ იქნეს და მტკიცებულებების საფუძველზე დაიგეგმოს ქმედებები ეთნიკური ჯგუფებისთვის. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი ხაზს უსვამს არსებული პოლიტიკის ცვლილების

მნიშვნელობას და ეთნიკურ ჯგუფებზე მორგებული ხედვისა და მისიის შემუშავების აუცილებლობას.

კვლევის გამოყენებითი ხასიათის გათვალისწინებით, შესაძლებელია რეკომენდაციების შემუშავება სახელმწიფო პოლიტიკის დამგეგმავი უწყებებისთვის, როგორცაა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ასევე, დარგის მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო, საერთაშორისო თუ დონორი ორგანიზაციებისათვის.

ასევე, ხაზგასასმელია, რომ კვლევა არ ჩატარებულა მხოლოდ თბილისის მასშტაბით, არამედ მონაწილეთა უმეტესობა (88%) იყო კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (სომხები, აზერბაიჯანელები), შესაბამისად მონაცემთა განზოგადება შეგვიძლია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კომპაქტურ ჯგუფებზეც. ასევე, ეთნიკურად ქართველებზე ჩატარებული კვლევის შედეგების განზოგადებაც შესაძლებელია მთლიან გენერალურ ერთობლიობაზე, რადგან კვლევა ჩატარდა საქართველოს ყველა რეგიონში (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) და გამოიკითხა, როგორც ქალაქის მოსახლეობა, ასევე სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები.

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია ეთნიკური უმცირესობების მიმართ საინტეგრაციო პოლიტიკის, სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, რაც დაეხმარება სახელმწიფოს ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სრულფასოვან ინტეგრაციას საქართველოში.

თავი 4. კვლევის მეთოდოლოგია

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული იყო, კვლევის თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ) და რაოდენობრივი (გამოკითხვა) მეთოდები.

კვლევა ჩატარდა რამდენიმე ეტაპად:

1. ექსპერტული ინტერვიუები
2. რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხვა (საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სომხები და აზერბაიჯანელები)
3. სიღრმისეული ინტერვიუები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან
4. რაოდენობრივი კვლევა, გამოკითხვა (საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები)

კვლევის სუბიექტებად ეტაპების მიხედვით, განისაზღვრა რამდენიმე სამიზნე ჯგუფი.

4.1 . კვლევის პროცედურა და საკვლევი ინსტრუმენტები

4.1.1. პირველი ეტაპი

კვლევის პირველ ეტაპზე გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუები, რომელიც ჩატარდა თემის დარგობრივ ექსპერტებთან.

ექსპერტული ინტერვიუ, როგორც თვისებრივი ემპირიული კვლევის მეთოდი, ფართოდ გამოიყენება პოლიტიკურ და სოციალურ კვლევებში (e.g. Gläser & Laudel, 2004; Kaiser, 2014; Meuser & Nagel, 1991; Van Audenhove & Donders, 2019), ის მიზნად ისახავს შეისწავლოს ან შეაგროვოს მონაცემები კონკრეტული სფეროს შესახებ დარგობრივ ექსპერტებთან. სიღრმისეული მონაცემების შეგროვების მიზნით, თემის დარგობრივ ექსპერტებთან ინფორმაციის მოპოვებისთვის, მიზანშეწონილად ჩაითვალა კვლევის თვისებრივი მეთოდის, სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენება.

შემუშავდა სადისკუსიო გეგმა და მასზე დაყრდნობით ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, მონაწილეობა მიიღო 15-მა დარგობრივმა ექსპერტმა. ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ შეადგინა 60-90 წუთი.

ინტერვიუ მიზნად ისახავდა შემდეგი ინფორმაციის მოპოვებას:

- საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების სირთულეები და პრობლემები
- ფაქტორები, რომელიც ხელს უშლიან ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებს სრულფასოვანი ინტეგრაციის გავლაში
- ეთნიკურად ქართველების განწყობები და მათი დამოკიდებულებების გავლენა ეთნიკურად სომხებსა და აზერბაიჯანელებზე
- ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით საკვლევი საკითხების განსაზღვრა

ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის ოქტომბრისა და დეკემბრის თვეში (პირპისპირ).

ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, ყველა ინტერვიუ ჩაიწერა დიქტოფონზე, ინტერვიუების შემდეგ მოხდა ტრანსკრიბირებული ნარატივის ანალიზი თვისებრივი კონტენტ ანალიზის გამოყენებით.

4.1.2. მეორე ეტაპი

კვლევის მეორე ეტაპზე გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ გამოკითვაში მონაწილეობა მიიღო 452 რესპონდენტმა (ეთნიკურად აზერბაიჯანელი 46,5%; ეთნიკურად სომეხი 53,5%) (n=452).

კვლევის მიზნებიდან და საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე, შეიქმნა რაოდენობრივი კვლევის ანკეტა/კითხვარი, რომლისთვისაც კითხვები შემუშავდა თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით და ასევე, დაეყრდნო თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზს (გამოკითხვის ხანგრძლივობამ საშუალოდ შეადგინა 45 წუთი)

ანკეტა შედგებოდა სხვადასხვა ბლოკისგან; სხვა სახის კითხვებთან ერთად, კითხვარში ჩაშენდა ფსიქოლოგიური მახასიათებლების საზომები (თვითაღწერის სხვადასხვა ინსტრუმენტი) ასევე, აკულტურაციის სტრატეგიების განსაზღვრის მიზნით, გამოყენებული იყო აღმოსავლეთ აზიელი იმიგრანტების აკულტურაციის შეფასების სკალა (EAAM) (Barry, 2001), რომელიც ქართულ ენაზე ადაპტირდა ია შეყრილაძის მიერ 2015 წელს.

კვლევის მესამე ჰიპოთეზის შემოწმების მიზნით, კითხვარში გამოყენებული იყო შემდეგი ინსტრუმენტები/თვითაღწერითი სხვადასხვა საზომი (რომელიც ადაპრირებულია ქართულ პოპულაციაზე (სუმბაძე და სხვები, 2012) კერძოდ:

- *როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა (Rotter, 1966)*- საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების კონტროლის შინაგანი და გარეგანი ლოკუსის განსაზღვრის მიზნით, რომელიც იძულებითი არჩევანის ფორმატში რესპონდენტს არჩევინებს ორი პასუხიდან („ა“ ან „ბ“) ერთ-ერთს. ერთი დებულება შეესაბამება კონტროლის გარეგან ლოკუსს, ხოლო მეორე დებულება კონტროლის შინაგან ლოკუსს;
- *როზემბერგის (Rosemberg, 1965) თვითშეფასების სკალა*, რომელიც თვითშეფასების ყველაზე გავრცელებული საზომია, გამოყენებული იყო საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების თვითშეფასების დონის დასადგენად. სკალის მიხედვით თვითშეფასება არის გენერალიზებული, დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. სკალა გვაძლევს საშუალებას ადამიანების კლასიფიკაცია მოვახდინოთ დაბალი და მაღალი თვითშეფასების მქონე ჯგუფებად;
- *მარტოობის საზომის სკალა (Russel, Peplau & Kutrona, 1980)* კვლევის მონაწილეების მარტოობის აღქმის დონის განსაზღვრის მიზნით. სკალის პირველი ვერსია 1978 წელს არის შექმნილი, ხოლო მეორე ვერსია პეპლაუმ და კუტრონამ შექმნეს 1980 წელს (Russel, Peplau & Cutrona), ბოლო ვერსია არის შედარებით გამარტივებული და მეორე ვერსიისგან განსხვავებით, მტკიცებების ნაცვლად წარმოდგენილია კითხვები და შეიქმნა 1994 წელს. ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემები სკალის მეორე ვერსიის გამოყენებით. სკალაში მარტოობა მიჩნეულია, როგორც პასუხები სოციალური ურთიერთობების სიმცირეზე და იზომება მარტოობა, როგორც პიროვნული თვისება და არა მდგომარეობა.

გარდა ზემოჩამოთვლილი ინსტრუმენტებისა, ნაშრომის საკვლევი საკითხების გათვალისწინებით, გამოყენებული იყო სხვა თვითაღწერითი ტესტებიც:

- *სოციალური დისტანციის გაზომვის მიზნით, გამოყენებული იყო სოციალური დისტანციის სკალა (Bogardus, 1925)*. სოციალური დისტანცია გამოხატავს

სხვადასხვა ჯგუფს შორის მანძილს, განსაზღვრავს იმ ოდენობას, რა ოდენობითაც ინდივიდები იზიარებენ გარეგნობას, მრწამს, ჩვევასა და სხვა თვისებებს (Akerlof, 1997). სოციალური დისტანციის ყველაზე პოპულარული და კლასიკური საზომია ბოგარდუსის (Bogardus, 1933) სოციალური დისტანციის სკალა, რომელიც ზომავს იმ ოდენობას, რა ოდენობითაც პიროვნებას აქვს სურვილი ურთიერთობა ჰქონდეს სხვა ჯგუფის (ეთნიკური, რელიგიური და ა.შ.) წარმომადგენელთან;

- *ცხოვრების ორიენტაციის სკალის გადამუშავებული ვერსია (Scheier & Carver, 1985)* საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების ცხოვრების ორიენტაციის გაზომვის მიზნით. ცხოვრების ორიენტაციის სკალა შექმნილია 1985 წელს შეიერისა და კარვერის მიერ (Scheier & Carver, 1985). გადამუშავებული ვერსია შედგება 10 დებულებისგან, რომელიც მიუთითებს ინდივიდის მიერ პოზიტიურ/ოპტიმისტურ და ნეგატიურ/პესიმისტურ ორიენტაციებზე.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების უმრავლესობა სრულყოფილად არ ფლობს სახელმწიფო ენას (ბთკკ³, 2008), ამაზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამჟამად საქართველოში 208 არაქართულენოვანი საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. გარდა ამისა, სკოლებში ასევე, მოქმედებს 89 არაქართულენოვანი სექტორი, სადაც სწავლა რუსულად, სომხურად ან აზერბაიჯანულად მიმდინარეობს. სულ ქვეყანაში, არაქართულენოვან სკოლებსა და სექტორებში, 52.000 მოსწავლე ირიცხება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2021). ამ ვითარების გათვალისწინებით, კითხვარის ადაპტირება ყველა წესის დაცვით მოხდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე (კითხვარის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ვერსია იხილეთ დანართში) - ანკეტა და მასში შემავალი ყველა კითხვა და დებულება ითარგმნა ქართულიდან სომხურად და აზერბაიჯანულად და შემდეგ ისევ ქართულად, რათა მომხდარიყო ორიგინალ ვერსიასთან შედარება. ანკეტის თარგმნის პროცესში ჩართულები იყვნენ პროფესიონალი თარგმანები (ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი).

³ პოლიტიკის კვლევის ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების პროგრამა

უმუალოდ საველე სამუშაოების დაწყებამდე, ჩატარდა 7-7 პილოტური (კოგნიტური ინტერვიუ) ანკეტირება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, რათა დაგვედგინა, თუ რამდენად გასაგები იყო თითოეული კითხვა (აღნიშნული 14 ანკეტა არ არის გამოყენებული მონაცემთა საბოლოო დამუშავებაში).

მონაცემები დამუშავდა სოციალური მეცნიერებებისთვის შექმნილი სტატისტიკური პროგრამის (SPSS v25) გამოყენებით.

4.1.3. მესამე ეტაპი

კვლევის მესამე ეტაპზე გამოყენებული იყო კვლევის თვისებრივი მეთოდი, სიღრმისეული ინტერვიუ ეთნიკურ უმცირესობებთან. სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებით ჩვენ გვეძლევა საშუალება მოვიპოვოთ სიღრმისეული ინფორმაცია გამოკითხულთა შეხედულებების, გამოცდილების, ინტერპრეტაციების და გაუცნობიერებელი შინაგანი დისპოზიციების (წინასწარი მზაობა, განწყობა, მოლოდინები, ატიტუდები და სხვა) შესახებ.

ამ ეტაპზე თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენება საშუალებას გვამძლევს შევავსოთ კვლევის მეორე ეტაპზე მოპოვებული რაოდენობრივი ინფორმაცია.

ჩატარდა 42 სიღრმისეული ინტერვიუ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურად სომეხ (n=20) და აზერბაიჯანელ (n=22) რესპონდენტებთან.

სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ისტორიულ სამშობლოსთან კავშირი
- მსგავსება და განსხვავება საქართველოში მცხოვრებ ისტორიულ სამშობლოში მცხოვრები ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, სომეხებს შორის, ცხოვრებისეულ ასპექტებსა და ატიტუდებში
- ასევე, მსგავსება და განსხვავება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს, სომეხებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის ცხოვრებისეულ ასპექტებსა და ატიტუდებში
- საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების, სომეხების და ქართველების ურთიერთობის ფორმები და მათი აღქმები, აღქმული ატიტუდები

- საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და სომხების ქვეყანაში ცხოვრების სირთულეები და პრობლემები

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, მათ მშობლიურ ენაზე. ინტერვიუს დროს პროფესიონალი თარჯიმანი თარგმნიდა კითხვებს, ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს. თითოეულ ინტერვიუზე, ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე გაკეთდა აუდიო ჩანაწერი. რესპონდენტების მშობლიურ ენაზე გაკეთებული ტრანსკრიპტები ითარგმნა ქართულ ენაზე. მიღებული ნარატივები დამუშავდა თვისებრივი კონტენტ ანალიზის გამოყენებით.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2020 წლის ოქტომბერ-დეკემბერში (ინტერვიუები ჩატარდა პირისპირ).

ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ შეადგინა 60 წუთი.

4.1.4. მეოთხე ეტაპი

კვლევის ბოლო ეტაპი ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ, ანკეტირების გამოყენებით.

ბერისა (Berry, 2001) და ბოურისის (Bourhis et. al., 1997) თეორიულ ჩარჩოსა და თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე, ერთ-ერთ მთავარ საკითხად განისაზღვრა ეთნიკურად ქართველების დამოკიდებულების შესწავლა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ, ბოურისის (Bourhis et. al., 1997) თეორიის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიის არჩევაზე ზეგავლენას ახდენს დომინანტი (ამ შემთხვევაში ეთნიკურად ქართველი) კულტურის მოლოდინები და განწყობები (Berry, 2001; Bourhis et. Al., 1997).

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 1200 ეთნიკურად ქართველი საქართველოს მასშტაბით, როგორც სოფლად ასევე ქალაქად.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ანკეტა, რომელიც მოიცავდა დემოგრაფიულ ბლოკს, შედგენილ კითხვებს (თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე მიღებული მასალების გამოყენებით) და თვითაღწერით ტესტებს.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებების განსაზღვრის მიზნით შექმნილი კითხვარი ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ეთნიკური უმცირესობების ნეგატიურ და პოზიტიურ კონტექსტში აღქმას
- ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართულობას
- ეთნიკური უმცირესობების რელიგიურობას და რელიგიის მნიშვნელობას დომინანტი კულტურის წარმომადგენლებისთვის
- დამოკიდებულებებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ

ანკეტაში გამოყენებული იყო შემდეგი თვითაღწერითი საზომი, სოციალური დისტანციის სკალა (Bogardus, 1925) - ეთნიკური ქართველების მიმდებლობისა და სასურველი კონტაქტის დონის განსაზღვრის მიზნით, რომელიც ასევე, გამოყენებული იყო კვლევის მესამე ეტაპზე (ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის პროცესში).

საველე სამუშაოები განხორციელდა 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში. გამოკითხვა ჩატარდა 20 კითხვიანი თვითადმინისტრირებადი ანკეტის გამოყენებით (დახურული და ღია შეკითხვებით) რათა შეგვემცირებინა სოციალური სასურველობის ეფექტი. ინტერვიუერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვებოდა კითხვარის შევსების პროცესში, თუ რესპონდენტს უჩნდებოდა კითხვა. დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემის დროს რესპონდენტი ირჩევდა შეთავაზებულთაგან ერთ (ან რამდენიმე) პასუხს რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავდა მის დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხის მიმართ.

ღია შეკითხვების დროს რესპონდენტი თავად ახდენდა პასუხის ფორმულირებას.

რესპონდენტთა ყველა ღია პასუხი გაერთიანდა თემატურ ჯგუფებში. ანალიზის ერთეულად ჩაითვალა მსჯელობა. ზოგ პასუხში გაერთიანებული იყო რამდენიმე მოსაზრება. ამ შემთხვევაში რესპონდენტის პასუხმა მონაწილეობა მიიღო რამდენიმე თემატურ ჯგუფში.

შესაბამისად, ღია პასუხების ანალიზში მოყვანილია რესპონდენტთა ყველაზე მეტად დამახასიათებელი პასუხები.

ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ შეადგინა 15 წუთი.

მიღებული მონაცემები დამუშავდა სოციალური მეცნიერებებისთვის შექმნილი სტატისტიკური პროგრამის (SPSS v25) გამოყენებით.

4.2. შერჩევის მეთოდი

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში (თვისებრივი, რაოდენობრივი) გამოყენებული იყო მიზნობრივი შერჩევის მეთოდები.

კვლევის პირველ ეტაპზე დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების დროს, შერჩევის მეთოდად განისაზღვრა *არაალბათური შერჩევის მეთოდი - ხელმისაწვდომი შერჩევა*. სულ ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ.

კვლევის მეორე და მესამე ეტაპზე, ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მიზნობრივი შერჩევის მეთოდებად განისაზღვრა *ხელმისაწვდომი შერჩევა, თოვლის გუნდა*. კვლევის რაოდენობრივ ნაწილში (გამოკითხვა) მონაწილეობა მიიღო 452-მა საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკურად სომეხმა (n=210) და ეთნიკურად აზერბაიჯანელმა (n=242) რესპონდენტმა, ხოლო თვისებრივ ნაწილში (სიღრმისეული ინტერვიუ) 42-მა (სომეხი n=20; აზერბაიჯანელი n=22).

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა თვითადმინისტრირებადი ანკეტის გამოყენებით. ინტერვიუერი მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვებოდა კითხვარის შევსების პროცესში, თუ რესპონდენტს ჰქონდა კითხვა კონკრეტულ დებულებასთან დაკავშირებით. გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ კარდაკარ მეთოდის (D2D) გამოყენებით.

ბოლო ეტაპის შემთხვევაში, რაოდენობრივი კვლევის შერჩევის მეთოდად განისაზღვრა *მიზნობრივი, კვოტური შერჩევა*, რათა უზრუნველყოფილიყო გენერალურ ერთობლიობაში არსებული პარამეტრების პროპორციული განაწილება. კვლევა ჩატარდა საქართველოს 10 რეგიონში, როგორც სოფლად ასევე ქალაქად,

ოკუპირებული ტერიტორიების გარდა (თბილისი, იმერეთი, აჭარა, კახეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი და რაჭა-ლეჩხუმი). სულ გამოიკითხა 1200 რესპონდენტი (18+) მრავალსაფეხურიანი რეპრეზენტატული შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. შერჩევის სიდიდე განისაზღვრა მონაცემთა 95%-იანი სანდოობით, სტატისტიკური ცდომილების $\pm 2,5\%$ ფარგლებში.

ბოლო ეტაპის საველე სამუშაოების დაწყებამდე წინასწარ მოხდა რეგიონის, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკის მიხედვით შესაბამისი კვოტების გამოყოფა საქართველოს მასშტაბით პოპულაციის განაწილების პროცენტული წილების მიხედვით. აღნიშნული კვოტის გათვალისწინებით, თითოეულ რეგიონში მიმდინარეობდა შესაბამისი რესპონდენტის ძიება - ინტერვიუერი მოძრაობას იწყებდა თავისუფალი ხეტიალის გამოყენებით (3 ბიჯით), თავისუფალი კვოტის შემთხვევაში ინტერვიუერი რესპონდენტს არჩევდა ბოლო დაბადების დღის წესის გამოყენებით.

4.3. კვლევის მონაწილეები

1) ექსპერტულ გამოკითხვაში სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით მუშაობაში გამოცდილების მქონე ექსპერტებთან.

თემის დარგობრივი ექსპერტები იყვნენ ისტორიკოსები, ანთროპოლოგი, ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ლინგვისტები და ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით მომუშავე განათლების ექსპერტები. აღსანიშნავია, რომ თემის დარგობრივი ექსპერტები უშუალოდ მუშაობენ ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით სხვადასხვა ინიციატივისა თუ პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე და უშუალო შეხება აქვთ რეგიონებსა და დედაქალაქში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. ჯამში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა დარგობრივმა ექსპერტმა.


ცხრილი 3- კვლევაში მონაწილე ექსპერტები

	დარგი	სქესი
1	ისტორიკოსი	ქალი
2	ისტორიკოსი	კაცი
3	ისტორიკოსი	კაცი
4	ისტორიკოსი	კაცი
5	განათლების ექსპერტი	კაცი
6	განათლების ექსპერტი	კაცი
7	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	კაცი
8	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	კაცი
9	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	კაცი
10	არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი	კაცი
11	საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ქალი
12	საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი	ქალი
13	საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი	კაცი
14	ანთროპოლოგი	ქალი
15	დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი	ქალი

2) ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, გამოკითხვა ჩატარდა თბილისში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის მხარეში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 452 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა (სომეხი (n=210), აზერბაიჯანელი (n=242)). მონაწილეების 40% ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში, 12% თბილისში, 40% ქვემო ქართლში და 8% კახეთში.

რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 13-დან 82 წლამდე. მონაწილეების თითქმის ნახევარი (40.8%) იყო 19-30 წლის, შემდეგ 31-44 წლის და ყველაზე მცირე ნაწილი 75 წელს ზევით მყოფი რესპონდენტები.

ფიგურა 3 - მონაწილეთა ასაკობრივი გადანაწილება



კვლევის მონაწილეების 46,5% იყო ეთნიკურად სომეხი, ხოლო 53,5% ეთნიკურად აზერბაიჯანელი. მონაცემთა შედეგებზე დაყრდნობით მათი აბსოლუტური უმრავლესობა სახლში საუბრობს მშობლიურ ენაზე.

როგორც ეთნიკურად სომეხები, ასევე აზერბაიჯანელებიც აღნიშნავენ, რომ მათ სახელმწიფო ენა (ქართული) იციან საშუალოზე უფრო კარგად (სომეხები - $M=3.5$; $SD=1.171$; აზერბაიჯანელები - $M=3.33$; $SD=1.022$).

როგორც ეთნიკურად სომეხები, ასევე აზერბაიჯანელები აღნიშნავენ, რომ ყველაზე კარგად იციან მათი ეთნიკური წარმომავლობის ენა (სომხური და აზერბაიჯანული). ეთნიკურად სომეხებმა საკუთარი ენის შემდეგ, ყველაზე კარგად იციან რუსული ენა,

ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელებმა თურქული და შემდეგ რუსული ენა. რაც შეეხება ევროპული ენების ცოდნას, ეთნიკური უმცირესობების მიერ სხვა ენების შეფასების მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია (<2,5).

ცხრილი 4-ენების ცოდნა

	სომეხი		აზერბაიჯანელი	
	საშუალო	სტ. გადახრა	საშუალო	სტ. გადახრა
ქართული	3,5	1,171	3,33	1,022
სომხური	4,43	0,497	1,23	0,66
აზერბაიჯანული	1,02	0,168	4,64	0,521
ინგლისური	2,03	1,446	2,35	1,258
რუსული	4,13	0,783	3,08	1,013
თურქული	2,03	1,446	3,72	1,263
გერმანული	1,01	0,154	1,27	0,662
ფრანგული	1,02	0,168	1,15	0,421
ესპანური	1	0,069	1,14	0,42

კვლევაში მონაწილეების უმეტესობას აქვს საშუალო და უმაღლესი განათლება, შემდეგ არასრული უმაღლესი ან ტექნიკური განათლება. რესპონდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (83%) აღნიშნავს, რომ მან განათლება მიიღო სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე. 10% ამბობს, რომ განათლება აქვს მიღებული შერეულ ენებზე (ქართული და სომხური/აზერბაიჯანული), 3% განათლება ქართულ ენაზე აქვს მიღებული და 4%-ს -რუსულზე.

ცხრილი 5-მონაწილეთა განათლება

განათლება	
	%
დაწყებითი	1,3
არასრული საშუალო	4,2
საშუალო	39,2
ტექნიკური	12,4
არასრული უმაღლესი	16,2
უმაღლესი	24,1
მაგისტრატურა	2,7

3) მესამე ეტაპზე, თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში მცხოვრებმა 42-მა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა (ეთნიკურად სომხები (n=20) და აზერბაიჯანელები (n=22)). სიღრმისეულ ინტერვიუებში გამოკითხულების 66,6% წარმოადგენდნენ ქალები, ხოლო 33,4% - მამაკაცები, ასაკობრივი ჯგუფები მერყეობდა 18-დან 49 წლამდე. 18-24 წლის 52,3%, 25-34 წლის 16,6%, 35 წელს ზევით 31,1%.

4) ხოლო მეოთხე ეტაპზე, რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის, სქესის, განათლების და სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე 1200-მა ეთნიკურად ქართველმა.

ქვევით მოცემულია კვლევის მონაწილეების დემოგრაფიული მახასიათებლები შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სქესი, ასაკი, განათლება, აღმსარებლობა, მატერიალური მდგომარეობა, საცხოვრებელი რეგიონი და დასახლების ტიპი.


- სქესის მიხედვით კვლევაში მონაწილეების 55%-ს წარმოადგენენ ქალები, ხოლო 45%-ს კაცები.

ცხრილი 6-მონაწილეთა სქესი

სქესი	%
კაცი	45 %
ქალი	55 %


კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელმა, კერძოდ კი ასაკობრივი ჯგუფები იყო შემდეგი: 18-24, 25-34, 35-44, 45-54, 55-64, 65+.

ფიგურა 4 -მონაწილეთა ასაკი



რაც შეეხება სქესისა და ასაკის ურთიერთგადანაწილებას, ის ასევე, იყო გენერალური ერთობლიობის რესპრეზენტატული. ქალი რესპონდენტების 14,2% იყო 18-24, 18,2% - 25-34, 19,8% - 35-44, 18,5% - 45-54, 14,7% - 55-64 წლისა და 14,5% - 65 წელს ზემოთ. ხოლო კაცების 15% - 18-24 წლის, 19,1% - 25-34, 14,4% - 35-44, 19,8% - 45-54, 14,8% - 55-64 წლისა და 16,9% - 65 წელს ზემოთ.


ფიგურა 5 - მონაწილეთა სქესისა და ასაკის შეფარდება



განათლების მიხედვით რესპონდენტების უმრავლესობა იყო უმაღლესი (37,4%) და საშუალო (30,1%) განათლების მქონე, ხოლო უმცირესობა დაწყებითი (0,5%) განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის (0,5%) მქონე.

ფიგურა 6 - მონაწილეთა განათლება


განათლება



კვლევის მონაწილეების მესამედზე მეტი (39,3%) აღნიშნავს, რომ მათი შემოსავლები საკმარისია საჭმლისა და ტანსაცმლისთვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მართლაც ძვირადღირებული ნივთების ყიდვა; ასევე მეოთხედის (21,9%) თქმით, მათი შემოსავლები საკმარისია სახლისთვის ძვირადღირებული ნივთების შესაძენად, მაგრამ არა მანქანისთვის. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი აფასებს საკუთარ თავს, როგორც უკიდურესად გაჭირვებულს, რომელსაც საჭმლის ფულიც კი არ აქვს (5,6%) ან უკიდურესად შეძლებულს, რომელსაც შეუძლია ყველაფრის ყიდვა (3,2%).

ფიგურა 7 - მონაწილეთა მატერიალური მდგომარეობა


მატერიალური მდგომარეობა



რესპონდენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (96,3%) მართმადიდებელია, მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო მუსულმანი (3,5%) ან კათოლიკე (0,2%).

ფიგურა 8 - მონაწილეთა აღმსარებლობა


აღმსარებლობა



გამოკითხულების 60,3% არის ქალაქის მაცხოვრებელი, ხოლო 39,8% -სოფლის.

რეგიონების მიხედვით პროცენტული გადანაწილება შეგვიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე.

ფიგურა 9 -მონაწილეთა რეგიონის მიხედვით გადანაწილება



4.4. ეთიკური საკითხები

კვლევის პროცესში დაცული იყო ეთიკური საკითხები. როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდების გამოყენებისას ხდებოდა წინასწარ ინფორმირებული თანხმობის აღება კვლევის მონაწილეებისგან. რესპონდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია, კვლევის მიზნების და ამოცანების, გამოკითხვის ხანგრძლივობისა და კონფიდენციალობის შესახებ.

აუდიო ჩანაწერის გაკეთების შემთხვევაში, რესპონდენტს წინასწარ მიეწოდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარებდა ინტერვიუს ჩაწერა.

ყველა ეტაპზე ინფორმირებული თანხმობის პრინციპით ხდებოდა ინფორმაციის გაზიარება, რომ მათი პირადი მონაცემები არსად არ იქნებოდა დაფიქსირებული, მათი პასუხები განზოგადებული სახით, იქნებოდა სხვა რესპონდენტების პასუხებთან წარმოდგენილი კვლევაში.

ყველა დოკუმენტი ელექტრონული ან/და მატერიალური სახით ინახება დაცულ სივრცეში.

თავი 5. შედეგების აღწერა

კვლევის რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება მოხდა სტატისტიკური ანალიზის პროგრამის SPSS-ის გამოყენებით, ხოლო თვისებრივი კვლევის მონაცემები დამუშავდა თვისებრივი კონტენტ ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების დამუშავება მიმდინარეობდა სხვადასხვა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკური კრიტერიუმის გამოყენებით: ჯგუფთაშორისი შედარებები (T test, Anova test, X² test), კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

სადისერტაციო ნაშრომი განიხილავს ბერის (Berry) თეორიულ ჩარჩოს, რომელშიც ის ხაზს უსვამს იმ ფაქტორებს, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს უმცირესობათა ჯგუფის აკულტურაციის სტრატეგიის არჩევაზე ან მის ატიტუდებზე აკულტურაციის მიმართ. ის ფაქტორები, რომლებიც ბერის (Berry) მიხედვით, გავლენას ახდენენ ინდივიდის აკულტურაციაზე, არის: განათლების დონე, დომინანტი კულტურის ენის ცოდნა, სოციალური მხარდაჭერის, რელიგია (Berry, 2003; Yeh, 2003), ასაკი, სქესი, დამხვედრ კულტურაში ცხოვრების ხანგრძლიობა (Berry, 2003; Bhugra, 2003, Oh et. al., 2002; Yeh, 2003) და მასპინძელი კულტურის ატიტუდები.

მოცემული სადისერტაციო ნაშრომის შემდეგ ნაწილში განხილულია ის შედეგები, რომელიც კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ანალიზის შედეგად არის მიღებული.

5.1 ეთნიკური უმცირესობების საქართველოში აკულტურაციის სტრატეგიების განსაზღვრა

სხვადასხვა კვლევა (Nguyen, & Benet-Martínez, 2012; Rudmin, 2003; Ward & Rana-Deuba, 1999) ადასტურებს, რომ უმცირესობების მხრიდან, ყველაზე ხშირად გამოყენებული სტრატეგია არის ინტეგრაციის სტრატეგია, რომელიც ასევე დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და სოციოკულტურულ ადაპტაციასთან. სადისერტაციო კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო ბერის (Barry, 2006) აკულტურაციის საზომი სკალა, რომლის ფარგლებშიც ჩვენ უნდა დაგვედგინა აკულტურაციის 4 სტრატეგიიდან (ინტეგრაცია, ასიმილაცია, სეპარაცია,

მარგინალიზაცია), რომელს უფრო მეტად მიმართავენ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები.

ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ ეთნიკური უმცირესობების მიერ აკულტურაციის ყველაზე მეტად გამოყენებული სტრატეგიაა ინტეგრაცია ($M=3,8$; $SD=1,1$), შემდეგ სეპარაცია ($M=3,6$; $SD=1,2$) და ბოლოს მარგინალიზაცია ($M=2,5$; $SD=0,9$) ან ასიმილაცია ($M=2,3$; $SD=1,1$). ეს შედეგები მიყვება მსოფლიო ტენდენციებს და ადასტურებს კვლევების (Nguyen, & Benet-Martínez, 2012; Rudmin, 2003; Ward & Rana-Deuba, 1999) შედეგებს, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციას. თუმცა ეს შედეგები გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების აკულტურაციას განვიხილავთ ერთობლივად. ორი ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენლის შედეგების ცალ-ცალკე განხილვისას იკვეთება სხვაობები ეთნიკურად აზერბაიჯანელებისა და სომხების მიერ აკულტურაციის სტრატეგიების არჩევასთან დაკავშირებით.

ორივე ეთნოსი, როგორც სომხები ასევე აზერბაიჯანელები, ზოგადად, მიდრეკილი არის თავიანთი კულტურული იდენტობის შენარჩუნებისკენ. სომხებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული ღირებულებების შენარჩუნება, მათი იდენტობისა და მიკუთვნებულობის განცდისთვის. კვლევების თანახმად (Aghaie, 2019; Ghazarian, 2017), სომხური დიასპორა მთელი მსოფლიო მასშტაბით ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს კულტურის შენარჩუნებას. მსგავსად, აზერბაიჯანელებისთვისაც, კულტურული ღირებულებების შენარჩუნება მნიშვნელოვანია მათი იდენტობისა და მემკვიდრეობისთვის და პრიორიტეტად მიიჩნევენ მათი ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას (Mammadova, 2015). შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აკულტურაციის სტრატეგიებიდან სომხები და აზერბაიჯანელები უპირატესობას მიანიჭებენ ისეთ სტრატეგიებს, რომელიც არის კულტურული იდენტობის შენარჩუნებისკენ მიმართული, შესაბამისად თუ გავყვებით ბერის (Berry, 2001) თეორიულ მოდელს, ეს სტრატეგიები უნდა იყოს სეპარაცია ან ინტეგრაცია, რადგან სწორედ ეს ორი სტრატეგია მოიცავს კულტურული იდენტობის შენარჩუნებისკენ მიდრეკილებას.

სომხებისა და აზერბაიჯანელების მხრიდან სხვადასხვა სტრატეგიის არჩევანის ტენდეციაზე დარგობრივი ექსპერტებიც მიუთითებენ და აღნიშნავენ, რომ ეთნიკურად სომხები უფრო ინტეგრირებულნი არიან ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელები. ამის მიზეზად კი ეთნიკურად სომხების გახსნილობასა და განათლების უფრო მაღალ დონეზე მიუთითებენ ეთნიკურად აზერბაიჯანელებთან შედარებით.

„აღბათ ეთნიკურად სომხები უფრო მეტად გახსნილები არიან. ეგ ერთი რაც ვთქვი და ძალიან დიდი ნაწილი განათლებას მერე აგრძელებს უკვე მიდიან სომხეთში... თუმცაღა აი რა გითხრათ განსხვავება აღბათ, აღბათ ეთნიკურად სომხები უფრო მეტად, არ მინდა ცუდი სიტყვა ვიხმარო, უფრო გამოსულები არიან, შედარებით, როგორ ვთქვა არ ვიცი ანუ რა ფორმულირება გავუკეთო ვერ ვხვდები რა“
(ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სფეროზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალი)

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, ეთნიკურად სომხების შემთხვევაში, აკულტურაციის დომინანტი სტრატეგია არის ინტეგრაციის სტრატეგია, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის - სეპარაციის სტრატეგია. შესაბამისად, დასტურდება ჩვენი ვარაუდი - ორივე ეთნოსი კონცენტრაციას აკეთებს საკუთარი ეთნიკური ღირებულებების შენარჩუნებაზე, თუმცა ეთნიკურად სომხები, ამავდროულად, ითვისებენ დამხვედრი კულტურის მახასიათებლებსაც, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელები მხოლოდ მშობლიურ კულტურაზე ორიენტირდებიან. ორივე ეთნოსის წარმომადგენელთან ინტეგრაციისა და სეპარაციის სტრატეგიები არის ყველაზე უპირატესობა მინიჭებული სტრატეგიები, ხოლო მარგინალიზაცია და ასიმილაცია ყველაზე ნაკლებად. შესაბამისად, ჩვენი კვლევაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის, მნიშვნელოვანია მშობლიური კულტურა. აღნიშნული შედეგები ხაზს უსვამს იმ ფაქტსაც, რომ ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების აკულტურაციის პროცესი არის განსხვავებული, შესაბამისად, მათ მიმართ არ არის რეკომენდირებული მსგავსი ინტეგრაციული ღონისძიებების განხორციელება. თუ შევხედავთ ეთნიკური უმცირესობების მიერ აკულტურაციის სკალაზე დაფიქსირებულ შედეგებს, ვნახავთ, რომ ყველაზე მაღალი ქულები, ორივე ეთნოსის

შემთხვევაში, ფიქსირდება სეპარაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიებთან მიმართებაში და ყველაზე ნაკლები - ასიმილაციისა და მარგინალიზაციასთან, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ამ ორი ეთნოსის წარმომადგენლისთვის მნიშვნელოვანია მშობლიური კულტურა, წეს-ჩვეულებები და მათი შენარჩუნება.

ცხრილი 7 - აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანი ეროვნების მიხედვით

ეროვნება		ასიმილაცია	სეპარაცია	ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
სომეხი	საშუალო	2,18	3,66	4,15	2,13
	სტ. გადახრა	1,16	1,61	2,02	0,88
აზერბაიჯანელი	საშუალო	2,43	3,50	3,40	2,85
	სტ. გადახრა	1,14	0,95	1,24	0,83
სულ	საშუალო	2,31	3,58	3,75	2,51
	სტ. გადახრა	1,15	1,30	1,69	0,92

გარდა ეთნიკური განსხვავებისა, გამოთქმულია მოსაზრება (Moghadam, Ditto, & Taylor, 1990), რომ სქესი გავლენას ახდენს ემიგრანტების აკულტურაციის შედეგზე. ქალებს უფრო მეტი პრობლემა ექმნებათ, ვიდრე მამაკაცებს, რაზეც ზეგავლენას ახდენს მასპინძელ ქვეყანაში ქალების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება და მოპყრობა მშობლიურ კულტურასთან შედარებით. როდესაც არსებობს განსხვავება მასპინძელ კულტურასა და მშობლიურ კულტურას შორის, ქალებს შეუძლიათ შეეცადონ მიიღონ ახალი როლები მასპინძელ საზოგადოებაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტები საკუთარ მშობლიურ კულტურასა და ტრადიციულ როლებთან (Moghadam et.al., 1990). ჩვენს კვლევაში სქესის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა მხოლოდ მარგინალიზაციასთან ($t=6,996$; $p=0.009$) ($t(450)=-2,521$; $p=0.012$) მიმართებაში ფიქსირდება და ირკვევა, რომ ქალები ($M=2.6$; $SD=0.9$) უფრო მიმართავენ მარგინალიზაციას, ვიდრე მამაკაცები ($M=2.4$; $SD=0.09$). ეს ტენდენცია შეიმჩნევა მხოლოდ ეთნიკურად სომეხების შემთხვევაში. სომეხი მდედრობითი სქესის ($M=2.3$; $SD=1.05$) წარმომადგენლები უფრო მიმართავენ მარგინალიზაციის სტრატეგიას ($t=33.4$; $p=0.000$) ($t(208)=-3.344$; $p=0.001$), ვიდრე მამაკაცები ($M=1.9$; $SD=0.6$); ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელების შემთხვევაში, არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არც ერთ სტრატეგიაზე. რაც შეეხება სხვა აკულტურაციის მაჩვენებლებს, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი

სხვაობა არ ფიქსირდება არც ეთნიკურად აზერბაიჯანელებისა და არც ეთნიკურად სომხების შემთხვევაში.

აღნიშნული შედეგების ინტერპრეტაციაში გვხვმარება ეთნიკურ უმცირესობებთან და თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული თვისებრივი კვლევა. ეთნიკური უმცირესობები სიღრმისეული ინტერვიუების დროს აღნიშნავენ, რომ მათი მშობლიური კულტურისა და დამხვედრი კულტურის გენდერული როლები განსხვავებულია, რაც შესაძლებელია ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს აკულტურაციის პროცესში ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის კუთხით (Moghadam et.al., 1990). ეთნიკური უმცირესობები სიღრმისეული ინტერვიუების დროს აღნიშნავენ, რომ საქართველოში უფრო მეტად არის გენდერული თანასწორობა, ვიდრე მათ მშობლიურ კულტურაში, რაც პირველ რიგში, გამოიხატება განათლების მიმართ დამოკიდებულებაზე. საქართველოში, როგორც კაცი, ასევე ქალი იღებს განათლებას.

*„საქართველოში ამ მხრივ უკეთესი ვითარებაა, რადგან გენდერული თანასწორობა უფრო კარგადაა დაცული.“
(აზერბაიჯანელი, ქალი, 18 წლის)*

ორივე ჯგუფის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ განათლება მნიშვნელოვანია, როგორც ქალისთვის, ასევე კაცისთვისაც; ზოგიერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მონაწილე ამბობს, რომ განათლება ქალისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაცისთვის, რადგან კაცს შეუძლია დაკავდეს ფიზიკური შრომით, თუ მას არ ექნება სათანადო განათლება, ხოლო ქალის შემთხვევაში, ის ვერ იმუშავებს ფიზიკურად, მაგალითად მშენებლობაზე, ამიტომაც მისთვის უფრო დიდ აუცილებლობას წარმოადგენს განათლების მიღება.

*„ყველას აქვს თანაბარი უფლება, როგორც ქალს, ასევე მამაკაცსაც. მაგრამ ქალს ძალიან სჭირდება განათლება მიიღოს, რადგან მომავალში მან შეიძლება ვერ იმუშაოს რთულ საქმეებში, მაგალითად სამშენებლოში“
(აზერბაიჯანელი, ქალი, 20 წლის)*

„ ჩემი აზრით, განათლება მნიშვნელოვანია როგორც ქალის, ისე კაცისთვის.

დღესდღეობით განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, რადგან ამის წყალობით ადამიანებს შეუძლიათ მიაღწიონ წარმოუდგენელ სიმაღლეებს, ააწყონ კარიერა, გახდნენ პროფესიონალი სპეციალისტები თავიანთი საქმიანობის სფეროში“.
(სომეხი, მამაკაცი, 37 წლის)

ამ ტენდენციას ადასტურებს ასევე, რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც. გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები არ ეთანხმებიან აზრს იმის თაობაზე, რომ განათლება ბიჭისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოგოსთვის ($M=2.12$, $SD=1.187$) და არც აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ყველასთვის უმჯობესია, როდესაც მამაკაცი მუშაობს, ხოლო ქალი ოჯახს უვლის ($M=2.92$; $SD=1.354$). თუმცა, გენდერთან მიმართებაში, დასაქმების მხრივ, აღსანიშნავია ეროვნებებს შორის სხვაობაც, რომელსაც ადასტურებს, როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგები ($F=0.038$; $p=0.845$) ($t(450)=2.258$; $p=0.02$), ასევე თვისებრივი კვლევის შედეგებიც.

მიუხედავად იმისა, რომ თვისებრივ კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი ($n=42$) აღიარებს, რომ ქალისთვის განათლება არის ძალიან მნიშვნელოვანი, **ქალების დასაქმებასთან** (განათლების მიღების მიუხედავად) დაკავშირებით მიდგომა განსხვავებულია. უმცირესობები აღნიშნავენ, რომ საუკუნეების წინ არსებობდა ტრადიცია, რომ ქალი სახლში უნდა ყოფილიყო და კაცს ემუშავა, თუმცა ეს დამოკიდებულება ბოლო წლებში შეიცვალა. უმეტესობა ($n=21$) ამბობს, რომ ქალმა აუცილებლად უნდა იმუშაოს, ან უნდა იმუშაოს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ამისი სურვილი ($n=8$), თუმცა ქალის მუშაობა აუცილებელი არ არის. ეთნიკურად აზერბაიჯანელებიდან არც ერთი რესპონდენტი არ აღნიშნავს, რომ უმჯობესია ქალმა არ იმუშაოს, მაშინ როდესაც ეთნიკურად სომეხები აღნიშნავენ, რომ ქალმა არ უნდა იმუშაოს და მან აუცილებლად ოჯახს უნდა მიხედოს, რათა ბავშვი არ დარჩეს „უპატრონოდ“.

„ქალი, ოჯახის შექმნის შემდეგ, სახლში უნდა იჯდეს. სამსახური და მაღალი ანაზღაურება მამაკაცს უფრო სჭირდება, ვიდრე ქალს. კაცი ოჯახის მარჩენალია და ამიტომ აუცილებელია ჰქონდეს სამსახური და მაღალი ხელფასი; ქალს შეუძლია

თვითრეალიზაცია ოჯახში მოახდინოს, კაცისთვის კი რეალიზაციის სფერო კარიერაა; მამაკაცსა და ქალს განსხვავებული ბუნება და უნარები აქვთ - კაცი ოჯახის გარეთ საქმიანობაში უფრო წარმატებულია.“

(სომეხი, ქალი, 45 წლის)

„ქალმა უნდა შეძლოს როგორც კარიერული წინსვლა, ასევე ოჯახური ბედნიერების შენარჩუნებაც, რათა იყოს სრულფასოვანი და ბედნიერი.“

(აზერბაიჯანელი, ქალი, 20 წლის)

ქალების მხრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში (რაც შესაძლებელია განვიხილოთ სამუშაო სივრცეში სიარულით) ნაკლები ჩართულობის ხარისხი, შესაძლებელია ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს ინტეგრაციის პროცესში, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად სომეხები უფრო მკაცრად უყურებენ ქალების მხრიდან აქტიურ სამსახურებრივ ცხოვრებას, ეთნიკურად აზერბაიჯანელებისგან განსხვავებით, აკულტურაციის საზომი სკალის მიხედვით, სომეხები უფრო ინტეგრირებულნი არიან საქართველოში, ვიდრე აზერბაიჯანელები, შესაბამისად, გენდერული როლების აღქმა არ არის ინტეგრაციის განმსაზღვრელი ფაქტორი.

სქესის მიხედვით, განსხვავებაზე ყურადღება მახვილდება ასევე, თვისებრივ კვლევებშიც. თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად ყურადღება მახვილდება მდედრობითი სქესის წარმომადგენლების ნაკლებ ჩართულობაზე აკადემიურ, სამოქალაქო და პოლიტიკურ სფეროებში, რაც შესაძლებელია ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი გახდეს.

„საზაფხულო ბანაკში, ზღვაზე პრაქტიკულად ვერ მოვაგროვეთ უფროსკლასელი გოგონები, რომ წამოგვეყვანა, არ უშვებდნენ“

(დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალი)

„სამოცდაათი კაცი მყავს ახლა ამ ოთხ კურსზე ამ წუთას, სამოცდაათი კაციდან ნუ ალბათ ერთი ხუთი- ექვსია ეგეთი გოგონა.“

(განათლების ექსპერტი, კაცი)

„პირდაპირ რო გიყვება რო აი მივდიოდი და იმ ბიჭებმა რო ხახახახა და აი დამცინეს და „საზოგადოებაში გრძნობენ გოგონები თავის დისკრიმინაციას“

(განათლების ექსპერტი, კაცი)

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკური უმცირესობების მიერ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანი განსხვავებულია ეთნიკურად სომხებისა და ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის. აკულტურაციის სტრატეგიების საზომი სკალის მონაცემების ანალიზის შედეგად, ეთნიკურად სომხები უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციას, ხოლო აზერბაიჯანელები - სეპარაციას, თუმცა ორივე ეთნოსისთვის მნიშვნელოვანია კულტურული ღირებულებების შენარჩუნება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან ან პირიქით, ხელს უწყობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აირჩიონ ინტეგრაციის სტრატეგია და არ მიმართონ სეპარაციას, რადგან ის პრობლემები, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ექმნებათ საქართველოში ცხოვრებისას, შესაძლებელია ხელის შემშლელი გახდეს ამ პროცესში. აღნიშნულ პრობლემებზე საუბრობენ, სიღრმისეული ინტერვიუების დროს, როგორც დარგობრივი ექსპერტები, ასევე თავად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც (სომხები და აზერბაიჯანელები).

5.2. ეთნიკური უმცირესობების საქართველოში ცხოვრების კონტექსტისა და პრობლემების შეფასება

თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შეფასდა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის გამოცდილება და გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებსაც ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები აწყდებიან საქართველოში ცხოვრების პროცესში. ასევე, შეფასდა, რა არის ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მათ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე.

კვლევაში მონაწილე თემის დარგობრივი ექსპერტები ერთპიროვნულად თანხმდებიან, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს აქვთ გარკვეული სირთულეები, რომელიც ხელს უშლის მათ ინტეგრაციას და აღნიშნავენ, რომ უმცირესობების წარმომადგენლები არ არიან საქართველოში ინტეგრირებულნი, თუმცა ამასთან აღიარებენ, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში იგრძნობა უკეთესობა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით, რომელსაც ასევე საკმაოდ ხელი შეუწყო საშელავათო კვოტირების სისტემის, „1+4“ პროგრამის ჩამოყალიბებამ.

„ზოგადად რომ ვისაუბროთ, პროგრესი ძალიან თვალშისაცემია და ძალიან დიდია, მაგრამ რაღაც მომენტში პოზიტიური სვლები არის, რასაც 1+4-მაც ხელი შეუწყო, ასევე იმანაც ხელი შეუწყო, რომ უკვე ნელ-ნელა, მაგალითად, ქვემო ქართლში, მშობლები ცდილობენ, რომ ქართულ სკოლაში დააწყებინონ ბავშვებს სწავლა და არა, ეთნიკურ აზერბაიჯანულ სკოლაში“
(განათლების ექსპერტი, კაცი)

„1+4“ პროგრამის წარმატებულობას, ასევე, ხაზს უსვამენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებიც. თვისებრივ კვლევაში მონაწილე საქართველოში მცხოვრები უმცირესობების წარმომადგენლები ამბობენ, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საკმაოდ გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში (n=42); რესპონდენტები ხაზს უსვამენ „1+4“ პროგრამის (საშეღვათო კვოტირების სისტემა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის) ეფექტურობას, რადგან ამ პროგრამის არსებობამდე ახალგაზრდებს უწევდათ სასწავლებლად ერევანსა და ბაქოში წასვლა, ხოლო ახლა მათ აქვთ არჩევანი ჩააბარონ გამოცდა მათ ეთნიკურ ენაზე და მოემზადონ ქართულ ენაში სწავლის დაწყებამდე; ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქამდე თუ არ ჰქონდათ არჩევანი, ახლა გაუჩნდათ არჩევანის შესაძლებლობა - დარჩნენ საქართველოში და ისწავლონ ქართულად ან წავიდნენ სხვა ქვეყანაში სწავლის გასაგრძელებლად.

„...წლების წინ, როდესაც არ იყო 4+1 პროგრამა, ჩვენი რეგიონიდან უმეტესი აბიტურიენტი აბარებდა სომხეთში და სტუდენტობას იქ ატარებდა, დღეს არის ეს შესაძლებლობა და რა თქმა უნდა, არჩევანიც უკვე შესაძლებელია, ვთქვათ ის ბავშვი, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა იმ დონეზე, ჩააბარებს თავის მშობლიურ ენაზე.“
(სომეხი, მამაკაცი, 41 წლის)

ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზიც ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას. თუმცა ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუების შედეგების ანალიზით დგინდება, რომ განათლების მიმართულებით ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში არის გარკვეული სირთულეები.

თვისებრივ კვლევაში მონაწილეთა ნაწილი აღნიშნავს, რომ „1+4“ პროგრამის შემდეგ, არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა განათლების მიმართულებით. ხოლო მეორე ნაწილი აღნიშნავს (n=30), რომ განათლების დონე გაუმჯობესდა, მაგრამ საჭიროებს კიდევ გაუმჯობესებას.

„განათლების სისტემა და მიმართულება ძალიან მომწონს, მაგრამ ცოტა ლექტორების მიდგომა არ ვარგა, რადგან არ არის ის სიმკაცრე, რაც უნდა იყოს, სკოლიდან გადმოვდივართ უნივერსიტეტებში და ვგრძნობთ, რომ სკოლაში უფრო იყო სწავლების შესაძლებლობა, ვიდრე უნივერსიტეტებში.“
(სომეხი, მამაკაცი, 22 წლის)

თავად ეთნიკური უმცირესობებიც დადებითად აფასებენ განათლების სისტემის ცვლილებას, თუმცა ასახელებენ რამდენიმე პრობლემას/შეცდომას, ისინი თვლიან, რომ საატესტატო გამოცდების მოხსნა, სწავლის დროს სიმკაცრის ნაკლებობა და დისტანციური სწავლების დროს წარმოქმნილი სირთულეები, ეს არის გამოწვევები, რომლის წინ დგას დღეს განათლების სისტემა. რადგანაც კვლევა პანდემიის პირობებში მიმდინარეობდა, ბუნებრივია განათლების პრობლემების შეფასებისას თავი იჩინა დისტანციური სწავლების შესახებ რეაქციებმა. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ დისტანციური სწავლის პირობებში, სწავლების ხარისხი მკვეთრად დაეცა და ახალი ინფორმაციის მიღების ხარისხი და რაოდენობა შემცირდა.

რაც შეეხება თემის დარგობრივი ექსპერტების შეფასებებს, სასკოლო განათლების მიმართულებით, ყველა ექსპერტი ნეგატიურად აფასებს სწავლების ფორმებსა და ხარისხს ეთნიკური უმცირესობების სკოლებში. მიმდინარეობს ბილინგვური სკოლებისა და სწავლების არასწორი მართვა, რაც განპირობებულია ბილინგვური სწავლებისთვის საჭირო რესურსებისა და კვალიფიციური პერსონალის არარსებობით.

„სოფლებში არის ბილინგვური სკოლები რამდენიმე, უფრო სწორედ მცდელობა არის, რომ იყოს ბილინგვური სკოლები, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში ერთიანი სტრატეგია როგორი ბილინგვური განათლება უნდა იყოს სკოლებში, არ არის ბოლომდე დახვეწილად გაწერილი და განხორციელებული. არის ძალიან ბევრი სკოლა ამ სოფლებში, სადაც ძალიან დიდი გამოწვევებია, მათ შორის იმ პროგრამებში,

სადაც არის ქართული ენა“

(განათლების ექსპერტი, კაცი)

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა შეფასებით, განათლებაზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია მას შემდეგ, რაც შეიქმნა „1+4“ პროგრამა, ამ პროგრამასთან მიმართებაშიც აღინიშნება გარკვეული უარყოფითი მხარეებიც. ერთი მხრივ, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ 1 წელი არ არის საკმარისი ქართული ენის შესასწავლად, რაც შემდგომ ეტაპებზე სტუდენტებს უქმნით პრობლემას სრულფასოვნად დაეუფლონ კონკრეტულ პროფესიას. გარდა პროფესიული ნიშნისა, ასევე „1+4“ პროგრამის მიმართულებით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს აქვთ დაბალი მოტივაცია ისწავლონ ამ პროგრამით, რადგან მათ არ აქვთ წარმატების გამოცდილების მაგალითები; ვერ აღწევენ უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ წარმატებას, უჭირთ სამსახურის მოძიება და არიან „1+4“ პროგრამით ფრუსტრირებულნი. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს არ აქვთ წარმატების მაგალითები მათი თემიდან, რაც გავლენას ახდენს მათ მოტივაციაზე ისწავლონ ქართული ენა და მოახდინონ სრულფასოვანი ინტეგრაცია.

„ხალხიც მერე უკვე იღლება, გვესმის ერთი და იგივე არგუმენტი, არ იციან სახელმწიფო ენა, არ არიან პროფესიონალები, მაპატიეთ და ვინც იცის სახელმწიფო ენა და ვინც პროფესიონალია იმათ ხო, იმათთვის ხო ძალიან გამარტივებულია ხო მიზნის მიღწევა, არ არი გამარტივებული, მათ ჭირდებათ ძალიან ბევრი ბრძოლა, რო მიაღწიონ რაღაცას, როცა გესმის, სულ მუდმივად გესმის ესეთი არგუმენტი, ბოლოს რაღაცნაირად გრძნობ რო მაინც მე შანსი არა მაქვს და ტყუილად რატო უნდა დავხარჯო დრო ენერჯია“

(საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

„მთავარ პრობლემად, სხვათა შორის, ეხლა ბოლო ტრენინგზე, რომ ვსაუბრობდით მითხრეს, რომ არის მოტივაცია, იმიტომ რომ არა აქვთ წარმატებული მაგალითები იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა, რომელიც არ იყო კლანის თუ ელიტის წევრი, რომ თავისით რაღაცას მიაღწია. აი ეს როლური მოდელის არ არსებობა მათ მოტივაციაზე ძალიან მოქმედებს“

(ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

ექსპერტების აზრით, სასკოლო ეტაპზე, გარდა განათლების დაბალი დონისა, ასევე აღინიშნება **სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიც**, რომელიც ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ინტეგრაციაში. ეს ფაქტორები შესაძლებელია დაიყოს 2 ნაწილად, **პირველი უკავშირდება ადგილობრივი მოსახელობის (ატიტუდებს) დამოკიდებულებებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ, ხოლო მეორე - განათლების პოლიტიკას**. შერეულ კლასებში ხშირად აღინიშნება თანაკლასელთა მხრიდან ბულინგი და ეთნოცენტრისტული გამონათქვამები, მაგალითად, როგორცაა „რა გინდათ აქ“, „წადით საიდანაც მოხვედით“ და სხვა. გარდა ამისა, ასევე ფიქსირდება თავად მასწავლებელთა მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულებები ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

„სკოლებში გამიგია მართლა ასეთი ანეგდოტური სიტუაციები - უფ, ვთქვათ აზერბაიჯანელ ბავშვზე ან სომეხ ბავშვზე - ეს მაინც ვერ ისწავლის და რა აზრი აქვს.“

(განათლების ექსპერტი, კაცი)

საგანმანათლებლო პოლიტიკასთან მიმართებაში, თემის დარგობრივი ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ არ ხდება ეთნიკური უმცირესობებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების სწორად შერჩევა. კერძოდ, სახელმძღვანელოები, რომლითაც ისინი სწავლობენ, არის სომხეთის ან აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიერ გამოცემული და ეს ხელს უშლის უმცირესობის წარმომადგენელს ინტეგრირდეს, რადგან სახელმძღვანელოშიც კი, ის ხედავს თავის მშობლიური სახელმწიფოს დროშას.

„ეთნიკური უმცირესობები სწავლობენ აზერბაიჯანული, სომხური ან რუსული ძველი სახელმძღვანელოებით, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელი სახელმძღვანელოებით. ჩვენ განათლების სისტემაში არანაირი პატრიოტული განცდები არ არსებობს, როცა ხსნი სახელმძღვანელოს აზერბაიჯანულს, სომხურს, მშობლიური ენისა და ლიტერატურის და იქ არის სომხეთის და აზერბაიჯანის დროშა, მათი ჰიმნი, გერბერიკა და ჩემი დედაქალაქი ბაქო და ერევანი; რომელ

ინტეგრაციაზეა საერთოდ საუბარი“

(ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

ექსპერტები ასევე, ცალკე გამოყოფენ ისტორიის წიგნებსაც, რადგან საქართველოს ისტორია ისე ისწავლება, რომ მასში არ არის გათვალისწინებული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში და ისინი ამ მხრივ, საქართველოს ისტორიის ნაწილი არიან. საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები საქართველოს ისტორიის წიგნებში ვერ ხედავენ საკუთარ თავს და ანალოგიურად, ეთნიკურად ქართველები არ სწავლობენ საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების ისტორიას, რაც განაპირობებს ეთნიკურად ქართველების დაბალი ცნობიერების დონეს ეთნიკური უმცირესობების შესახებ.

„პრობლემაა ის, რომ თვითონ ქართულ ისტორიაში, ვთქვათ, აზერბაიჯანელების ან სომხების წარმომადგენლობა, მათი ისტორია ნაჩვენები არ არის და მუდმივად არის განცდა, რომ ისინი საქართველოს ისტორიიდან არიან წაშლილები და საკუთარ თავს ამ ისტორიაში ვერ პოულობენ“

(ეთნიკური უმცირესობების მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

თემის დარგობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს აქვთ ენობრივი კომპეტენციების ნაკლებობა და მათთვის ძირითადი საკომუნიკაციო ენა ეთნიკურად ქართველებთან, არის რუსული ენა, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ეს ტენდენცია აღინიშნება უფრო მეტად უფროსი თაობის წარმომადგენლებთან და ნაკლებად ვხვდებით ამ ტენდენციას ახალგაზრდებში. ახალგაზრდების შემთხვევაში, ენის ცოდნის მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია და ამას მნიშვნელოვნად შეუწყობ ხელი „1+4“ პროგრამის არსებობამ, რადგან მათ დაინახეს ქართული ენის ცოდნის პერსპექტივები და შესაბამისად, უფრო მოტივირებულნი არიან ისწავლონ ქართული ენა.

„უფროსი თაობა არის ყველაზე დიდი პრობლემა. ახალგაზრდა თაობა მეტ-ნაკლებად საუბრობს ქართულად და უფროსი თაობა არა და ამიტომ ვერ იღებენ სრულად ინფორმაციას“

(დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალი)

„დღეს, როდესაც ჩვენ ჩავდივართ რეგიონში, ვესაუბრებით ქართულად და მოსახლეობის სამოცდაათ პროცენტს მაინც უკვე ესმის ქართული ენა, შეიძლება ნაწილმა გიჰასუხოთ რუსულად, მაგრამ ეს უკვე დიდი, ძალიან დიდი შედეგია“

(განათლების ექსპერტი, კაცი)

ენის არ ცოდნის გამო, საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ხშირად ექმნებათ პრობლემები საჯარო სერვისებთან ხელმისაწვდომობის მიმართულებით. მაგალითისთვის, ექსპერტებს მოყავთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის მაგალითი, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს მხოლოდ რუსულად ან ქართულად შეუძლია მიმართვა, ასევე, ადგილობრივი სამმართველოებისა და იუსტიციის სახლების მაგალითები.

„112-ში რომ რეკავ ანუ თუ არ იცი ქართული ან რუსული, არავინ არ გპასუხობს და აზერბაიჯანული არავინ არ იცის. ანუ სწორედ ძალიან ბევრი სტრუქტურული ფაქტორი არსებობს განდევნის და ამიტომაც ვლაპარაკობთ, რომ მთლიანობაში გარემოა უთანასწორო.“

(საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალი)

ქართულ და არაქართულენოვან მოსახლეობას შორის არსებული ენობრივი ბარიერი ხშირად მიიჩნევა ეთნიკური უმცირესობების გაუცხოების ძირითად მიზეზად, რაც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ინტეგრაციაზე; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის სათანადოდ ფლობა კომუნიკაციისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, თუმცა მხოლოდ ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა არ არის საკმარისი ეთნიკურ უმცირესობათა და დომინანტ კულტურას შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გაღრმავებისთვის (ამირეჯიბი და გაბუნია, 2021). მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ენის ცოდნის ფაქტორი არის ინტეგრაციის პროცესში ხელის შემშლელი ფაქტორი, არ იზიარებს ექსპერტთა დიდი ნაწილი. მათი თქმით, ენის ცოდნა არის ერთ-ერთი გამოწვევა და სირთულე, თუმცა ინტეგრაციის პროცესში ის ან საერთოდ არ არის ხელის შემშლელი ან არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. რადგან ენა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც კომუნიკაციის ინსტრუმენტი, თუმცა არა განმსაზღვრელი ფაქტორი. ექსპერტთა თქმით, ენის ცოდნის დაბალი ხარისხი ხელს უშლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს

სხვა ეთნოსის ჯგუფებთან კომუნიკაციაში, რაც თავის მხრივ, იწვევს ეთნოსებს შორის კონტაქტის ნაკლებობას და გავლენას ახდენს ინტეგრაციაზე. საქართველოში მცხოვრები სომხები და აზერბაიჯანელები (კომპაქტურად დასახლებული უმცირესობების წარმომადგენლები) მოწყვეტილი არიან საქართველოს სხვა მოსახლეობას.

„მე მეცოდინება ქართული ენა თუ არ მეცოდინება, ამას ჩემი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. რა თქმა უნდა, კარგია და კომუნიკაციისთვის სიმარტივეს ქმნის ენის ცოდნა და უმცირესობის ეთნიკური უმცირესობის თანაცხოვრების საკითხი ენამდე საკითხის ენამდე დაყვანა არის ძაან, ძაან ისეთი ზედაპირული დამოკიდებულება, რომ აი ენას ისწავლი და პრობლემა მოგვარდება.“

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

კვლევების (Nwadiora and McAdoo, 1996; Ying & Liese, 1994) შედეგები ეწინააღმდეგება დარგობრივი ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ენის ცოდნა არ არის მნიშვნელოვანი გავლენის მქონე ცვლადი აკულტურაციის სტრატეგიის არჩევის პროცესში და პირიქით ხაზს უსვამენ, რომ დომინანტი კულტურის ენის ცოდნა ხელს უწყობს უმცირესობათა ჯგუფებს აკულტურაციაში. ჩვენს მიერ ჩატარებული ეთნიკურ უმცირესობებთან რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც ამბობს, რომ ენა უნდა იყოს განხილული, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანზე; კერძოდ კი, ეთნიკურად სომხების შემთხვევაში, რაც უფრო კარგად იციან ქართული ენა, მით მეტად მიმართავენ ინტეგრაციისა და ასიმილაციის სტრატეგიებს და რაც უფრო ნაკლებად იციან ქართული ენა, მით მეტად მიმართავენ სეპარაციასა და მარგინალიზაციას. ხოლო, ეთნიკურად აზერბაიჯანელების შემთხვევაში, ქართული ენის კარგად ცოდნა დაკავშირებულია ასიმილაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის მაღალ ალბათობასთან და სეპარაციის სტრატეგიის არჩევის დაბალ ალბათობასთან. აღნიშნული შედეგები უფრო დეტალურად იქნება განხილული ნაშრომის შემდეგ თავებში.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ განათლების მიმართულებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში აღინიშნება წინსვლა და

პოზიტიური ნაბიჯები (მაგალითად როგორცაა „1+4“ პროგრამა), მაინც იკვეთება გარკვეული სირთულეები ეთნიკური უმცირესობების განათლების მიმართულებით. ეს სირთულეები უფრო უკავშირდება სასკოლო განათლებას, რადგან სასკოლო ასაკში ეთნიკურ უმცირესობებს არ ეძლევათ საშუალება საკუთარი თავი დაინახონ, როგორც საქართველოს ისტორიის ნაწილი და არ აქვთ შესაბამისი სახელმძღვანელოები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციის პროცესში. გარდა სახელმძღვანელოებისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად, ასევე რჩება ქართული ენის სწავლება სასკოლო ასაკში, რადგან ენა შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც ეთნიკურ უმცირესობებსა და ეთნიკურ ქართველებს შორის საკომუნიკაციო ინსტრუმენტად, რომელიც ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობებს ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევაში; ხოლო ენობრივი ბარიერის გამო, ეთნიკურ უმცირესობებსა და დომინანტ კულტურას შორის, არის კონტაქტის ნაკლებობა, რაც შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელზეც საუბრობენ თემის დარგობრივი ექსპერტები, რადგან კონტაქტის ნაკლებობა შესაძლებელია იყოს ცნობიერების დაბალი დონის პრედიქტორი, ხოლო ცნობიერების დაბალი დონე განაპირობებს უარყოფით ატიტუდებს განსხვავებული კულტურის მიმართ (Van Dick and Stegmann, 2016).

ეს მნიშვნელოვანი პრობლემა - ეთნიკურად ქართველების მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულებები, რომელიც საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ექმნებათ, არის აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. თემის დარგობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის მხრიდან ხშირად აღინიშნება საქართველოში მცხოვრები სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ მიუღებლობა, უარყოფითი დამოკიდებულებები, დისკრიმინაცია და უარყოფითი შემახილები.

„მე მგონია, რომ როგორც თანასწორს არ უყურებენ ეთნიკურ უმცირესობებს უმეტეს შემთხვევაში... დამოკიდებულება არის ის, რომ თქვენ ხართ მეორე ხარისხოვანი, ჩვენ ვართ აქ პირველები, ამაზე მეტყველებს ძაან ბევრი რაღაცა“
(საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

ზოგიერთი ექსპერტი ამბობს, რომ აღნიშნული უარყოფითი განწყობები უფრო მეტად აღინიშნება ეთნიკურად სომხების მიმართ, ქართველებს ახასიათებთ ე.წ. „არმენოფობია“.

„...თქვენ ალბათ, გაგიგიათ რომ საქართველოში და თბილისში არმენოფობიური განცდები უფრო მაღალია, ვიდრე სხვა თემთან დაკავშირებით, ანუ სხვა თემების მიმართ“

(ისტორიკოსი, კაცი)

ხშირია შეძახილი - „შე, სომეხო“, რომელიც თავის თავში უარყოფით განწყობას ატარებს.

„ხოდა აი ჩემთვის ამოუხსნელია, მაგრამ არის ცუდი გაგებით გენიალური ფრაზა, „შე სომეხო“, სრული პასუხისმგებლობით, ეგეთი საშინელება, აი იმიტო რო აი წარმოიდგინეთ ერთი წამით, რომ „ შე ქართველო“ გითხრა, „შე აზერბაიჯანელო“, თუნდაც „შე აზერბაიჯანელო შენა“, ეს ხო ნამდვილად არ არის უარყოფითი ხასიათის მქონე, აი „ შე სომეხო“ იმდენად საზიზღარი ფრაზაა..“

(განათლების ექსპერტი, კაცი)

ექსპერტების მიერ გამოთქმული აზრი, რომ ეთნიკურად ქართველებს ახასიათებთ „არმენოფობია“, ასევე, დასტურდება რაოდენობრივი კვლევის მონაცემებითაც, რადგან ეთნიკურად ქართველები მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებებს აფიქსირებენ ეთნიკურად სომხების მიმართ, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ და მიუხედავად ამისა, ეთნიკურად სომხები უფრო ინტეგრირებულები არიან ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელები, ეწინააღმდეგება აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც დამხვედრი კულტურის ატიტუდები უნდა განაპირობებდეს უმცირესობათა აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანს.

ეთნიკურად აზერბაიჯანელების შემთხვევაში, უფრო ხშირად აღინიშნება რელიგიური ნიშნით უარყოფითი დამოკიდებულება, ვიდრე უშუალოდ ეთნიკური კუთხით და ისეთი ტერმინის გამოყენება, როგორცაა „თათარი“, რომელსაც ექსპერტების თქმით, ეთნიკურად აზერბაიჯანელები აღიქვამენ დისკრიმინაციულად.

„მაშინ აქედან გაქცევა მინდოდა, მახსოვს პატარა ვიყავი, სკოლაში დავდიოდი, სულ გვაწუხებდნენ სულ აი თათარო, წადი აზერბაიჯანში, თათარი ხარ წადი შენ ქვეყანაში“

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ეთნიკურად აზერბაიჯანელი, კაცი)

ზოგიერთი დარგობრივი ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ ახალგაზრდებში უფრო ნაკლებად არის უარყოფითი დამოკიდებულებები ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რადგან მათ ზოგადად, აღენიშნებათ დადებითი დამოკიდებულებები, თუმცა მაინც აღინიშნება უარყოფითი შემახილების შემთხვევები.

„მაგალითად, ერთხელ ვიყავი მარნეულში და ხალხი ელოდება მარშუტკას, და რომ მოვიდა, ნუ მარნეულში ხდება ეგ ამბავი, ქალები ავიდნენ მარშუტკაში და ერთი ბიჭი იყო და დაიწყო ლაპარაკი რომ „ეს თათრები, რა ხდება რა ამბავია“
(ლინგვისტი, კაცი)

ექსპერტების აზრით, ეთნიკურად ქართველები ხშირ შემთხვევაში უთანასწოროდ ეპყრობიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, რაც გამოიხატება მათ მიუღებლობაში, თუმცა თავად ეთნიკურად ქართველების შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ინტეგრირებულები არიან ქართულ საზოგადოებაში ($M=3,61$; $SD=0,96$) და ამ შეფასებას, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მეტად იზიარებენ აჭარის მაცხოვრებლები ($F(10)=3,643$; $p=0.000$; $\eta^2=0.03$).

ეთნიკურად ქართველები მოუთმენლად ეკიდებიან ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესს, მაგალითად ენის სწავლის პროცესს და ხშირ შემთხვევაში ხმარობენ ისეთ ფრაზებს, როგორცაა „რით ვერ ისწავლეს ქართული“. ეთნიკურად ქართველები ვერ აღიქვამენ, რომ უმცირესობების ინტეგრაციის პროცესი არის გრძელვადიანი.

„მოსახლეობის ნაწილი ვერ ითმენს, ანუ ამბობენ რა არი ოცდაათი წელია და რით ვერ ისწავლეს სახელმწიფო ენა...“
(განათლების ექსპერტი, კაცი)

თემის დარგობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეთნიკურად ქართველები დომინანტი პოზიციიდან უყურებენ საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ

უმცირესობებს და დომინანტურად აღიქვამენ, როგორც ენას, ასევე სარწმუნოებას. ქართველებისთვის მართმადიდებლური რელიგია წარმოადგენს უპირატესობას და ხშირ შემთხვევაში არა მართმადიდებლური რელიგიის წარმომადგენლებს მოიხსენიებენ „ურჯულოდ“. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეთნიკურად ქართველებისთვის „ქართველობა“ აუცილებლად მოიცავს მართლმადიდებლობას.

„ქართველი მართლმადიდებელი ამ წარმოდგენაში, ამ დომინანტურ წარმოდგენაში, დანახულია როგორც პირველხარისხიანი მოქალაქე და სხვა ჯგუფები უკვე შემდეგ საფეხურებს იკავებენ“

(საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

„ეთნიკური უმცირესობები ქართულ კულტურაში აღქმული არიან როგორც მეორეხარისხიანი. უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკური აზერბაიჯანელები არიან უფრო ნაკლებად კულტურული, ნაკლებად ცივილიზებული, ურჯულო, ველურები“

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდობით, რელიგია არის ის მნიშვნელოვანი განმპირობებელი ფაქტორი, რომლის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს ეთნიკურად აზერბაიჯანელების დისკრიმინაცია და ეთნიკურად ქართველებისთვის რელიგია უნდა იყოს „ქართველობის“ დამახასიათებელი ნიშანი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ რელიგიურობა იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდეს, როგორც ინტეგრაციის პროცესზე, ასევე ეთნიკურად ქართველების მხრიდან დამოკიდებულებების განსაზღვრაზე.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ეთნიკურად ქართველებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები და რელიგიის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ქართველების 3/4-ზე მეტი (75,5%) აღნიშნავს, რომ ქართველობა აუცილებლად მოიცავს მართლმადიდებლობას და ეთნიკურად ქართველობას (74,4%). რაც შეეხება დანარჩენ მახასიათებლებს, პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა - ქართულ ენაზე საუბარი (53%), საქართველოში დაბადება (44,1%), ცხოვრება (48,9%), საქართველოს მოქალაქეობა (42,6%).

ექსპერტების თქმით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები უარყოფით დამოკიდებულებას გრძნობენ, ასევე სახელისუფლებლო დონეზეც. ეთნიკურად

სომხები და ეთნიკურად აზერბაიჯანელები ნაკლებად არიან ჩართული საქართველოს პოლიტიკურ საქმეებში და მაღალ თანამდებობებზე ეთნიკურად ქართველები ინიშნებიან და არა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.

„თბილისის საკრებულოში, როდესაც მოსახლეობის თბილისის მოსახლეობის ცამეტი პროცენტი ეთნიკური უმცირესობაა, ოცდაათი წელია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმართველობაში არცერთი გვარი არ შეგხვდებათ, რატო არ არი თბილისში ისა ვთქვათ, კვალიფიციური და ენის მცოდნე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, არის, მსურველებიც იყვნენ, ბევრს ვიცნობ, მაგრამ ნუ აქ რაღაცა არის ბარიერი ანუ ღიაობა უნდა იყოს, მზად ყოფნა ანუ კარები უნდა გაიღოს მაგრამ ეტყობა ჯერ ჩვენ მზად არ ვართ ასე“
(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

გარდა ამისა აღნიშნავენ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ხელისუფლება უყურებს, როგორც სტუმრებს და ამის დასტურად მოყავთ სხვადასხვა მაგალითი, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ჩავიდა მარნეულში და მას მასპინძელად დახვდა „სოკარის“ წარმომადგენელი.

„ჩემი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჩადის მარნეულში ნოვრუზ ბაირამის აღსანიშნავად და მას მანდ ხვდება სოკარის პრეზიდენტი და აზერბაიჯანის ელჩი, როგორც მასპინძელი, აქ უკვე ძალიან ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დგებარ შენ, როგორც ხელისუფლება“
(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

დარგობრივი ექსპერტების გამოცდილებით, ეთნიკურად ქართველებს ურჩევნიათ სამსახურში აიყვანონ თავისივე ეთნოსის წარმომადგენელი და ერიდებიან ეთნიკური უმცირესობის დასაქმებას. შედეგად, საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ექმნებათ დასაქმებისა და ეკონომიკური მდგომარეობის პრობლემები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეთნიკურად ქართველებს აქვთ შიში, რომ ეთნიკურ უმცირესობებს გაუჩნდებათ ამბიციები და ეს მათთვის ასოცირდება საფრთხესთან.

„ასეთი რაღაცეები ხდება... ქართველი ვერ ნახე ბიჭო რო დაგესაქმებინა? ეს განწყობა არის ქართველების მხრიდან“
(საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

„ერთ-ერთი აღმზრდელი წამოდგა... თქვენ წარმოიდგინეთო, ამათ ქართულს რო ასწავლითო, იცით რა ამბიციები უჩნდებათო მერეო?, მერე უნდათო სამსახური, ისა ესა, ყველაფერი უნდათო და როგორ შეილება ესეთი რაღაცაო..“
(განათლების ექსპერტი, კაცი)

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა ის ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს ინტეგრაციის პროცესის წარმართვაში. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს *ენის კომპეტენციების ნაკლებობას, სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონტაქტების ნაკლებობას, ეთნიკურად ქართველების მხრიდან დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს, უარყოფით შემახილებსა და მიუღებლობას, რელიგიური ნიშნით უგულვებელყოფას, ეთნიკური უმცირესობების დაბალ პოლიტიკურ ჩართულობას, დასაქმების პრობლემებსა და დაბალ ეკონომიკურ მდგომარეობას.*

თემის დარგობრივი ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების და ამ ფაქტორების კავშირების შემოწმება შევძელით ეთნიკურ უმცირესობებთან და ეთნიკურად ქართველებთან ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგებით. რომლის მონაცემებიც უმეტესწილად, ადასტურებს თემის დარგობრივი ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

5.3. ეთნიკური ქართველების დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და სომხების მიმართ

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებების შესასწავლად, ეთნიკური უმცირესობების მიმართ თეორიული ჩარჩოს (Berry, 2005; Bourhis et. al., 1997) გათვალისწინებით ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა ეთნიკურად ქართველებთან.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ საზოგადოებას აქვს ეთნიკური უმცირესობების უარყოფითი აღქმა. კითხვაზე, თუ

როგორ დაახასიათებდნენ ეთნიკურად ქართველები საქართველოში მცხოვრებ ტიპიურ ქართველს, სომეხსა და აზერბაიჯანელს, ყველაზე დადებითად დაახასიათებული არის ქართველი, შემდეგ ეთნიკურად აზერბაიჯანელები და ყველაზე უარყოფითად საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად სომეხები, რაც ადასტურებს ერთ-ერთი დარგობრივი ექსპერტის აზრს იმის შესახებ, რომ ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ე.წ. „არმენოფობია“.

უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, ტიპიური ქართველი, ძირითადად, დაახასიათებულია დადებითი ტერმინებით, როგორც *პატრიოტი, სტუმართმოყვარე, ტრადიციული, ვაჟკაცური, მშრომელი, ერთგული, ამაყი, მორწმუნე, მეგობრული, კეთილი* და სხვა.

ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ძირითადად, შეფასებულია დადებითი მახასიათებლებით, როგორცაა: *მშრომელი, მეგობრული, კეთილი, ტრადიციული, მორწმუნე, ერთგული, ისტორიული მეზობელი, გამტანი, პატრიოტი, თავმდაბალი, მეოჯახე, მზრუნველი, ყურადღებიანი* და სხვა. თუმცა ასევე ვხვდებით ისეთ შეფასებებს, როგორცაა- *ვაჭარი და ანგარებიანი*.

ეთნიკურად სომეხი, ძირითადად, დაახასიათებულია უარყოფითი ტერმინებით, როგორცაა: *ძუნწი, ეშმაკი, თაღლითი, მოლაღატე, ანგარებიანი, მოხერხებული, მლიქვნელი, შურიანი, ღვარძლიანი, არასაიმედო, ვაჭარი, დაუნდობელი, ამპარტავანი* და სხვა. თუმცა ასევე, ვხვდებით დადებით დაახასიათებებსაც - *მშრომელი, მეგობრული, კეთილი, ისტორიული მეზობელი, მეოჯახე, გამტანი, მორწმუნე, ტრადიციული, პატრიოტი* და სხვა.

ცხრილი 8 - ეთნოსების დახასიათება

ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი
პატრიოტი	მშრომელი	მშრომელი
32,1%	43,1%	18,3%
სტუმართმოყვარე	მეგობრული	ძუნწი
27,6%	18,8%	17,6%
ტრადიციული	კეთილი	მეგობრული
18,7%	10,9%	12,9%
ვაჟკაცური	ტრადიციული	ემშაკი
15,2%	10,2%	12,1%
მშრომელი	მორწმუნე	თაღლითი
14,6%	7,7%	8,9%
ერთგული	ერთგული	მოლაღატე
13,3%	5,9%	5,4%
ამაყი	ისტორიული მეზობელი	კეთილი
13,3%	3,4%	5,3%
მორწმუნე	გამტანი	ანგარებიანი
12,6%	3,1%	5,3%
მეგობრული	ვაჭარი	ისტორიული მეზობელი
11,5%	3,0%	4,7%
კეთილი	ანგარებიანი	მეოჯახე
11,4%	2,7%	4,5%
მოქეიფე	პატრიოტი	გამტანი
10,5%	2,5%	4,1%
მებრძოლი	თავმდაბალი	მოხერხებული
9,8%	2,5%	3,8%
მეოჯახე	მეოჯახე	მლიქვნელი
7,9%	2,4%	2,5%
პატიოსანი	მზრუნველი	შურიანი
7,6%	2,0%	2,2%
ლამაზი	ყურადღებიანი	მორწმუნე
6,5%	2,0%	2,2%
ზარმაცი	სტუმართმოყვარე	ტრადიციული
6,1%	1,9%	2,1%
მოსიყვარულე	ძუნწი	პატრიოტი
5,3%	1,8%	2,1%
ნიჭიერი	გულისხმიერი	სტილისტი
5,2%	1,7%	2,1%
მართლმადიდებელი	ემშაკი	ღვარძლიანი
4,1%	1,5%	2,0%
სამართლიანი	მოსიყვარულე	არასაიმედო
3,7%	1,4%	1,9%

დახასიათებების დაჯგუფების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკურად ქართველების შემთხვევაში უარყოფითი დახასიათება, იკვეთება მხოლოდ 25,1% შემთხვევაში, ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ - 28,6%; ხოლო ეთნიკურად სომეხების მიმართ - 86,8% ვლინდება უარყოფითი დამოკიდებულებები. მონაცემთა განხილვამ დემოგრაფიული მახასიათებლების კრილში, არ მოგვცა მნიშვნელოვანი განსხვავება.

ეთნიკურად ქართველების მხრიდან უარყოფით დამოკიდებულებას ხაზს უსვამენ აგრეთვე, თავად ეთნიკური უმცირესობები სიღრმისეულ ინტერვიუებში. გამოკითხული ეთნიკური უმცირესობები ვერ იხსენებენ კონკრეტულად

დისკრიმინაციულ ქმედებებს, რომელიც განხორციელდა მათ მიმართ, თუმცა მოყავთ ზეპირი მაგალითები არასასურველი ტერმინების გამოყენების თაობაზე.

როცა საუბარია დისკრიმინაციაზე, როგორც ეთნიკურად სომხები, ასევე აზერბაიჯანელებიც ამბობენ, რომ ისინი არასოდეს ყოფილან დისკრიმინაციის მსხვერპლნი (n=26), ეთნიკურად სომხებიდან მხოლოდ 2 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მათ ჰქონიათ შემთხვევა ქართველების მხრიდან, როცა ისინი მათ აღიქვამენ, როგორც სტუმარს.

*„მე არ მიყვარს სიტყვა ეთნიკური უმცირესობა, რადგან მე თავად აქ დავიბადე, მამაჩემიც, დედაჩემიც, ჩემი პაპაც და ა.შ. ვარ საქართველოს მოქალაქე და ამიტომ ქართველების დამოკიდებულება იმის შესახებ, რომ ჩვენ არ ვართ აქაურები, არ მიყვარს, რადგან ხშირად მესმის ასეთი წინადადება - თქვენ სტუმრები ხართ, არ ხართ საქართველოს მოქალაქეები“
(აზერბაიჯანელი, ქალი, 21 წლის)*

ასევე, ასახელებენ საჯარო პირების მხრიდან დისკრიმინაციული განცხადებების გამოყენებასაც, კერძოდ კი რესპონდენტებს მოყავთ ორი მაგალითი.

*„პირადად არა, ზოგადად თემის მიმართ იყო დისკრიმინაცია ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან ჩვენს მიმართ, ლტოლვილს უწოდებდა და მოლაპარაკებების დროს აზერბაიჯანთან ინსტრუმენტად იყენებდა.“
(აზერბაიჯანელი, კაცი, 23 წლის)*

*„რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა საჯარო პირმა განაცხადა, კორონავირუსთან დაკავშირებით, ამხელა კაცი, ამხელა გამოცდილება და გამოვიდა ბრიფინგზე განაცხადა - დავრჩეთ სახლში რადგან, ეს ჩვენი ქმედებით გადავარჩენთ უფრო მეტ ქართველს...ძალიან გამიკვირდა ეს განაცხადი რომ მოვისმინე, მეტ ქართველს გადავარჩენთო, კარგი კი ბატონო რას ვიზამთ. უნდა იცოდეს ამხელა კაცმა, რომ საქართველოში მარტო ქართველები არ ცხოვრობენ“
(სომეხი, კაცი, 49 წლის)*

მნიშვნელოვანია, რომ ისინი, ვინც აღნიშნავენ, რომ არასოდეს ყოფილან დისკრიმინირებულნი, ამბობენ, რომ ქართველები, ზოგადად, არიან „რასისტები“

(n=10), განსაკუთრებით კი რელიგიური ნიშნით (n=3), თუმცა მათ მიმართ არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა.

ეთნიკური სომხების თქმით, ამის კარგი დასტური იყო 2020 წელს განვითარებული მოვლენები, როდესაც საქართველოს მთავრობამ სრული კარანტინი გამოაცხადა მარნეულის მხარეში და მას მოყვა სოციალურ ქსელებში საკმაოდ უარყოფითი განხილვები და აგრესია ეთნიკურად ქართველების მხრიდან.

„მაგრამ ის, რომ ქართველები რასისტები არიან, ფაქტად აღმოჩნდა, კორონავირუსმა ყველას და ყველაფერი თავის ადგილას დაადგინა. ბოლნისსა და მარნეულში სრული კარანტანის გამოცხადებაზე ვსაუბრობ, იქ სომხები კი არა აზერბაიჯანელები ცხოვრობენ და ძალიან გული დამწყდა, რა ხდებოდა ოღონდაც სოციალურ ქსელებში, როგორ ლანძღავდნენ ამ ხალხს იმის გამო, რომ ერთი ადამიანი ჩამოვიდა აზერბაიჯანიდან და კორონავირუსი დაუდასტურდა“
(სომეხი, ქალი, 27 წლის)

ეს ციტატა საინტერესოა იმის გამოც, რომ ამ შემთხვევაში სომეხი მონაწილე არ ლაპარაკობს თავის თანამოდმეებზე (ეთნიკურად სომხებზე) არამედ, ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ ქართველების დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას.

მონაწილე ეთნიკურად აზერბაიჯანელების უმეტესობაც ამბობს, რომ მათ არ უგრძნიათ მსგავსი დამოკიდებულება, თუმცა, როგორც კვლევის შედეგების დამუშავებისას ჩანს, ფიქსირდება ისეთი დისკრიმინაციული ტერმინის ხშირი გამოყენება, როგორცაა „თათარი“. თუმცა ეთნიკურად აზერბაიჯანელები მაინც აღნიშნავენ, რომ დისკრიმინაციის შემთხვევების რაოდენობა არის საკმაოდ მცირე.

„კი, ძალიან ხშირად აკეთებენ დისკრიმინაციას აზერბაიჯანელების მიმართ. მაგალითად, თუ რომელიმე აზერმა არ იცის კარგად ქართული მაშინვე ამბობენ“ თუ არ იცით ქართული მაშინ მიდით აზერბაიჯანში იცხოვრეთ“
(აზერბაიჯანელი, ქალი, 21 წლის)

„ახალგაზრდებში არის ესეთი უგუნურობა, იყო ერთი შემთხვევა ეთნიკურად ქართველისგან მივიღე ასეთი მიმართვა - რა უნდა სომეხს საქართველოში, მიდით

აღქმული დისკრიმინაცია შესაძლებელია ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად მივიჩნიოთ ინტეგრაციის პროცესში. მონაცემებიდან ირკვევა, რომ ეთნიკურად ქართველები უფრო მეტად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ სომხების მიმართ, ვიდრე აზერბაიჯანელების მიმართ, თუმცა მიუხედავად ამისა, ეთნიკურად სომხები უპირატესობას ანიჭებენ ინტეგრაციის სტრატეგიას და ეთნიკურად აზერბაიჯანელები - სეპარაციის სტრატეგიას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ბერისა (Berry, 2005) და ბოურისის (Bourhis et. al., 1997) მოდელთან, რომ დამხვედრი კულტურის წარმომადგენლების ატიტუდები განაპირობებენ უმცირესობათა მიერ აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანს, თუმცა აღნიშნული მსჯელობის გასამყარებლად, საჭიროა სხვა ფაქტორების განხილვაც, მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობებსა და ეთნიკურად ქართველებს შორის კონტაქტები.

სოციალური ინტეგრაციის საკითხის განხილვისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, თუ რა სიხშირის და რა სახის კონტაქტები არსებობს დომინანტ კულტურასა და უმცირესობათა ჯგუფს შორის, რადგან ორ კულტურას შორის კონტაქტმა შესაძლოა გაზარდოს ინტერჯგუფური კავშირები, რის შედეგადაც მცირდება ცრურწმენები და კონფლიქტები (Allport, 1954) და ასევე, ასეთი კონტაქტების შედეგად უმცირესობათა წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ადილობრივი სოციალური კაპიტალი, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მათ ეკონომიკურ და კულტურულ ინტეგრაციას (Hagendoorn et. Al., 2003). მაგალითად, დომინანტ კულტურასთან კონტაქტის შედეგად, უმცირესობებს უფრო მარტივად შეუძლიათ სამსახურის მოძიება (Kanasand van Tubergen, forthcoming) ან დამხვედრი კულტურის ენის შესწავლა (Chiswick & Miller, 2001). ეს უკანასკნელი კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კვლევების თანახმად (Weijters & Scheepers, 2003; Fong & Isajiw, 2000) უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც საუბრობენ ადგილობრივ ენაზე, აქვთ უფრო მეტი კონტაქტი დომინანტ კულტურასთან, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ინტეგრაციას (Hagendoorn et. Al., 2003).

სოციალური ინტეგრაციისა და კავშირების ურთიერთმიმართულების განხილვა შესაძლებელია ორი მიმართულებით - ერთი სუსტი კავშირები, ხოლო მეორე - ძლიერი

კავშირები. ქორწინება ჩათვლილია, რომ არის ყველაზე ძლიერი შესაძლო კავშირი ორი სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელს შორის და ითვლება, როგორც წარმატებული ინტეგრაციის ინდიკატორი (Martinovic et.al., 2009); ხოლო უფრო სუსტ კავშირებად ითვლება ისეთი ურთიერთობები, როგორცაა მეგობრობა ან ყოველდღიური კონტაქტები (Dagevos et. Al., 2005; Emerson et.al., 2002; Fong & Isajiw, 2000; Fong & Ooka, 2006; Quailian & Campbell, 2003; Sigelman et. Al., 1996; Weijters & Scheepers, 2003).

ეთნიკურად ქართველების რაოდენობრივი კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ ქართველები სასურველი კონტაქტის ყველაზე მაღალ დონეს (ქორწინებას) აფიქსირებენ პირველ რიგში, ისევ ეთნიკურად ქართველთან. (რესპონდენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა 93%)

სოციალური დისტანციის საზომი ინსტრუმენტი ბოგარდუსის (Bogardus, 1933) მიხედვით, კონტაქტის ყველაზე მაღალი დონე ცალკეულ კულტურასთან ოჯახის შექმნის მზაობით იზომება. შემდეგი საფეხურია მეგობრობა, მეზობლობა, თანამშრომლობა, ნაცნობობა, ქვეყანაში დროებით მასპინძლობა და ბოლოს შეტრიალებული დებულება „არ შემოვუშვებდი ქვეყანაში“.

საქართველოში მცხოვრებ 3 ყველაზე დიდ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებთან: რუსებს⁴, სომხებსა და აზერბაიჯანელებთან ოჯახის შექმნაზე ქართველების მზაობა, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემდეგნაირად გადანაწილდა; გამოკითხულთა 21% აღნიშნავს, რომ თანახმაა რუსთან ქორწინებაზე, სომხთან (9,5%), ხოლო აზერბაიჯანელთან (10.3%).

როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ეთნიკურად ქართველები სოციალური დისტანციის სურვილის ყველაზე მაღალ დონეს აფიქსირებენ ეთნიკურად რუსთან, თითქმის თანაბრად გადანაწილდა პროცენტები ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელების მიმართ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დისტანციის გასაზომ სკალაზე კითხვის ფორმულირების ცვლილების შემთხვევაში, კერძოდ კი თუ რესპონდენტებს ვეკითხებოდით არა იმას თუ რამდენად იქნება თანახმა, რომ მის ახლობელს ექორწინა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელზე, არამედ ვკითხეთ,

⁴ უნდა აღინიშნოს, ეს კვლევა ჩატარდა 2021 წელს, რუსეთის უკრაინასთან ომის დაწყებამდე, შესაბამისად მიმოხილული შედეგები შესაძლებელია იყოს შეცვლილი

თუ თვითონ რამდენად იქნებოდნენ თანახმა ოჯახი შეექმნათ ეთნიკურად სომეხთან ან აზერბაიჯანელთან, განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ - ეთნიკურად სომეხის შემთხვევაში უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელის შემთხვევაში. აღნიშნული მონაცემები დეტალურად არის განხილული ნაშრომის შემდეგ ნაწილში.

ცხრილი 9 -სოციალური დისტანციის სასურველი დონე ქართველებისთვის

	ქორწინება	მეგობრობა	მეზობლობა	თანამშრომლობა	ნაცნობობა	დროებით სტუმრად დაშვება
ქართველი	92,8%	5,4%	1,8%			
რუსი	21%	18%	9%	4,9%	15,9%	16,3%
აზერბაიჯანელი	10,3%	15,6%	12,5%	8,1%	21,3%	25,2%
სომეხი	9,5%	12,8%	11,7%	5,7%	21,3%	24,8%

მონაცემების ჯგუფთაშორისმა შედარებამ, არ მოგვცა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სქესის მიხედვით, თუმცა აღნიშნება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა *განათლების, რეგიონისა და დასახლების ტიპის* მიხედვით.

რესპონდენტების განათლების დონის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება ეთნიკურად სომეხებისა ($X^2(42)=90.034$; $p=0.000$) და აზერბაიჯანელების ($X^2(42)=60.845$; $p=0.03$) შეფასებაში. ტენდენცია გვაჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია რესპონდენტის განათლების დონე, მით უფრო მაღალი დონის კონტაქტის სურვილს გამოხატავენ ეთნიკურ უმცირესობასთან ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები. აღნიშნული ტენდენცია ვლინდება, როგორც ეთნიკურად სომეხების, ასევე აზერბაიჯანელების შემთხვევაში. შესაბამისად განათლების მაღალი დონე დაკავშირებულია სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან კონტაქტის სურვილის ზრდასთან.

ცხრილი 10 -სოციალური დისტანციის სასურველი დონე განათლების მიხედვით

	ქორწინება	მეგობრობა	მეზობლობა	თანამშრომლობა	ნაცნობობა	დროებითი სტუმარი	არ შემოგუშვებდ ქვეყანაში
სომხები							
დაწყებითი			50,0%			16,7%	33,3%
არასრული საშუალო		9,4%	12,5%	31,3%	25,0%	12,5%	9,4%
საშუალო	10,0%	11,6%	14,7%	6,9%	20,2%	20,8%	15,8%
ტექნიკური	10,1%	15,6%	9,0%	2,5%	24,1%	25,6%	13,1%
არასრული უმაღლესი	10,8%	10,8%	7,5%	8,6%	19,4%	29,0%	14,0%
უმაღლესი	8,7%	12,5%	11,1%	4,0%	21,2%	27,4%	15,1%
მაგისტრატურა	14,8%	16,7%	9,3%	3,7%	24,1%	27,8%	3,7%
სამეცნიერო ხარისხი	16,7%	33,3%				33,3%	16,7%
აზერბაიჯანელები							
დაწყებითი		16,7%	50,0%	33,3%			
არასრული საშუალო	9,4%	12,5%	21,9%	12,5%	31,3%	6,3%	6,3%
საშუალო	11,6%	17,5%	14,4%	6,1%	19,9%	22,4%	8,0%
ტექნიკური	9,5%	16,6%	9,5%	11,6%	19,6%	25,6%	7,5%
არასრული უმაღლესი	7,5%	12,9%	12,9%	10,8%	18,3%	31,2%	6,5%
უმაღლესი	9,6%	13,4%	11,8%	8,0%	23,6%	27,6%	6,0%
მაგისტრატურა	16,7%	20,4%	7,4%		22,2%	25,9%	7,4%
სამეცნიერო ხარისხი	16,7%	50,0%				16,7%	16,7%

დასახლების ტიპის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება როგორც სომხების ($X^2(6)=15,495$; $p=0.017$) ($X^2(60)=296,8$; $p=0.000$), ასევე აზერბაიჯანელების ($X^2(6)=30,739$; $p=0.000$) ($X^2(60)=315,186$; $p=0.000$) შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე რეგიონთან მიმართებაში ($X^2(20)=287,7$; $p=0.000$).

დასახლების ტიპის მიხედვით, ქალაქში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები, როგორც სომხების, ასევე აზერბაიჯანელების შემთხვევაში, უფრო მაღალ კონტაქტის დონეზე არიან თანახმა ეთნიკურ უმცირესობებთან, ვიდრე სოფლის მაცხოვრელი

ეთნიკურად ქართველები. რაც შეიძლება ასევე დავუკავშიროთ განათლების დონესაც, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიმდებლობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს დომინანტი კულტურის განათლების დონეც, მონაცემების მიხედვით, ქალაქის მაცხოვრებელთა შორის უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა (67,7%), ორჯერ აღემატება სოფლის მაცხოვრებელთა შორის უმაღლესი განათლების მქონეთა პროცენტულ მაჩვენებელს (32,3%).

ცხრილი 11 - სოციალური დისტანციის სასურველი დონე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

	სომეხი		აზერბაიჯანელი	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
ქორწინება	11,1%	7,1%	12,9%	6,5%
მეგობრობა	14,7%	9,9%	18,7%	10,9%
მეზობლობა	10,4%	13,6%	11,6%	13,8%
თანამშრომლობა	6,1%	5,0%	7,2%	9,4%
ნაცნობობა	20,3%	22,6%	20,2%	23,1%
დროებითი სტუმარი	24,2%	25,8%	22,8%	28,7%
არ შემოფუშვებდი ქვეყანაში	13,3%	15,9%	6,6%	7,5%

ჩვენს მონაცემებში, რეგიონების მიხედვით, კონტაქტის დონეები შემდეგნაირად დალაგდა: სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკურად ქართველები კონტაქტის ყველაზე მაღალ დონეზე არიან თანახმა ეთნიკურად სომეხებთან, შესაბამისად, თანახმა არიან, რომ იქორწინონ ეთნიკურად სომეხზე. სხვა რეგიონის წარმომადგენლების ბევრად უფრო მცირე პროცენტი (0-13%) ამბობს, რომ ეთნიკურად სომეხთან ოჯახის შექმნაზე იქნებოდა თანახმა. სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარის, შიდა ქართლისა და გურიის მაცხოვრებლები ყველაზე ნაკლებად გამოხატავენ ეთნიკურად სომეხებთან ოჯახის შექმნის სურვილს.

რაც შეეხება ეთნიკურად აზერბაიჯანელებს, მათთან ქორწინების სურვილს ყველაზე მეტად გამოხატავენ კახეთისა და იმერეთის მაცხოვრებლები. მათ შემდეგ მოდის ქვემო ქართლი და თბილისი, თუმცა პროცენტული მაჩვენებლები ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე კახეთისა და იმერეთის შემთხვევაში.

ეს მონაცემები ნაწილობრივ ადასტურებენ იმ მოსაზრებას, რომ კონტაქტი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელს შორის. სამცხე-ჯავახეთის მხარეში, კახეთისა და ქვემო ქართლის მხარეში, კომპაქტურად თავს იყრიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონტაქტის დონე ეთნიკურად ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის, უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რეგიონების შემთხვევაში, რაც მოქმედებს მათი სოციალური დისტანციის სურვილზეც.

ცხრილი 12 -სოციალური დისტანციის სასურველი დონე რეგიონის მიხედვით

	ქორწინება	მეგობრობა	მეზობლობა	თანამშრომლობა	ნაცნობობა	დროებითი სტუმარი	არ შემოვუშვებდ ქვეყანაში
სომეხი							
თბილისი	11,8%	19,4%	10,3%	4,4%	24,4%	22,4%	7,4%
აჭარა	1,6%	6,4%	24,0%	4,0%	25,6%	28,0%	10,4%
გურია	5,0%		10,0%	32,5%	32,5%	20,0%	
რაჭა-ლეჩხუმი		13,3%	6,7%		33,3%	13,3%	33,3%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1,9%	2,9%	7,6%	3,8%	17,1%	45,7%	21,0%
იმერეთი	11,2%	15,3%	9,4%	5,3%	21,8%	15,3%	21,8%
კახეთი	10,9%	10,0%	11,8%	5,5%	19,1%	31,8%	10,9%
მცხეთა-მთიანეთი	14,3%	31,4%	14,3%		8,6%	20,0%	11,4%
სამცხე-ჯავახეთი	21,7%	11,7%	10,0%	3,3%	31,7%	13,3%	8,3%
ქვემო ქართლი	13,6%	14,5%	17,3%	7,3%	16,4%	14,5%	16,4%
შიდა ქართლი	4,4%	3,3%	3,3%	6,7%	6,7%	41,1%	34,4%
აზერბაიჯანელი							
თბილისი	12,4%	25,0%	11,8%	3,8%	19,7%	23,5%	3,8%
აჭარა	4,8%	5,6%	23,2%	8,8%	22,4%	30,4%	4,8%
გურია			5,0%	20,0%	47,5%	25,0%	2,5%
რაჭა-ლეჩხუმი		26,7%	20,0%	6,7%	20,0%	20,0%	6,7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1,9%	11,4%	7,6%	21,0%	27,6%	24,8%	5,7%
იმერეთი	18,2%	14,7%	11,8%	10,0%	21,2%	12,9%	11,2%
კახეთი	22,7%	10,0%	10,0%	7,3%	19,1%	24,5%	6,4%
მცხეთა-მთიანეთი	5,7%	31,4%	17,1%	5,7%	2,9%	20,0%	17,1%
სამცხე-ჯავახეთი		3,3%	11,7%	10,0%	38,3%	26,7%	10,0%
ქვემო ქართლი	13,6%	24,5%	15,5%	2,7%	18,2%	13,6%	11,8%
შიდა ქართლი	1,1%	3,3%	7,8%	6,7%	10,0%	64,4%	6,7%

როგორც ზემოთ აღინიშნა, რადენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებს, ასევე, ცალკე უნდა შეეფასებინათ, ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე, თუ რამდენად იქნებოდნენ ამჟამად თავად თანახმა ოჯახის შექმნაზე განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენელთან. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დისტანციის სკალაზე მონაცემები ეთნიკურად სომხებისთვისა და აზერბაიჯანელებისთვის თითქმის თანაბარია და ამასთანავე, ეთნიკურად სომხებს ქართველები უფრო უარყოფითად ახასიათებენ, ოჯახის შექმნას მათთან უფრო მაღალი ქულით აფასებენ, ვიდრე აზერბაიჯანელების შემთხვევაში. სხვაობის სიმცირის მიუხედავად, მისი სტატისტიკური მნიშვნელობა დასტურდება დაწვეილებული ჯგუფების ტე ტესტით ($t(1199)=3.2$; $p=0.001$). შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აქ რელიგია განაპირობებს მაღალ ქულას. ამ მოსაზრებას ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც - როდესაც რესპონდენტებს ვეკითხებოდით, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის შექმნის დროს, მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: ნახევარზე მეტი (58%) ამბობს, რომ მნიშვნელოვანია რელიგია, შემდეგ ენა (21,2%) და ეთნიკურობა (20,8%).

ეს ფაქტი არის ძალიან საინტერესო, რადგან მიუხედავად ეთნიკურად სომხების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა, ეთნიკურად ქართველები ოჯახის შექმნისთვის მზაობას გამოხატავენ უფრო მეტად ეთნიკურ სომხებთან, ვიდრე ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური სომხების მიერ ინტეგრაციის არჩევის სტრატეგია ზუსტად ამ მიზეზით არის განპირობებული. ბერის (Berry, 1997) თეორიული მოდელის თანახმად, დადებითი ატიტუდები განაპირობებს უმცირესობათა მხრიდან ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანზე კონცენტრირებას, თუმცა ჩვენი კვლევის შემთხვევაში, აღნიშნული მოსაზრება არ დასტურდება, რადგან საპირისპირო შედეგებს ვიღებთ. ქორწინება აღიქმება, როგორც ყველაზე მჭიდრო კავშირი კულტურებს შორის, შესაბამისად, მჭიდრო სოციალურ კავშირებზე ეთნიკურად ქართველები უფრო მეტად მზად არიან ეთნიკურად სომხებთან, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელებთან და ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს რელიგიურობის ცვლადითაც. იმ ქვეყნებში, სადაც რელიგია არ არის კულტურული იდენტობის შემადგენელი ნაწილი, შესაძლებელია, რომ მხოლოდ დადებითი ატიტუდები იყოს საკმარისი მჭიდრო

სოციალური კავშირის დასამყარებლად, ხოლო იქ, სადაც რელიგია არის ძალიან მნიშვნელოვანი, მხოლოდ დადებითი დამოკიდებულებები არ განაპირობებს ქორწინებას, არამედ სხვადასხვა მესამე ცვლადმა, მაგალითად როგორცაა რელიგია შესაძლებელია გავლენა მოახდინოს ოჯახის შექმნის მზაობაზე და მან თავის მხრივ გავლენა მოახდინოს აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დადებითი სოციალური ატიტუდები ამ შემთხვევაში იყოს განხილული, როგორც მზაობა დაამყაროს ადამიანმა მჭიდრო სოციალური კავშირი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთან; თუმცა აღნიშნული საკითხი დამატებით საჭიროებს კვლევების ჩატარებას.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკურად ქართველები უარყოფითად ახასიათებენ საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და შედარებით უფრო დადებითად არიან დახასიათებულები ეთნიკურად აზერბაიჯანელები, თუმცა როდესაც ქართველები აფასებენ ქორწინების ალბათობას, ამ შემთხვევაში მაინც გადამწყვეტი როლი ენიჭება რელიგიას და არა მათ დამოკიდებულებებს. შესაბამისად, მჭიდრო სოციალური კავშირების განხილვის შემთხვევაში, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ რელიგია, ხოლო ფართო სოციალურ კავშირებში კი, ქართველების ატიტუდები, რადგან მეგობრული ურთიერთობების შეფასებასთან მიმართებაში ეთნიკურად აზერბაიჯანელები უფრო დადებითად ხასიათდებიან. შესაძლებელია, რომ სწორედ ეს იყოს იმ განსხვავების ახსნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობებიდან უფრო დადებითი დამოკიდებულება არის ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ, ეთნიკურად სომხები უფრო ირჩევენ ინტეგრაციის სტრატეგიას, რადგან მჭიდრო სოციალურ კავშირებზე მზაობა უფრო მეტად გამოიხატება ეთნიკურად სომხების მიმართ. კავშირების სახე, შესაძლებელია, ერთ-ერთი გავლენის მქონე ფაქტორად იქნას განხილული ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიების შესწავლის პროცესში. ამიტომ მნიშვნელოვანია უფრო საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ეთნიკურად ქართველებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის კონტაქტები.

5.3.1. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კონტაქტები

სხვადასხვა ჯგუფთან

აკულტურაციის სფეროს მკვლევრებმა (Kim, 1977; Gudykunst & Hammer, 1988) აღიარეს კომუნიკაციის მნიშვნელობა აკულტურაციის წარმატებით წარმართვისთვის. საქართველოში მცხოვრები კვლევაში მონაწილე როგორც სომხები, ასევე აზერბაიჯანელები აღნიშნავენ, რომ მათ დადებითი დამოკიდებულება აქვთ ეთნიკურ ქართველებთან. ეთნიკური უმცირესობის ორივე ჯგუფის წარმომადგენლის (n=35) ნარატივის მიხედვით, მათ აქვთ თითქმის ყოველდღიური კომუნიკაცია და კონტაქტი ადგილობრივ ქართველებთან, ყავთ ეთნიკურად ქართველი ბევრი მეგობარი, ასევე ლექტორები (n=15), მასწავლებლები (n=10) და ნაცნობები (n=40). მათი კომუნიკაცია გამოიხატება სხვადასხვა ტიპის ურთიერთობებში, ისინი ხშირად დადიან ერთმანეთთან სტუმრად (n=10), ასევე დღესასწაულებზე (n=5), დაბადების დღეებსა და ქორწილებში.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად უმცირესობის კვლევაში მონაწილეებიდან ნათესაური კავშირი (ისინი ამაში ოჯახს გულისხმობენ) არც ერთს არ აქვს ეთნიკურად ქართველთან (მხოლოდ ერთი აზერბაიჯანელი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მას ყავს ქართველი ნათლია (ქირვა) (n=1), რომელთანაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს). მონაწილეები აღნიშნავენ, რომ კარგი ურთიერთობები აქვთ ქართველებთან, ისინი ხშირად დადიან ეთნიკურად ქართველ მეზობლებთან სტუმრად, სვამენ ყავას, ჭორაობენ, შვილები ემეგობრებიან ერთმანეთს და ა.შ. (n=20).

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც თავად შესაძლოა, თანახმა იყვნენ შერეულ ქორწინებაზე, თუმცა მათი აზრით, მათი ოჯახი არ დაუჭერს მხარს მსგავს გადაწყვეტილებას (n=22).

„ოჯახის შექმნას აზერბაიჯანელთან ვისურვებდი. იმიტომ რომ ერთი ენა, ერთი ტრადიციები გვაქვს და უკეთესი ურთიერთგაგება გვექნება ერთმანეთთან. ქართველთან ოჯახის შექმნაზე ოჯახი წინააღმდეგობას გამიჩვენებს, იმიტომ რომ სხვა ეთნოსის წარმომადგენელთან ოჯახის შექმნა, ადაპტაცია და ურთიერთგაგება რთულია.“

(აზერბაიჯანელი, ქალი, 19 წლის)

კვლევაში მონაწილე ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ თუ გადაწყვეტილებას მიიღებენ სხვა ეთნოსის წარმომადგენელთან ქორწინების შესახებ, ეს აუცილებლად იქნებოდა ქართველი (n=10). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ახლაც კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ისინი თანახმანი არიან მულტიეთნიკურ ოჯახზე. შვილების დაქორწინებასთან დაკავშირებით, უმცირესობის წარმომადგენლები პრიორიტეტს საკუთარ ეთნოსს ანიჭებენ და ურჩევდნენ შვილებს იმავე ეთნოსის წარმომადგენელთან ქორწინებას, თუმცა თუ მათი შვილის არჩევანი იქნება განსხვავებული, როგორც ამბობენ, ისინი წინააღმდეგობას არ გაუწევენ.

თვისებრივი ინტერვიუების ნარატივის ანალიზისას შეინიშნება **განსხვავება თაობებს შორის**, ახალგაზრდები და საშუალო ასაკის მონაწილეები (18-25 და 26-35 წელი) გამოხატავენ სრულ მზაობას ასეთ ქორწინებაზე და ამბობენ, რომ მათთვის მთავარია სიყვარული და ურთიერთგაგება და არა რელიგია ან ეთნოსი. თუმცა, აღნიშნული სხვაობა არ დასტურდება რაოდენობრივი კვლევის შედეგებით, სადაც ბოგარდუსის სკალაზე შეფასებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ ფიქსირდება ასაკობრივ ჯგუფებს შორის ($p>0.05$).

„ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა ეთნიკურობასა და რელიგიას, თუ ადამიანი შემიყვარდება და იქნება ის, ვისთან ერთადაც მე მთელ ცხოვრებას გავატარებ, ეთნიკურობა და რელიგია არ შექმნის პრობლემას. ჩემი მშობლები ფიქრობენ, რომ სომეხმა სომხური ოჯახი უნდა შექმნას, მაგრამ არა მგონია ჩემს გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგონ, როგორც ზემოთაც ავლენიშნე, ოჯახის სიძლიერე დამოკიდებულია ამ ოჯახის წევრებზე.“

(სომეხი, ქალი, 32 წლის)

იმისთვის, რომ თვისებრივი კვლევის ნარატივით მიღებული შედეგები შეგვემოწმებინა რაოდენობრივი კვლევის მონაცემებით, ეთნიკურად აზერბაიჯანელებსაც და სომეხებსაც, შევაფასებინეთ მათთვის **სოციალური დისტანციის სასურველი დონე** ბოგარდუსის სოციალური დისტანციის გაზომვის სკალით, რომელზეც რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ სასურველი კონტაქტის დონე შემდეგი ეროვნების წარმომადგენლების მიმართ: რუსი, თურქი, სომეხი,

აზერბაიჯანელი, ბოშა, ამერიკელი, მუსულმანი ქართველი, ევროპელი და აზიელი. სკალაზე უმაღლესი დონეა ქორწინება, შემდგომ მეგობრობა, მეზობლობა, მუშაობა, ნაცნობობა და დროებითი სტუმრობა.

კონტაქტის ყველაზე მაღალი დონე (ქორწინება) ფიქსირდება ეთნიკურად სომხებისგან სომხების მიმართ, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელებისგან - ისევ აზერბაიჯანელების მიმართ. რაც შეეხება ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებას, ეთნიკურად სომხების სამ მეოთხედზე მეტი აღნიშნავს, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელს საერთოდ არ შემოუშვებდა ქვეყანაში და არც ერთი მათგანი არ არის თანახმა კონტაქტის უმაღლეს დონეზე (ქორწინებაზე), ისევე როგორც ეთნიკურად აზერბაიჯანელები არ არიან თანახმა ეთნიკურად სომხებთან კონტაქტის უმაღლეს დონეზე (ქორწინებაზე). ეთნიკურად აზერბაიჯანელების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ ეთნიკურად სომხებს საერთოდ არ შეუშვებდნენ ქვეყანაში, მხოლოდ მესამედზე ნაკლები ამბობს, რომ სომხებს დაუშვებდა მხოლოდ, როგორც დროებით სტუმარს ქვეყანაში.

რაც შეეხება ქართველების მიმართ დამოკიდებულებებს, სომხების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ამბობს, რომ მზად არის კონტაქტის ყველაზე მაღალ დონეზე (ქორწინებაზე), ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელების მეხუთედზე მეტი ამბობს, რომ თანახმაა ქორწინებაზე, თითქმის მესამედი ამბობს, რომ ეყოლებოდა ახლო მეგობრად და ყოველი მეხუთე ამბობს, რომ ეყოლებოდა მეზობლად.

ცხრილი 13 - სოციალური დისტანციის სასურველი დონე დომინანტ და უმცირესობათა ჯგუფისთვის

	სომეხი	აზერბაიჯანელი	ქართველი		
	აზერბაიჯანელი	სომეხი	სომეხი	აზერბაიჯანელი	ჯამი
ქორწინება			84.8%	22.7%	51.5%
მეგობრობა	1,7%	1,9%	9.5%	29.3%	20.1%
მეზობლობა	4,1%		5.7%	21.9%	14.4%
მუშაობა	4,5%			20.2%	10.8%
ნაცნობობა	2,5%	14,8%		5.8%	3.1%
დროებითი სტუმრობა	9,5%	28,1%			
ქვეყანაში არ შემოშვება	77,7%	55,2%			

ეს მონაცემები ადასტურებს თვისებრივი კვლევით მიღებულ შედეგებსაც, რომ საკუთარი ეროვნების გარდა, თუ ვინმესთან გადაწყვეტდნენ ოჯახის შექმნას, ეს იქნება

ქართველი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად სომხები ბევრად უფრო მაღალ კონტაქტის დონის სურვილს (ქორწინება) აფიქსირებენ, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელები, რისი ერთ-ერთი ამხსნელი ფაქტორიც, ჩვენი აზრით, შესაძლებელია რელიგია იყოს.

კვლევის მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკურად სომხები მზად არიან დაქორწინდნენ რუსზე, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელები - თურქზე, რაც მოსალოდნელიც იყო. ხოლო ეთნიკურად სომხების ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ თურქს საერთოდ არ შემოუშვებდა ქვეყანაში. აღნიშნული მონაცემების ინტერპრეტაციაც შესაძლებელია ამ ეთნოსებს შორის არსებული ისტორიით⁵, ასევე რელიგიურობის გავლენით, რადგან აზერბაიჯანელები ქორწინების სურვილს აფიქსირებენ იმავე რელიგიური მრწამსის ადამიანებთან (თურქებთან), ხოლო სომხები უარს ამბობენ თურქებთან ქორწინებაზე და თანახმა არიან მხოლოდ ნაცნობობაზე, თუმცა ქორწინების სურვილს გამოთქვამენ რუსთან (მართმადიდებელთან).

ცხრილი 14 - სოციალური დისტანციის სასურველი დონე რუსებისა და თურქებისთვის

	რუსი			თურქი		
	სომეხი	აზერბაიჯანელი	ჯამი	სომეხი	აზერბაიჯანელი	ჯამი
ქორწინება	44,3%	28,1%	35,6%		44,6%	23,9%
მეგობრობა	7,1%	17,8%	12,8%	1,4%	29,3%	16,4%
მეზობლობა	12,4%	11,6%	11,9%		13,2%	7,1%
მუშაობა	8,1%	10,7%	9,5%		3,7%	2,0%
ნაცნობობა	16,7%	13,2%	14,8%	14,8%	4,5%	9,3%
დროებითი სტუმრობა	6,2%	14,9%	10,8%	29,0%	4,5%	15,9%
ქვეყანაში არ შემოშვება	5,2%	3,7%	4,4%	54,8%		25,4%

აღნიშნული მონაცემების განხილვა ხაზს უსვამს რელიგიურობის მნიშვნელობას და მისი, როგორც ფაქტორის განხილვის აუცილებლობას სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში, რადგან როგორც ეთნიკურად ქართველების მონაცემების განხილვისას ვნახეთ, ეთნიკურ უმცირესობებთანაც ანალოგიური ტენდენცია ფიქსირდება და თუ მჭიდრო კავშირებს, ისეთს, როგორიცაა ქორწინება, განვიხილავთ, როგორც

სომხების გენოციდი - სომხების სისტემატური მკვლელობა და დეპორტაცია ოტომანთა იმპერიის, თურქების მიერ 1915 წელს (Natinal Archives, 2023)

ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანზე გავლენის მქონე ფაქტორად, რელიგია განხილული უნდა იყოს, როგორც გამაშუალებელი (მედიატორი) ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ან უწყობს ოჯახის შექმნას სხვადასხვა ეთნოსს შორის.

5.3.2. ეთნიკურად ქართველების დამოკიდებულებები რელიგიის მიმართ

თემის დარგობრივ ექსპერტებთან ჩატარებული კვლევის შედეგად გამოითქვა ვარაუდი, რომ ეთნიკურად ქართველები ხშირად რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციას ეწევიან ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

რელიგიის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით, დემოგრაფიული მონაცემებით არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ასაკთან დაკავშირებით, თუმცა ეს განსხვავება ფიქსირდება სქესის ($X^2(3)=9.024$; $p=0.029$), განათლების ($X^2(21)=50.437$; $p=0.000$), რეგიონისა ($X^2(30)=44.667$; $p=0.000$) და დასახლების ტიპის ($X^2(3)=46.295$; $p=0.000$) მიხედვით. კაცები (52,7%) უფრო მეტად ეთანხმებიან დებულებას, რომ არ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია და მსოფლიოს ყველა დიდი რელიგია შეიცავს ძირითად ჭეშმარიტებას, ვიდრე ქალები (47,3%), ხოლო ქალების უფრო დიდი ნაწილი იზიარებს სხვა მოსაზრებებს. განათლების მიხედვით, ვინც ეთანხმება აზრს: რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, ყველაზე მეტად იზიარებენ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები (31,1%), მათგან, ვინც ფიქრობს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ სხვა რელიგიებშიც არის რაღაც ჭეშმარიტება (39,5%), არ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ მსოფლიოს ყველა დიდი რელიგია შეიცავს ჭეშმარიტებას (41,4%) ან არც ერთი დიდი რელიგია არ შეიცავს ჭეშმარიტებას (61,1%) - უმეტესობა წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტებს.

კვლევის შედეგების ანალიზით დგინდება, რომ ქართველები ძირითადად, რელიგიურად მიიჩნევენ საკუთარ თავს ($M=3.88$; $SD=0.701$) და მათთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია რელიგია ($M=3.34$; $SD=0.581$), თუმცა მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი (4,4%) ასრულებს ზედმიწევნით ყველა რიტუალს. უმეტესობა ამბობს, რომ ისინი ასრულებენ ძირითად რიტუალებს, ან აღნიშნავენ მხოლოდ დიდ დღესასწაულებს. ქალებისთვის უფრო მნიშვნელოვანია რელიგია ($M=3.4$; $SD=0.581$) ($F=8.468$; $p=0.004$) ($t(1198)=-3.699$; $p=0.000$) და უფრო რელიგიურად მიიჩნევენ თავს ($M=3.95$; $SD=0.67$)

($F=18.734$; $p=0.000$) ($t(1198)=-3.996$; $p=0.000$) ვიდრე კაცები ($M=3.28$; $SD=0.574$) ($M=3.79$; $SD=0.727$). 34-35 წლის რესპონდენტები ($M=3.97$; $SD=0.672$) უფრო რელიგიურად მიიჩნევენ თავს, ვიდრე 65 წელს ($M=3.75$; $SD=0.785$) ზემოთ მყოფი რესპონდენტები ($F(5)=2.904$; $p=0.013$; $\eta^2=0.012$). სოფლის მაცხოვრებლებისთვის ($M=3.4$; $SD=0.566$) რელიგიას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქალაქის მაცხოვრებლებისთვის ($M=3.31$; $SD=0.589$) ($F=0.321$; $p=0.571$) ($t(1198)=-2.629$; $p=0.009$).

შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკურად ქართველებისთვის რელიგია არის საკმაოდ მნიშვნელოვანი, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს სხვადასხვა საკითხზე, მაგალითად, როგორცაა ოჯახის შექმნა. ეთნიკურად ქართველებისთვის ყველაზე მაღალი კონტაქტისთვის - ოჯახის შექმნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია რელიგია, რომელიც ჩვენი მონაცემების მიხედვით, ეთნიკურობასა და ენაზე წინაა. შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისეთ მჭიდრო კავშირებს, როგორცაა ქორწინება, განვიხილავთ, როგორც აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე გავლენის მქონე ფაქტორს. რელიგია, შესაძლებელია, განხილული იყოს, როგორც გამაშუალებელი ცვლადი - აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანზე გავლენას ახდენს მჭიდრო კავშირებისთვის მზაობა, ხოლო მჭიდრო კავშირზე - ქორწინების მზაობაზე გავლენას ახდენს რელიგია.

დაისვა საკითხი, რამდენად მნიშვნელოვანია რელიგია ეთნიკური უმცირესობებისთვის და რამდენად ახდენს რელიგიურობის მნიშვნელოვნება გავლენას აკულტურაციის სტრატეგიების არჩევანზე.

5.3.3. ეთნიკური უმცირესობებისთვის რელიგიის მნიშვნელობა და კავშირი აკულტურაციასთან

მკვლევრების (იხ. Hood et.al., 1996; Hunsberger, 1995) ნაშრომები ადასტურებს, რომ რელიგია დაკავშირებულია უარყოფით წინარწმენასთან. ოლპორტმა და როსმა (Allport and Ross, 1967) განაცხადეს, რომ მორწმუნე ადამიანები, შინაგანი (intrinsic) რელიგიური ორიენტაციის მქონე ადამიანები, მიდრეკილნი არ არიან უარყოფით წინარწმენებისკენ, და გარეგანი (extrinsic) ორიენტაციის მქონე ადამიანები ნაკლებად ტოლერანტები არიან. ბატსონი და მისი კოლეგები (Batson et al., 1993) ვარაუდობენ, რომ ისეთი უარყოფითი წინარწმენები, როგორცაა რასიზმი, ჩვეულებრივ

აკრძალულია ან დაგმობილია რელიგიური თემების მიერ. რელიგიურობა დაკავშირებულია მიმდებლობის დაბალ, უარყოფითი წინარწმენების მაღალ მაჩვენებელთან და რასიზმთან (Duck & Hunsberger, 1999).

ჩვენს კვლევაში, ორივე ეთნოსთან, აზერბაიჯანელებთან და სომეხებთან ქორწინებაზე თანხმობა სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირშია რელიგიის მნიშვნელობასა და რელიგიურობის ხარისხის შეფასებასთან. რელიგიურობის მნიშვნელობა უარყოფით კორელაციაშია როგორც ეთნიკურად სომეხთან ($r=-0.066$; $p=0.022$), ასევე ეთნიკურად აზერბაიჯანელთან ($r=-0.082$; $p=0.004$) ოჯახის შექმნასთან; ისევე, როგორც რელიგიურობის ხარისხის შეფასება ($r=-0.113$; $p=0.000$) ($r=-0.118$; $p=0.000$). შესაბამისად, ეთნიკურად ქართველების მაღალი რელიგიურობის განცდა და მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია ეთნიკურ უმცირესობებთან ოჯახის შექმნის ნაკლებ მზაობასთან.

ცხრილი 15 - ეთნიკურად ქართველებისგან კონტაქტის შეფასება

	საშუალო	სტ. გადახრა
თანახმა ვიქნებოდი ოჯახი შევქმნა საქართველოში მცხოვრებ უცხოელთან	2,52	1,394
თანახმა ვიქნებოდი ოჯახი შევქმნა საქართველოში მცხოვრებ სომეხთან	1,92	1,158
თანახმა ვიქნებოდი ოჯახი შევქმნა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთან	1,87	1,124

რელიგიის საკითხი ეთნიკურ უმცირესობებთანაც იკვეთება თვისებრივი კვლევის შედეგების ანალიზითაც. თემის დარგობრივი ექსპერტებიც მიუთითებენ, რომ საკმაოდ იშვიათად ხდება შერეული ქორწინებები. განსაკუთრებით იშვიათია, როდესაც ეთნიკური უმცირესობის მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი ოჯახს ქმნის ეთნიკურად ქართველთან, ხოლო როდესაც მამაკაცი ქმნის ეთნიკურად ქართველთან ოჯახს, ეს უფრო ხშირი პრაქტიკაა. შერეულ ოჯახებთან დაკავშირებით ხაზი ესმევა, ასევე რელიგიურობის ფაქტორსაც. დარგობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მუსულმან ეთნიკურად ქართველთან (აჭარელთან) ქორწინების შემთხვევაში, წინააღმდეგობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელთან, მაგალითად ქართველთან ან სომეხთან.

„არა, არა რელიგია რა შუაშია, ხო მესმის, არის ისეთი ოჯახები, რომლებისთვისაც ეს არის პრიორიტეტი, არ უნდა იყოს ქრისტიანი, ოღონდ პირიქით შემთხვევაში, თუ ცოლი არის აზერბაიჯანელი და ქმარი ქართველი, იმ შემთხვევაში ნუ ძაან ხშირად არ

ხდება, ხშირი არ არის ოღონდ ზოგადად, ითხოვენ რო ეს მენტალობიდან გამომდინარე ქმარი თუ იქნება მუსლიმი, მაშინ მისაღებია თუ არადა არა“

(ლინგვისტი, კაცი)

„ქართველზე გაყოლა უფრო ის არის პრობლემატური... ეგ უკვე ანუ ფაქტობრივად გარკვეული თვალსაზრისით, თითქმის გარიყულია ეგ გოგონა... მშობლები ეკონტაქტებიან, არავინ არ აგინებს, თავს არ უხეთქავს, მაგრამ რომ იგებენ, რომ ასეთი რამეა, მისაღები არ არის, მაგრამ პირიქით, ქართველი რძალი არ არის პრობლემა“

(არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, კაცი)

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები თანახმა არიან ქართველებთან ისეთი ნათესაური კავშირის დამყარებაზე (n=18), როგორცაა შორეული ნათესავის ქორწინება. თუმცა, რაც შეეხება პირადად მათ ქორწინებას, რესპონდენტების ნაწილი (n=24) გამოხატავს დაურწმუნებლობას, ზოგადად ნეგატიურ დამოკიდებულებას სხვა ეთნოსთან ოჯახის შექმნაზე. კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა, ეთნოსზე მეტად ყურადღებას რელიგიაზე ამახვილებს. როგორც სომხები, ასევე აზერბაიჯანელები აღნიშნავენ, რომ ისინი არ არიან თანახმა შექმნან ოჯახი სხვა რელიგიის წარმომადგენელთან, რადგან მსგავსი ტიპის კავშირებს, ყოველთვის მოსდევს გარკვეული სირთულეები.

„რა ერთიანობაზე შეიძლება ვისაუბროთ, თუ მოყვარულები სხვადასხვა დარჩებიან ეთნიკურობით? ერთი რელიგიისთვის, სხვა რელიგიის მიმდევარი უმეტეს შემთხვევაში, უცხოა არა მხოლოდ კულტურით, განათლებით, აღზრდისა და ცხოვრების ორგანიზების თვალსაზრისით, არამედ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებიც, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კონკრეტული ეთნოსის სისხლის სიწმინდეს..... ეთნიკურობაზე არ ვიქნები წინააღმდეგი, მაგრამ სხვა რელიგიის წარმომადგენელზე ვერ დავაქორწინებ ჩემ შვილსა და შვილიშვილს.

შერეული ოჯახები “

(სომეხი, მამრობითი, 49 წლის)

რელიგიის ცვლადს გავლენა აქვს არა მხოლოდ ქორწინებაზე, არამედ მისი როლი შესაძლებელია, ასევე განხილული იყოს აკულტურაციის სტრატეგიებთან მიმართებაშიც - მათგან, ვინც სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელია,

უფრო მეტად ავლენს ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის ტენდენციას, ვიდრე ისლამის მიმდევარი ან ათეისტი ($F(2)=11.718$; $p=0.000$; $\eta^2=0.05$). რაც შეეხება მარგინალიზაციას, საპირისპირო ტენდენციას ვხვდებით - სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელი ყველაზე ნაკლებად ირჩევს ამ სტრატეგიას ($F(2)=40.412$; $p=0.000$; $\eta^2=0.153$).

აღნიშნული ტენდენცია შეესაბამება აკულტურაციის სტრატეგიების ეთნოსის მიხედვით შედარებას, სადაც სომხური ეთნოსის წარმომადგენლები უფრო მეტად ამჟღავნებდნენ ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევას, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელები.

ცხრილი 16 - ინტეგრაცია და მარგინალიზაცია აღმსარებლობის მიხედვით

აღმსარებლობა:		ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
სომხური სამოციქულო ეკლესია	საშუალო	4,15	2,13
	სტ. გადახრა	2,02	0,88
ისლამი	საშუალო	3,39	2,85
	სტ. გადახრა	1,25	0,83
ათეისტი	საშუალო	3,71	2,90
	სტ. გადახრა	0,82	0,63

მონაცემთა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საკუთარ თავს მიიჩნევენ რელიგიურად ($M=3.48$; $SD=0.851$), სომხები უფრო რელიგიურად მიჩნევენ საკუთარ თავს ($M=3.86$; $SD=0.618$), ვიდრე აზერბაიჯანელები ($M=3.16$; $SD=0.893$) ($F(1)=91.261$; $\eta^2=0.169$; $P=0.000$).

ამავე ტენდენციაზე საუბრობენ, ასევე, დარგობრივი ექსპერტების წარმომადგენლებიც.

„ზოგადად, აზერბაიჯანული თემი ნაკლებად რელიგიურია, უფრო სოკულარული თემია და ამიტომაც, თუ ესეთი პრაქტიკოსი, მუსლიმი და პრაქტიკოსი მორწმუნე არ არის ალკოჰოლის, სიგარეტის პრაქტიკები ჩანს.“

(ისტორიკოსი, კაცი)

რაც შეეხება დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით ჯგუფთაშორის სხვაობას, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა სქესთან ($F(1)=4.175$; $\eta^2=0.009$; $P=0.042$) და განათლებასთან ($F(6)=3.023$; $\eta^2=0.039$; $P=0.007$) მიმართებაში.

კერძოდ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები ($M=3.56$; $SD=0.823$) უფრო რელიგიურად მიიჩნევენ საკუთარ თავს, ვიდრე კაცები ($M=3.39$; $SD=0.870$) და ყველაზე რელიგიურად თავს მიიჩნევენ საშუალო განათლების მქონე რესპონდენტები ($M=3.62$; $SD=0.760$), ხოლო ყველაზე ნაკლებად დაწყებითი ($M=3$; $SD=0.00$) და არასრული საშუალო განათლების ($M=3.56$; $SD=0.760$) მქონე რესპონდენტები.

ცხრილი 17 - რელიგიურობა განათლების მიხედვით

განათლება		რელიგიურობა
დაწყებითი	საშუალო	3,00
	სტ. გადახრა	0,000
არასრული საშუალო	საშუალო	3,00
	სტ. გადახრა	0,816
საშუალო	საშუალო	3,62
	სტ. გადახრა	0,760
ტექნიკური	საშუალო	3,43
	სტ. გადახრა	0,806
არასრული უმაღლესი	საშუალო	3,56
	სტ. გადახრა	0,850
უმაღლესი	საშუალო	3,39
	სტ. გადახრა	0,980
მაგისტრატურა	საშუალო	3,08
	სტ. გადახრა	0,900
სულ	საშუალო	3,48
	სტ. გადახრა	0,851

ეთნიკურად სომეხი ქალები უფრო რელიგიურად მიიჩნევენ თავს ($F(1)=34,197$; $\eta^2=0.141$; $P=0.000$) ($M=4,08$; $SD=0.367$), მათთვის უფრო მნიშვნელოვანია რელიგია ($F(1)=12,039$; $\eta^2=0.055$; $P=0.001$) ($M=3,1$; $SD=0.305$) და უფრო ხშირად დადიან სალოცავად ($F(1)=27,662$; $\eta^2=0.117$; $P=0.000$) ($M=4,54$; $SD=0.603$), ვიდრე ეთნიკურად სომეხი მამაკაცები ($M=3,62$; $SD=0.722$) ($M=2,94$; $SD=0.366$) ($M=3,94$; $SD=1,008$); თუმცა, მამაკაცები უფრო აღნიშნავენ ($M=2,84$; $SD=0.590$), რომ ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს ($F(1)=95,164$; $\eta^2=0.314$; $P=0.000$), ვიდრე ქალები ($M=2,17$; $SD=0,4$).

რაც შეეხება გენდერულ სხვაობას ეთნიკურად აზერბაიჯანელთან, T დამოუკიდებელის ტესტმა არ დაადასტურა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა რელიგიასთან დამოკიდებულებებთან მიმართებაში ($p>0.05$). ესე იგი, **ქალები და კაცები ერთნაირად აღიქვამენ რელიგიურობის ცვლადს**, შესაბამისად, ერთნაირად რელიგიურები არიან.

რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა ეთნიკური უმცირესობებისთვის, ასევე ფიქსირდება ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგებითაც, როგორც თემის დარგობრივ ექსპერტებთან, ასევე ეთნიკურ უმცირესობებთან ჩატარებული კვლევის შედეგებით.

თემის დარგობრივი ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ რელიგიურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეთნიკურ უმცირესობებზე, თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ რელიგიურობამ შეიძინა ტრადიციების ხასიათი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი რელიგიურ რიტუალებს ასრულებს არა მისი რწმენის გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს გახდა კულტურული ტრადიცია.

„რელიგია რაღაც მეორეხარისხოვანი ჰქონდათ თავიდანვე, საბჭოთა კავშირმა ეს წაშალა და როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე აზერბაიჯანში და სომხეთში“
(ისტორიკოსი, კაცი)

„აზერბაიჯანის შემთხვევაში, არსებითად უკანა ფონზეა რელიგია, საერთოდ არ აქვს მაგას ისეთი მაღალი მნიშვნელობა, მათი კულტურული ფენომენის აღნიშვნისას... და ქართველ სომხებშიც ეგრეა, მათთვის ერთადერთი რელიგია არი კავშირი დედასამშობლოსთან, აი ერთადერთი მაგ კუთხით განიხილავენ, საერთოდ არარელიგიურები არიან, მარა იციან რო სომხეთის პატრიარქი რაღაც სიმბოლოა მათი ძლიერების...“
(საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალი)

რაც უფრო რელიგიურია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, მით უფრო მაღალი ინტეგრაციის მაჩვენებელი აქვს მას ($F(2)=3.3$; $\eta^2=0.014$; $P=0.038$) და საპირისპიროდ, დაბალი რელიგიურობის მაჩვენებელი, კავშირშია მარგინალიზაციის მაღალ მაჩვენებელთან ($F(2)=14.735$; $\eta^2=0.062$; $P=0.000$). მონაცემების ანალიზმა ეთნოსების მიხედვით, არ დააფიქსირა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა

სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტეგრაციისა და მარგინალიზაციის მიმართულებით, აღნიშნული ტენდენცია არ იკვეთება სხვადასხვა ეთნოსში.

ცხრილი 18 - ინტეგრაცია და მარგინალიზაცია რელიგიის მიხედვით

რამდენად რელიგიურად მიიჩნევთ თავს		ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
არა	საშუალო	3,60	2,81
რელიგიური	სტ. გადახრა	1,51	0,83
საშუალოდ	საშუალო	3,48	2,77
რელიგიური	სტ. გადახრა	1,45	0,84
რელიგიური	საშუალო	3,92	2,32
	სტ. გადახრა	1,82	0,94

რელიგია ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია ტექნიკური განათლების მქონე რესპონდენტებისთვის ($M=2.86$; $SD=0.401$), ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანია დაწყებითი განათლებისა ($M=3.33$; $SD=0.816$) და მაგისტრატურის საფეხურზე ($M=3.33$; $SD=0.492$) მყოფი გამოკითხულებისთვის. რაც შეეხება ასაკს, ტუკის ტესტმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება 25-40 წლის რესპონდენტსა და 56 წელს ზემოთ მყოფ რესპონდენტებს შორის ($p=0.028$) - 25-40 წლის ადამიანებისთვის რელიგია უფრო მნიშვნელოვნად აღიქმება ($M=3.18$; $SD=0.465$), ვიდრე 56 წელს ზემოთ მყოფი რესპონდენტებისთვის ($M=2.94$; $SD=0.304$).

ცხრილი 19 - რელიგიის მნიშვნელობა განათლების მიხედვით

განათლება		მნიშვნელობა
დაწყებითი	საშუალო	3,33
	სტ. გადახრა	0,816
არასრული საშუალო	საშუალო	3,05
	სტ. გადახრა	0,621
საშუალო	საშუალო	3,11
	სტ. გადახრა	0,527
ტექნიკური	საშუალო	2,86
	სტ. გადახრა	0,401
არასრული უმაღლესი	საშუალო	3,01
	სტ. გადახრა	0,565
უმაღლესი	საშუალო	3,15
	სტ. გადახრა	0,558
მაგისტრატურა	საშუალო	3,33
	სტ. გადახრა	0,492
სულ	საშუალო	3,08
	სტ. გადახრა	0,542

რელიგიის მნიშვნელობა არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირში აკულტურაციის არც ერთ მაჩვენებელთან ($p > 0.05$). თუმცა ჯგუფთაშორისმა შედარებამ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მარგინალიზაციის მაჩვენებელთან ($F(2)=3.343$; $\eta^2=0.015$; $P=0.036$). რელიგიურობის მაღალი მნიშვნელობის მქონე ადამიანების მარგინალიზაციის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე რელიგიურობის საშუალო მნიშვნელობა ან უმნიშვნელობა.

ცხრილი 20 - მარგინალიზაცია რელიგიის მნიშვნელობის მიხედვით

რელიგიურობის მნიშვნელობა		მარგინალიზაცია
არ არის მნიშვნელოვანი	საშუალო	2,59
	სტ. გადახრა	0,60
არც მნიშვნელოვანია და არც არა	საშუალო	2,45
	სტ. გადახრა	0,95
მნიშვნელოვანია	საშუალო	2,74
	სტ. გადახრა	0,91

ეთნიკურად სომეხი რესპონდენტების მონაცემთა ანალიზის შედეგად, ასიმილაცია აღმოჩნდა დადებით კორელაციაში რელიგიურობის მნიშვნელობასთან ($r=0.265$; $p=0.000$). ჯგუთაშორისმა შედარებამ ($F(2)=7,869$; $\eta^2=0.071$; $P=0.001$) აჩვენა, რომ ისინი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია რელიგია ($M=3,00$; $SD=1,19$), უფრო მაღალ ასიმილაციურ სტრატეგიებს ამჟღავნებენ, ვიდრე ვისთვისაც არ არის მნიშვნელოვანი ($M=1,20$; $SD=0,24$) ან მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია ($M=2,17$; $SD=1,14$).

საპირისპირო სიტუაცია იკვეთება სალოცავად სიარულის მიმართულებით. რელიგიის მნიშვნელობის მაღალი ქულით შეფასების მიუხედავად, ორივე ეთნოსის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ შედარებით იშვიათად ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს ($M=2.66$; $SD=0.915$). სომეხები უფრო იშვიათად ასრულებენ რიტუალებს ($M=2.5$; $SD=0.605$), ვიდრე აზერბაიჯანელები ($M=3.8$; $SD=1.098$) ($F(1)=12.545$; $\eta^2=0.025$; $P=0.000$). ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება სქესთან მიმართებაში ($F(1)=7,156$; $\eta^2=0.016$; $P=0.008$) - კაცები უფრო აღნიშნავენ ($M=2.79$; $SD=0.907$), რომ ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს, ვიდრე ქალები ($M=2.56$; $SD=0.910$).

გამოკითხულები ამბობენ, რომ არც თუ ისე ხშირად დადიან სალოცავად ($M=3.44$; $SD=1.507$), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკურად სომეხები უფრო ხშირად დადიან სალოცავად ($M=4.25$; $SD=0.872$), ვიდრე აზერბაიჯანელები ($M=2.75$; $SD=1.590$) ($F(1)=147.637$; $\eta^2=0.247$; $P=0.000$). დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა სალოცავში სიარულთან მიმართებაში ($p>0.05$).

სეპარაციისა ($r=-0.111$; $p=0.019$) და მარგინალიზაციის ($r=-0,301$; $p=0.000$) მაჩვენებელი უარყოფით კორელაციაშია სალოცავად სიარულის სიხშირესთან და დადებით კორელაციაშია ინტეგრაციის მაჩვენებელთან ($r=0.242$; $p=0.000$). მონაცემთა ანალიზმა ეთნიკურად სომეხი რესპონდენტების მიხედვით, აჩვენა იგივე ტენდენცია, ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელების შემთხვევაში, სალოცავად სიარული მხოლოდ ინტეგრაციის მაჩვენებელთან იყო კავშირში ($r=0.38$; $p=0.032$), რაც უფრო ხშირად ($M=4.07$; $SD=0,74$) დადის ეთნიკურად აზერბაიჯანელი სალოცავად, მით უფრო მაღალ ინტეგრაციის მაჩვენებელს აფიქსირებს ($M=3.2$; $SD=1.4$) ($F(4)=4.637$; $\eta^2=0.073$; $P=0.001$).

ჯგუფთაშორისმა ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა სეპარაციის ($F(4)=25,863$; $\eta^2=0.118$; $P=0.000$), ინტეგრაციისა ($F(4)=14,485$; $\eta^2=0.115$; $P=0.000$) და მარგინალიზაციის ($F(4)=14,856$; $\eta^2=0.117$; $P=0.000$) მიმართულებით. მონაცემთა შემდგომმა ანალიზმა ტუკი-კრამერის კრიტერიუმის მიხედვით გვაჩვენა, რომ სეპარაციასთან მიმართებაში, ისინი ვინც ძალიან იშვიათად დადიან სალოცავად, უფრო დაბალი სეპარაციის მაჩვენებლით ხასიათდებიან, ვიდრე ისინი, ვინც ორ კვირაში ერთხელ დადის სალოცავად ($p=0.000$), თუმცა ისინი, ვინც მინიმუმ კვირაში ერთხელ მაინც დადიან სალოცავად, უფრო დაბალი სეპარაციის მაჩვენებლით ხასიათდებიან ($p=0.001$).

ისინი, ვინც ძალიან იშვიათად დადიან სალოცავად, უფრო მარგინალიზებულნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც ორ კვირაში ერთხელ ($p=0.002$) ან კვირაში ერთხელ მაინც ($p=0.000$) დადიან სალოცავად.

ინტეგრაციის მაჩვენებელთან მიმართებაში კი საპირისპირო სიტუაციაა, როგორც მოსალოდნელი იყო. ისინი, ვინც კვირაში ერთხელ მაინც დადიან სალოცავად, უფრო მეტად მიმართავენ ინტეგრაციის სტრატეგიას, ვიდრე ისინი, ვინც უფრო იშვიათად დადის ($p<0.05$).

ცხრილი 21 - სეპარაცია, ინტეგრაცია და მარგინალიზაცია სალოცავად სიარულის მიხედვით

რელიგიური დღესასწაულების გარდა, რამდენად ხშირად დადიხართ სალოცავად?		სეპარაცია	ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
ძალიან იშვიათად	საშუალო	3,62	3,22	3,00
	სტ. გადახრა	1,10	1,42	0,90
წელიწადში რამდენჯერმე	საშუალო	3,32	3,54	2,54
	სტ. გადახრა	0,99	1,61	0,70
თვეში ერთ-ორჯერ	საშუალო	4,24	3,61	2,93
	სტ. გადახრა	1,16	1,40	0,88
ორ კვირაში ერთხელ	საშუალო	4,33	3,22	2,51
	სტ. გადახრა	1,33	1,87	0,94
კვირაში ერთხელ მაინც	საშუალო	2,97	4,51	2,16
	სტ. გადახრა	1,17	1,52	0,87

რელიგიური რიტუალების შესრულების მიმართულებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება მარგინალიზაციის სტრატეგიებთან მიმართებაში ($F(4)=10,615$; $\eta^2=0,087$; $P=0,000$). რაც უფრო ზედმიწევნით ასრულებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ყველა რელიგიურ რიტუალს, მით უფრო მაღალ მარგინალიზაციის დონეს აფიქსირებს.

ცხრილი 22 - მარგინალიზაცია რელიგიური რიტუალების შესრულების მიხედვით

რამდენად ასრულებთ რელიგიურ რიტუალებს?		მარგინალიზაცია
ზედმიწევნით ვასრულებ ყველა რიტუალს	საშუალო	3,00
	სტ. გადახრა	0,71
ვასრულებ ძირითად რიტუალებს	საშუალო	2,44
	სტ. გადახრა	0,95
იშვიათად ვასრულებ რიტუალებს	საშუალო	2,25
	სტ. გადახრა	0,80
ჩვეულებრივ, არ ვასრულებ რიტუალებს, მაგრამ ავლნიშნავ დიდ დღესასწაულებს	საშუალო	2,97
	სტ. გადახრა	0,92

გამოკითხულთა მეხუთედი ფიქრობს, რომ არ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ მსოფლიოს ყველა დიდი რელიგია შეიცავს ძირითად ჭეშმარიტებას; ხოლო ყოველი მეოთხეს აზრით, არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია. კვლევაში მონაწილე სომხების ნახევარი ამბობს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ სხვა რელიგიებშიც არის რაღაც ჭეშმარიტება; ხოლო აზერბაიჯანელი რესპონდენტების თითქმის მესამედი აღნიშნავს, რომ არ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ მსოფლიოს ყველა დიდი რელიგია შეიცავს ძირითად ჭეშმარიტებას ($X^2(3)=33,367$; $P=0,000$).

ცხრილი 23 - რელიგიის მიმართ დამოკიდებულება ეთნოსების მიხედვით

	სომეხი	აზერბაიჯანელი	ჯამი
არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია	22,9%	28,5%	25,9%
არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ სხვა რელიგიებშიც არის რაღაც ჭეშმარიტება	50,5%	30,2%	39,6%
არ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ მსოფლიოს ყველა დიდი რელიგია შეიცავს ძირითად ჭეშმარიტებას	26,7%	32,2%	29,6%
არც ერთი დიდი რელიგია არ გვთავაზობს ჭეშმარიტებას		9,1%	4,9%

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა დაფიქსირდა ასიმილაციის ($F(3)=9,569$; $\eta^2=0.06$; $P=0.000$), სეპარაციისა ($F(3)=4,25$; $\eta^2=0.028$; $P=0.006$) და ინტეგრაციის მაჩვენებლებთან ($F(3)=1,142$; $\eta^2=0.069$; $P=0.000$).

ასიმილაციასთან დაკავშირებით, ის რესპონდენტები, რომელთა აზრით არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, ყველაზე ნაკლებად გამოხატავენ ასიმილაციას, ვიდრე სხვები ($p<0.05$), ასევე, ეს ადამიანები აფიქსირებენ სეპარაციის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს; ხოლო ინტეგრაციასთან მიმართებაში, ყველაზე მაღალ ინტეგრაციის მაჩვენებელს აფიქსირებენ ისინი, ვისი აზრითაც არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ მსოფლიოს სხვა რელიგიებიც შეიცავენ ძირითად ჭეშმარიტებას, ხოლო ყველაზე დაბალ ინტეგრაციის მაჩვენებელს აფიქსირებენ ისინი, ვისი აზრითაც არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია.

ცხრილი 24 - ასიმილაცია, სეპარაცია და მარგინალიზაცია რელიგიის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით

რომელი მათგანი შეგესაბამებთ ყველაზე მეტად?		ასიმილაცია	სეპარაცია	ინტეგრაცია
არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია	საშუალო	2,01	3,79	3,12
	სტ. გადახრა	1,12	1,42	1,71
არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ სხვა რელიგიებშიც არის რაღაც ჭეშმარიტება	საშუალო	2,62	3,34	4,21
	სტ. გადახრა	1,17	1,21	1,66
არ არსებობს ერთი ჭეშმარიტი რელიგია, მაგრამ მსოფლიოს ყველა დიდი რელიგია შეიცავს ძირითად ჭეშმარიტებას	საშუალო	2,10	3,75	3,77
	სტ. გადახრა	0,98	1,28	1,56
არც ერთი დიდი რელიგია არ გვთავაზობს ჭეშმარიტებას	საშუალო	2,69	3,32	3,25
	სტ. გადახრა	1,48	1,21	1,46

ეს ტენდენცია ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტების შემთხვევაში, არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად, არც ერთ სტრატეგიასთან მიმართებაში ($p>0.05$); ხოლო ეთნიკურად სომხების შემთხვევაში - სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ფიქსირდება ოთხივე სტრატეგიაზე (ინტეგრაცია ($F(2)=14,044$; $\eta^2=0.072$; $P=0.000$); ასიმილაცია ($F(2)=27,082$; $\eta^2=0.207$; $P=0.000$); სეპარაცია ($F(2)=11,279$; $\eta^2=0.098$; $P=0.000$); მარგინალიზაცია ($F(2)=8,022$; $\eta^2=0.072$; $P=0.000$)).

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რელიგია არის მნიშვნელოვანი, თუმცა ისინი ნაკლებად

ასრულებენ რელიგიურ რიტუალებს და ნაკლებად დადიან სალოცავად. რელიგია აღმოჩნდა ინტეგრაციისა და ასიმილაციის მნიშვნელოვანი პრედიქტორი. რელიგიურობა ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, იყვნენ უფრო ინტეგრირებულნი ქართულ გარემოში, რაც ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზას, რომ მაღალი რელიგიურობის მაჩვენებელი უარყოფით კორელაციაში იქნებოდა ინტეგრაციასთან. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ რელიგიურობის მაღალი ხარისხი დაკავშირებულია უფრო მეტ სოციალურ აქტივობასთან ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, რადგან რელიგიური რიტუალების შესრულება მოითხოვს სალოცავად სიარულს, რაც შესაძლებელია ზრდიდეს ეთნიკური უმცირესობების მხრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის აღქმას და ხელს უწყობდეს ინტეგრაციაში.

5.3.4 ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში
ექსპერტულ კვლევაში დაფიქსირდა, რომ ეთნიკური უმცირესობები არ არიან ჩართულები საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ხელს უშლით მათ ინტეგრაციის გავლაში, რადგან ისინი თავს ვერ გრძნობენ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად. კვლევის ფარგლებში უნდა დაგვედგინა, თუ რა დამოკიდებულებები ქონდათ ეთნიკური უმცირესობების მიმართ ეთნიკურად ქართველებს და როგორ აღიქვამდნენ მათი საქართველოში ცხოვრების გამოცდილებას. ამ მიზნით ჩვენ მიერ შემუშავდა რამდენიმე დებულება, რომელიც ეთნიკურად ქართველებს უნდა შეეფასებინათ ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე.

გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ ეთნიკურად ქართველების აზრით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა ამ მოსაზრებას ნაკლებად იზიარებენ სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრები რესპონდენტები, სხვა რეგიონებში მცხოვრებ კვლევაში მონაწილეთა შედარებით ($F(10)=8.295$; $p=0.000$; $\eta^2=0.065$). ეს სხვაობა შესაძლებელია განპირობებული იყოს ზუსტად კონტაქტის ნაკლებობით, სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრები რესპონდენტები უფრო მეტად აღიქვამენ იმას, რომ ეთნიკური უმცირესობები არ არიან ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართველების შეფასებით, საქართველოში ეთნიკურად ქართველები და ეთნიკური უმცირესობები თანასწორები არიან და აღნიშნულ აზრს ყველაზე მეტად იზიარებენ

სამცხე-ჯავახეთის მაცხოვრებლები ($F(10)=11,685$; $p=0.000$; $\eta^2=0.089$). ანალოგიურად, კონტაქტი განაპირობებს, ეთნიკური უმცირესობების თანასწორობის აღქმას.

ქართველები ეთანხმებიან დებულებას, რომ ყველასთვის უკეთესია, როდესაც ყველა თავისი ეთნოსის ქვეყანაში ცხოვრობს, რაც ხსნის დარგობრივი ექსპერტების მიერ დასახელებულ ფაქტს, რომ ქართველები ხშირად ავლენენ უარყოფით დამოკიდებულებებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ და მიმართავენ ისეთი შემახილებით, როგორცაა „წადი, საიდანაც მოხვედი“. აღნიშნულ აზრს ყველაზე მეტად იზიარებენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მაცხოვრებლები სხვა რეგიონებისგან განსხვავებით ($F(10)=6,7$; $p=0.000$; $\eta^2=0.053$) და ასევე, უფროსი თაობის წარმომადგენლები ახალგაზრდებთან შედარებით ($F(5)=2,355$; $p=0.038$; $\eta^2=0.01$). ეს მონაცემები მიუთითებს ქართველების მხრიდან ნაკლებ მიმდებლობაზე და ადასტურებს დარგობრივი ექსპერტების მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ეთნიკურად ქართველებს არ უნდათ, რომ ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობდნენ საქართველოში და ურჩევნიათ ისინი თავიანთი წარმომავლობის ქვეყანაში დაბრუნდნენ.

ქართველი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში შესაბამისი განათლების შემთხვევაში, მიუხედავად ეთნოსისა და რელიგიისა, სამსახურის დაწყების შესაძლებლობა ყველასათვის თანასწორია. ეს შეხედულებაც ეწინააღმდეგება თემის დარგობრივი ექსპერტების მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ქართველი სამსახურში ისევ ქართველს აიყვანს“. შესაძლებელია, რომ ამ დებულების შეფასების დროს სოციალური სასურველობის ფენომენმაც იჩინა თავი.

ბერისა (Berry, 2005) და ბოურისის (Bourhis et. al., 1997) მიხედვით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აკულტურაციის პროცესში არის ის, **თუ რამდენად აქვთ უმცირესობების წარმომადგენლებს ინსტიტუტებზე კონტროლი და ასევე, რამდენად აძლევს დომინანტი ჯგუფი შესაძლებლობას, რომ ამ ინსტიტუტებზე ქონდეს კონტროლი.** ასიმილაციას ახასიათებს ინსტიტუტებზე კონტროლი და მისი შესაბამისი სტრატეგია უმრავლესობის მხრიდან არის ასიმილაციური, რომელიც ხასიათდება კომერციულ და სამართლებრივ სფეროებში მშობლიური კულტურის სრული გაქრობით, შესაბამისად, ინსტიტუტებზე კონტროლითაც. სეპარაციის შემთხვევაში არ ხდება ინსტიტუტების კონტროლი და დამხვედრ კულტურას აქვს ეთნისტური

(Ethnic) დამოკიდებულებები, რაც გულისხმობს იმას, რომ დამხვედრ კულტურას შეუძლია უმცირესობათა კულტურას მოთხოვოს კულტურის უგულებელყოფა, მაგრამ არ მისცემს ინსტიტუტებზე კონტროლის საშუალებას. ინტეგრაცია ხასიათდება ინსტიტუტების კონტროლით და მისი შესაბამისი სტრატეგია უმრავლების მხრიდან, არის პლურალიზმში, რაც გულისხმობს უმცირესობის მიღებას და ინსტიტუტებზე კონტროლის საშუალების მიცემას. ხოლო რაც შეეხება მარგინალიზაციას, მას არ ახასიათებს ინსტიტუტების კონტროლი. მისი შესაბამისი სტრატეგია უმრავლესობის მხრიდან, არის სამოქალაქო იდეოლოგია, რომელიც გულისხმობს, რომ სახელმწიფო უნდა იყოს კულტურულად ბრმა და არ მისცეს უმცირესობებს ინსტიტუტებზე კონტროლის საშუალება (Bourhis et. al., 1997).

იმისთვის, რომ დაგვედგინა, თუ რამდენად იყვნენ ეთნიკურად ქართველები მზად, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის მიეცათ ინსტიტუტების კონტროლის საშუალება, ჩვენ მათ ვკითხეთ თუ რამდენად იყვნენ ისინი მზად, რომ საქართველოს პრეზიდენტი ან პრემიერი ყოფილიყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. რესპონდენტებს აღნიშნული დებულება უნდა შეეფასებინათ ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ *ქართველები არ არიან მზად აღიარონ ეთნიკური უმცირესობები, როგორც მათი ქვეყნის პირველი პირი და წარმომადგენელი*. უარყოფითი შეფასებების მიუხედავად, *შედარებით დადებით დამოკიდებულებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აფიქსირებენ ახალგაზრდები (18-24) (M=2,31; SD=1,363) (F(5)=2,503; p=0.029; η²=0.01)*, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდები უფრო მეტი მიმდებლობით ხასიათდებიან.

ამ შედეგის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ *ეთნიკურად ქართველები არ გამოხატავენ პლურალისტურ ან ასიმილაციონისტურ დამოკიდებულებებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რადგან არ არიან თანახმა მათ ინსტიტუტებზე მისცენ კონტროლის საშუალება*.

ცხრილი 25 - ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების შეფასება ეთნიკურად ქართველების მიერ

	საშუალო	სტ. გადახრა
ეთნიკური უმცირესობები საქართველოში აქტიურად არიან ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში	3,5	1,103
საქართველოში ეთნიკურად ქართველები და ეთნიკური უმცირესობები თანასწორები არიან	3,46	1,219
ყველასთვის უკეთესია, როდესაც ყველა თავისი ეთნოსის ქვეყანაში ცხოვრობს	3,74	1,22
საქართველოში ყველა რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი თანასწორია	3,47	1,27
საქართველოში ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი თანასწორია	3,54	1,212
საქართველოში, შესაბამისი განათლების არსებობის შემთხვევაში, სამსახურის დაწყების შესაძლება ყველასთვის თანასწორია (მიუხედავად სქესისა და ეთნოსისა)	3,38	1,26
მე თანახმა ვიქნებოდი, რომ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი/პრემიერ-მინისტრი იყოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი	2,07	1,285

შედეგების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოურისის (Bourhis et. Al., 1997) ტიპოლოგიებიდან, ეთნიკურად ქართველები უფრო მეტად გამოხატავენ ეთნისტურ ან სამოქალაქო იდეოლოგიას, რაც გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების ნაკლებ მიმდებლობას, კონტროლის ნაკლები შესაძლებლობის მიცემას, თუმცა აღნიშნული დასკვნის გასაკეთებლად, სამომავლოდ, უნდა შეიქმნას უმრავლესობის ჯგუფის აკულტურაციის სტრატეგიების გაზომვის სკალა, რომელიც უფრო სრულყოფილი შეფასების საშუალებას მოგვცემს.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზოგადად, ეთნიკურად ქართველები უარყოფით დამოკიდებულებებს გამოხატავენ ეთნიკური უმცირესობების მიმართ, განსაკუთრებით კი ეთნიკურად სომხების მიმართ, თუმცა ამ შეფასების კონტექსტში გამოსაყოფია რელიგიისა და კონტაქტის როლიც. როგორც ექსპერტული ინტერვიუებიდან იკვეთება, კონტაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში, რასაც ასევე ადასტურებს სხვადასხვა კვლევაც (Esman, 2009, Hofhus et. Al., 2019, Van Dick and Stegmann, 2016, Hagendoorn et.

Al., 2003; Chiswick & Miller, 2001), რადგან კონტაქტის საშუალებით იზრდება ორივე კულტურის მხრიდან მიმღებლობა და ამას ადასტურებს ისიც, რომ იმ რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი), სადაც ეთნიკური უმცირესობები არიან უფრო კომპაქტურად დასახლებულები, უფრო დიდია ეთნიკურ უმცირესობებთან კონტაქტის სურვილი. ქრისტიან ქართველებში რელიგიურობა აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი და უმეტესობისთვის ქართველობა ზუსტად მართლმადიდებლობასთან ასოცირდება და ოჯახის შექმნისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად განისაზღვრა რელიგია.

კვლევის მიხედვით, ეთნიკურად აზერბაიჯანელების მიმართ უფრო დადებითი დამოკიდებულება ფიქსირდება, ვიდრე ეთნიკურად სომხების მიმართ, მიუხედავად ამისა ინტეგრაციის ხარისხი ეთნიკურად სომხებში უფრო მაღალია, ვიდრე ეთნიკურად აზერბაიჯანელებში, რაც შესაძლებელია განპირობებული იყოს აკულტურაციის სტრატეგიის არჩევანისა და სხვადასხვა მესამე ცვლადის კავშირებით, მაგალითად როგორცაა კონკრეტული რელიგიის მატარებლობა და ოჯახის შემქნაზე მზაობა, როგორც დომინანტი ჯგუფის მხრიდან, ასევე უმცირესობათა ჯგუფის მხრიდანაც.

5.4. ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიებისა და სხვადასხვა ფაქტორების კორელაციური და რეგრესიული ანალიზი

თემის დარგობრივ ექსპერტებთან ანალიზისა და ასევე ლიტერატურული მიმოხილვის საფუძველზე იკვეთება სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლებელია გავლენას ახდენდეს ეთნიკური უმცირესობების მიერ აკულტურაციის სხვადასხვა სტრატეგიის არჩევაზე.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში მოხდა სხვადასხვა ფაქტორებისა და აკულტურაციის სტრატეგიების კორელაციური ანალიზი, რის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი კორელაციური კავშირები:

ცხრილი 26 - კორელაციური ანალიზი

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	13	14
1. ასიმილაცია	r	1												
	p													
2. სეპარაცია	r	-.452 ^{**}	1											
	p	0,000												
3. ინტეგრაცია	r	.599 ^{**}	-.608 ^{**}	1										
	p	0,000	0,000											
4. მარგინალიზაცია	r	0,052	.272 ^{**}	-.202 ^{**}	1									
	p	0,269	0,000	0,000										
5. ასაკი	r	-.375 ^{**}	.439 ^{**}	-.274 ^{**}	0,080	1								
	p	0,000	0,000	0,000	0,091									
6. განათლება	r	.308 ^{**}	-.361 ^{**}	.446 ^{**}	-.178 ^{**}	-.273 ^{**}	1							
	p	0,000	0,000	0,000	0,000	0,000								
7. ენის ცოდნა	r	.522 ^{**}	-.506 ^{**}	.667 ^{**}	-.133 ^{**}	-.298 ^{**}	.365 ^{**}	1						
	p	0,000	0,000	0,000	0,005	0,000	0,000							
8. რელიგიურობა	r	-0,025	0,025	.123 ^{**}	-.215 ^{**}	0,038	-0,050	.123 ^{**}	1					
	p	0,594	0,603	0,009	0,000	0,425	0,286	0,009						
9. სალოცავად სიარული	r	0,018	-.111 [*]	.242 ^{**}	-.301 ^{**}	0,079	-0,062	.219 ^{**}	.728 ^{**}	1				
	p	0,696	0,019	0,000	0,000	0,095	0,187	0,000	0,000					
10. მართობა	r	.269 ^{**}	-0,034	-.132 ^{**}	.621 ^{**}	-.125 ^{**}	-0,070	0,025	-.238 ^{**}	-.322 ^{**}	1			
	p	0,000	0,474	0,005	0,000	0,008	0,136	0,593	0,000	0,000				
11. ოპტიმიზმი	r	-0,052	.187 ^{**}	0,034	-.433 ^{**}	.196 ^{**}	0,035	0,004	.277 ^{**}	.274 ^{**}	-.530 ^{**}	1		
	p	0,268	0,000	0,477	0,000	0,000	0,464	0,927	0,000	0,000	0,000			
12. ლოკუსი	r	-.249 ^{**}	.223 ^{**}	-.337 ^{**}	.376 ^{**}	0,089	-.174 ^{**}	-.291 ^{**}	-.105 ^{**}	-.209 ^{**}	.231 ^{**}	-.210 ^{**}	1	
	p	0,000	0,000	0,000	0,000	0,058	0,000	0,000	0,026	0,000	0,000	0,000		
13. თვითშეფასება	r	0,031	-.104 [*]	.362 ^{**}	-.408 ^{**}	.110 [*]	.204 ^{**}	.223 ^{**}	.110 [*]	0,089	-.443 ^{**}	.465 ^{**}	-.162 ^{**}	1
	p	0,506	0,028	0,000	0,000	0,020	0,000	0,000	0,019	0,060	0,000	0,000	0,001	

ასიმილაციის მაჩვენებელს უფრო მეტად მიმართავენ მაღალი განათლების დონის მქონე ინდივიდები, ეთნიკური უმცირესობები რომლებმაც იციან ქართული ენა და აქვს მარტოობის შეგრძნება. უფრო ნაკლებად ირჩევენ გარეგანი კონტროლის მქონე, უფროსი ასაკის რესპოდენტები. შესაბამისად, ასიმილირებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს აქვს მაღალი განათლების დონე, კარგად იცის ქართული ენა, განიცდის მარტოობას, არის ახალგაზრდა და აქვს შინაგანი კონტროლის ლოკუსი.

სეპარაციის სტრატეგიას ირჩევენ დიდი ასაკის რესპოდენტები და გარეგანი ლოკუსის მქონე ინდივიდები. სეპარაციის სტრატეგიას ნაკლებად ირჩევენ განათლების დონის საფეხურის, ქართული ენის კარგად ცოდნის, მაღალი თვითშეფასების ადამიანები, რომლებიც ხშირად დადიან სალოცავად. შესაბამისად, ის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც ირჩევს სეპარაციის სტრატეგიას, არის დიდი ასაკის, გარეგანი კონტროლის ლოკუსის მქონე, დაბალი განათლების დონის, ნაკლებად იცის ქართული ენა, იშვიათად დადის სალოცავად და აქვს დაბალი თვითშეფასება.

მარგინალიზაციის სტრატეგიას ირჩევენ ის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, რომლებიც განიცდიან მარტოობას, აქვთ გარეგანი კონტროლის ლოკუსი, დაბალი განათლების დონე, არასრულყოფილად იციან ქართული ენა, ნაკლებად რელიგიურია, ნაკლებად დადიან სალოცავად, არ აქვთ ოპტიმიზმის შეგრძნება და აქვთ დაბალი თვითშეფასება.

რაც შეეხება ინტეგრაციას, მისი არჩევანი იზრდება განათლების, ენის ცოდნის, რელიგიურობის, სალოცავად სიარულისა და თვითშეფასების ზრდასთან ერთად და მცირდება მარტოობის შეგრძნებისა და ლოკუსის ზრდასთან ერთად, ასევე უარყოფითი კორელაციაა ასაკთან მიმართებაში - დიდი ასაკის ადამიანები ნაკლებად მიმართავენ ინტეგრაციის სტრატეგიას. ინტეგრირებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი არის მაღალი განათლების დონის, იცის ქართული ენა, არის რელიგიური, ხშირად დადის სალოცავად, აქვს მაღალი თვითშეფასება, არის ახალგაზრდა, არ აქვს მარტოობის შეგრძნება და აქვს შინაგანი კონტროლის ლოკუსი.

აღნიშნული ცვლადების კავშირები და ზეგავლენები განხილულია შემდეგ თავებში.

5.4.1. აკულტურაციის სტრატეგიების არჩევა სხვადასხვა ასაკისა და განათლების მქონე ეთნიკურად სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის

ბერის (Berry, 2001) მიხედვით, ასაკი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს აკულტურაციის წარმატებულობაზე. მიჩნეულია, რომ ახალგაზრდები, ინტელექტუალური, განათლებული ადამიანები უფრო სწრაფად მოერგებიან მასპინძელ კულტურას. ამ მოსაზრებას ამყარებს, ასევე ტრანის (Tran, 1989) კვლევა, 75 ვიეტნამელი ამერიკელი ქალი კოლეჯის სტუდენტთან და ფარაგალას, შუმმისა და ვებბის (Faragallah at all, 1997) კვლევა არაბ ამერიკელებზე.

ამ ტენდენციაზე საუბრობენ თემის დარგობრივი ექსპერტებიც, რომელთა აზრით, საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდები უფრო მეტად ინტეგრირებულნი არიან ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები.

„ახალგაზრდები იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობაში, ჩამოდიან. ვინც სწავლობს თბილისში უფრო ახლოს, გახსნილები და აქტიურები არიან. ეს ალბათ კანონიც არის, ახალგაზრდები უფრო მოქნილები არიან, უფრო აქტიურები არიან“
(დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ქალი)

ორივე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების შემთხვევაში, ასაკსა და აკულტურაციის სამ სტრატეგიას (ასამილაცია, ინტეგრაცია, სეპარაცია) შორის ფიქსირდება მნიშვნელოვანი კორელაცია, მარგინალიზაციის სტრატეგიის გარდა.

ასაკსა და ასიმილაციის ($r=-0.375$; $p=0.000$) და ინტეგრაციის ($r=0.274$; $p=0.000$) სტრატეგიებს შორის ფიქსირდება უარყოფითი კორელაცია, დიდი ასაკის რესპონდენტები ნაკლებად მიმართავენ ასიმილაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიებს. ხოლო ასაკსა და სეპარაციის სტრატეგიას შორის დადებითი კორელაციური კავშირია ($r=0.439$; $p=0.000$). უფროსი ასაკის წარმომადგენლები უფრო მეტად ირჩევენ სეპარაციის სტრატეგიას.

აკულტურაციის მაჩვენებლების ასაკობრივ ჭრილში დათვლამ, სომხებისა და აზერბაიჯანელებისთვის არ აჩვენა ტენდენციებში სხვაობა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად სომხების შემთხვევაში ფიქსირდება ასაკსა და მარგინალიზაციას შორის

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ($r=0.527$; $p=0.000$). უფროსი ასაკის წარმომადგენლები უფრო მეტად მიმართავენ მარგინალიზაციის სტრატეგიას. ეთნიკურად აზერბაიჯანელების შემთხვევაში, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი მხოლოდ სეპარაციასთან მიმართებაში იკვეთება ($r=0.174$; $p=0.007$). რაც უფრო დიდია აზერბაიჯანელების ასაკი, მით მეტად ხდება სეპარაციის სტრატეგიის არჩევა.

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიების არჩევანის შედარებისას ჩანს, რომ 19-30 წლის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, ძირითადად, ინტეგრაციისა ($F(4)=20.251$; $p=0.000$; $\eta^2=0.153$) და ასიმილაციის ($F(4)=24.312$; $p=0.000$; $\eta^2=0.179$) სტრატეგიას მიმართავენ. ასევე, 31-44 წლის უმცირესობებიც მიმართავენ ინტეგრაციას ხშირად, ხოლო ყველაზე ნაკლებად 45 წელს ზემოთ მყოფები.

19-30 წლის რესპონდენტების მიერ ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის მაღალი მაჩვენებელი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს იმ ფაქტორთან, რომ ეს არის ის ასაკი, როდესაც ახალგაზრდები იწყებენ სტუდენტურ ცხოვრებას, ან მუშობას იქ, სადაც შესაძლებელია ქართული გარემო იყოს. სტუდენტური ცხოვრების დროს, ეთნიკურად ქართველებთან ხშირი კომუნიკაციის შედეგად, ინტეგრაციის მაჩვენებელი იმატებს.

რაც შეეხება სეპარაციას ($F(4)=28,499$; $p=0.000$; $\eta^2=0.203$) და მარგინალიზაციის ($F(4)=11,732$; $p=0.000$; $\eta^2=0.095$) სტრატეგიას, მას ირჩევენ ყველაზე პატარა ასაკის რესპონდენტები, რომელთაც ჯერ სკოლა არ დაუმთავრებიათ და ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლები ირჩევენ.

ცხრილი 27 - აკულტურაციის სტრატეგიები ასაკობრივ ჯგუფში

ასაკობრივი ჯგუფები		ასიმილაცია	სეპარაცია	ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
13-18	საშუალო	2,51	3,48	2,95	3,12
	სტ. გადახრა	1,21	0,94	1,16	0,79
19-30	საშუალო	2,77	3,07	4,37	2,47
	სტ. გადახრა	1,13	0,90	1,41	0,83
31-44	საშუალო	2,33	3,43	4,01	2,15
	სტ. გადახრა	0,90	1,30	1,86	0,96
45-59	საშუალო	1,59	4,26	2,99	2,52
	სტ. გადახრა	1,03	1,45	1,66	0,93
60+	საშუალო	1,58	4,80	2,73	2,95
	სტ. გადახრა	0,90	1,38	1,57	0,91

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც ბერი (Berry, 2001) ვარაუდობს, რომ გავლენას ახდენს ინდივიდის წარმატებულ აკულტურაციაზე, არის მათი განათლების დონე, რომელსაც ადასტურებს ალბანელ ემიგრანტებთან (Dow & Woolley, 2010) და ბოსნიელ ლტოლვილებთან (Colic-Peisker & Walker, 2003) ჩატარებული კვლევებიც. ჯგუფების წევრები, რომლებიც უფრო განათლებული იყვნენ, უფრო მეტად გამოიყენებდნენ ინტეგრაციულ სტრატეგიებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების ადაპტაციისთვის, ხოლო ნაკლებად განათლებულები - სეპარაციას.

ჩვენს კვლევაში სტუდენტების მხრიდან ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის უპირატესობაზე მიუთითებს, ასევე მონაცემთა ჯგუფთაშორისი შედარება განათლების დონის მიხედვით. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება აკულტურაციის ოთხივე მაჩვენებელთან მიმართებაში (ინტეგრაცია ($F(6)=21,551$; $p=0.000$; $\eta^2=0.225$), სეპარაცია ($F(6)=22,895$; $p=0.000$; $\eta^2=0.236$), ასიმილაცია ($F(6)=10,164$; $p=0.000$; $\eta^2=0.121$), მარგინალიზაცია ($F(6)=5,198$; $p=0.000$; $\eta^2=0.081$)). მონაცემები იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ განათლების მაღალი დონე დაკავშირებულია უმცირესობათა მხრიდან უფრო წარმატებული სტრატეგიის - ინტეგრაციის არჩევანთან.

მონაცემების ტუკი-კრამერის კრიტერიუმის შედარების შედეგად დგინდება, რომ ასიმილაციასთან მიმართებაში, უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები მეტად მიმართავენ ამ სტრატეგიას, ვიდრე არასრული საშუალო განათლების ($p=0.002$); ასევე

ტექნიკური განათლების ($p=0.035$) მქონე და სტუდენტები ($p=0.000$) უფრო მიმართავენ ასიმილაციას, ვიდრე საშუალო განათლების.

ასიმილაციის სტრატეგიას ყველაზე მეტად მიმართავს უმაღლესი განათლების მქონე უმცირესობები, არასრული საშუალო ($p=0.00$), საშუალო ($p=0.000$) და ტექნიკური განათლების ($p=0.000$) მქონე რესპონდენტებთან შედარებით. რაც ეხმიანება აკულტურაციის მკვლევრების მიერ მიღებულ შედეგებს (Berry, 2001; Dow & Woolley, 2010; Colic-Peisker & Walker, 2003) ქართულ პოპულაციაშიც.

ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის მიმართულებით, სტუდენტები და უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტები უფრო მეტად ირჩევენ ინტეგრაციის სტრატეგიას, ვიდრე არასრული საშუალო ($p=0.000$; $p=0.000$), საშუალო ($p=0.000$; $p=0.000$) ან ტექნიკური განათლების ($p=0.023$; $p=0.000$) მქონე რესპონდენტები; ხოლო სეპარაციასთან დაკავშირებით კი, ჩვენი კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები საპირისპიროა, უმაღლესი განათლების მქონე და სტუდენტები იშვიათად ირჩევენ ამ სტრატეგიას. ასევე მარგინალიზაციასთან მიმართებაშიც, სტუდენტები ყველაზე იშვიათად მიმართავენ ამ სტრატეგიას, არასრული საშუალო ($p=0.017$), საშუალო ($p=0.000$), ტექნიკური განათლების ($p=0.041$) მქონე უმცირესობებთან შედარებით.

მონაცემები გვაძლევს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ რაც უფრო მაღალია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის განათლების დონე, მით უფრო მეტად ანიჭებს ის უპირატესობას ინტეგრაციის და ასიმილაციის სტრატეგიებს და ნაკლებად სეპარაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიას. როგორც ეს მკვლევართა ნაშრომებშია (Berry, 2001; Dow & Woolley, 2010; Colic-Peisker & Walker, 2003).

ეს ტენდენცია ფიქსირდება, როგორც ეთნიკურ აზერბაიჯანელებში, ასევე ეთნიკურ სომხებშიც.

ცხრილი 28 - აკულტურაციის სტრატეგიები განათლების მიხედვით

განათლება		ასიმილაცია	სეპარაცია	ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
დაწყებითი	საშუალო	2,57	3,02	2,87	2,74
	სტ.გადახრა	0,96	0,73	0,67	0,37
არასრული საშუალო	საშუალო	1,88	4,41	2,54	2,81
	სტ.გადახრა	1,21	1,34	1,42	0,57
საშუალო	საშუალო	1,98	4,16	3,02	2,73
	სტ.გადახრა	1,17	1,39	1,67	0,96
ტექნიკური	საშუალო	2,04	3,71	3,57	2,52
	სტ.გადახრა	0,90	0,98	1,33	1,03
სტუდენტი	საშუალო	2,45	2,62	4,43	2,04
	სტ.გადახრა	1,13	0,87	1,52	0,71
უმაღლესი	საშუალო	2,93	3,03	4,83	2,36
	სტ.გადახრა	0,94	0,91	1,35	0,88
მაგისტრატურა	საშუალო	2,61	4,01	3,90	2,96
	სტ.გადახრა	1,44	0,98	1,01	0,73

ახალგაზრდა ადამიანების მიერ ინტეგრაციის სტრატეგიაზე უპირატესობის მინიჭება შესაძლებელია სხვადასხვა ფაქტორით იქნას ახსნილი. მაგალითად, ახალგაზრდები შესაძლებელია უკეთ ხედავენ იმ პერსპექტივებსა და სარგებელს, რომელიც შესაძლებელია მოუტანოს დომინანტ კულტურაში ინტეგრაციამ. როგორც დარგობრივი ექსპერტები აღნიშნავენ, „1+4“ პროგრამამ ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, რომ დარჩენ საქართველოში სასწავლებლად და არ წავიდნენ სხვა ქვეყანაში, რაც თავის მხრივ, ზრდის მათ მოტივაციას, რომ აირჩიონ ინტეგრაციის სტრატეგია, რათა სამომავლოდ ჰქონდეთ დასაქმების შესაძლებლობა. ასევე, ახალგაზრდებმა უკეთ იციან ქართული ენა, რაც წარმოადგენს მათთვის კომუნიკაციის საშუალებას ეთნიკურად ქართველებთან და იზრდება კონტაქტის შემთხვევები. განათლებასთან მიმართებაში კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაღალი განათლების დონე ხელს უწყობს დასაქმების ალბათობის ზრდას, რაც მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობისთვის. უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც იღებს განათლებას, სურს დასაქმება და ხედავს პერსპექტივას იმ შემთხვევაში, თუ ის ირჩევს ინტეგრაციის სტრატეგიას. ასევე, განათლება ხშირად დაკავშირებული არის ხოლმე მაღალ

სოციალურ სტატუსთან, რაც ამცირებს დომინანტი კულტურის მხრიდან დისკრიმინაციული ქცევებისა და შემახილების ალბათობას და უფრო დადებით დამოკიდებულებებს იწვევს, რაც ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომ აირჩიოს ინტეგრაციის სტრატეგია და თავი აარიდოს სეპარაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიას.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასაკი და განათლება აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს აკულტურაციის სტრატეგიის არჩევაზე. ახალგაზრდა და განათლებული ადამიანები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი აირჩიონ ინტეგრაციის სტრატეგია, ვიდრე შედარებით დაბალი განათლების მქონე ინდივიდები.

5.4.2. ქართული ენის ცოდნა , როგორც აკულტურაციის სტრატეგიაზე გავლენის მქონე ცვლადი

სხვადასხვა ეთნოსს შორის კომუნიკაციის პროცესში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი არის ენა, ის არის კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ბიკლის (Bickley, 1982) მიხედვით, ენა არის ის ხიდი, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურას შორის შუამავლობას. კვლევები (Nwadiora and McAdoo, 1996; Ying & Liese, 1994) ადასტურებენ, რომ დომინანტი კულტურის ენის ცოდნა ხელს უწყობს უმცირესობათა ჯგუფებს აკულტურაციაში, მაგალითად, თვითშეფასებული ენობრივი უნარი მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული შეერთებულ შტატებში ტაივანელი სტუდენტების ადაპტაციასთან (Ying & Liese, 1994).

კვლევის მიხედვით, გამოკითხული ეთნიკური უმცირესობების აზრით, მათი 43.4% არ ფლობს ქართულ ენას, ხოლო 56.6% გარკვეულწილად, ან სრულყოფილად ფლობს ქართულ ენას⁶. ეთნიკურობის მიხედვით მონაცემთა საშუალოების შედარებამ არ გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ეთნიკურად სომხებსა (M=3.5; SD=1.171) და აზერბაიჯანელებს (M=3.33; SD=1.022) შორის.

ახალგაზრდების უფრო დიდმა ნაწილმა იცის ქართული ენა, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლებმა. ასაკობრივ ჭრილში მონაცემების განხილვისას შეგვიძლია

⁶ აღნიშნული მაჩვენებელი მოცემულია თავად რესპონდენტების თვითაღწერით მონაცემებზე დაყრდნობით

დავინახოთ, რომ 19-30 წლის რესპონდენტების დიდმა ნაწილმა იცის ქართული ენა, შემდეგ 13-18 წლის რესპონდენტებმა და 31-44 წლის რესპონდენტებმა. 45 წელს ზემოთ მყოფი რესპონდენტების შემთხვევაში, ქართული ენის ცოდნის პროცენტული მაჩვენებელი მცირდება, ხოლო 60 წელს ქვევით კი მკვეთრად იკლებს.

ცხრილი 29 - ქართული ენის ცოდნა ასაკის მიხედვით

	13-18	19-30	31-44	45-59	60+
არ ვიცი	51,3%	29,7%	42,0%	56,6%	71,1%
ვიცი	48,7%	70,3%	58,0%	43,4%	28,9%

ქართული ენის ცოდნის შეფასება მნიშვნელოვან კორელაციაში აღმოჩნდა აკულტურაციის ოთხივე სტრატეგიასთან - ასიმილაცია ($r=0.522$; $p=0.000$), სეპარაცია ($r=-0.506$; $p=0.000$), ინტეგრაცია ($r=0.667$; $p=0.000$) და მარგინალიზაცია ($r=-0.133$; $p=0.005$). როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს კვლევაშიც ენის ცოდნა დადებით კორელაციაშია ინტეგრაციისა და ასიმილაციის მაჩვენებლებთან და უარყოფით კორელაციაშია სეპარაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიებთან.

ჯგუფთაშორისი შედარება აჩვენებს, რომ ასიმილაციისა ($F=5.685$; $p=0.018$)($t(397.9)=-9.581$; $p=0.000$) და ინტეგრაციის ($F=9.104$; $p=0.003$)($t(381.3)=-15.991$; $p=0.000$) სტრატეგიებს უფრო მიმართავენ ის ეთნიკური უმცირესობები, რომლებმაც იციან ქართული ენა, ხოლო სეპარაციისა ($F=78.39$; $p=0.000$)($t(306.2)=9.224$; $p=0.000$) და მარგინალიზაციის ($F=0.236$; $p=0.628$)($t(450)=3.272$; $p=0.000$) სტრატეგიებს ისინი, ვინც არ იცის ქართული ენა.

ცხრილი 30 - აკულტურაციის სტრატეგიები ქართული ენის ცოდნის მიხედვით

		საშუალო	სტ. გადახრა
ასიმილაცია	არ ვიცი	1,76	1,107
	ვიცი	2,73	1,006
სეპარაცია	არ ვიცი	4,20	1,464
	ვიცი	3,10	0,907
ინტეგრაცია	არ ვიცი	2,57	1,460
	ვიცი	4,65	1,242
მარგინალიზაცია	არ ვიცი	2,67	0,918
	ვიცი	2,39	0,911

ეთნიკურად სომხების მონაცემების ცალკე განხილვისას ვხედავთ, რომ ენის ცოდნა კავშირშია აკულტურაციის ოთხივე სტრატეგიასთან, თუმცა ეთნიკურად აზერბაიჯანელი უმცირესობებისთვის ქართული ენის ცოდნა კავშირშია მხოლოდ ასიმილაციასა ($r=0.397$; $p=0.000$) და ინტეგრაციასთან ($r=0.441$; $p=0.000$), ხოლო მარგინალიზაციასა ($r=-0.029$; $p=0.653$) და სეპარაციასთან ($r=-0.087$; $p=0.177$) მიმართებაში არ ფიქსირდება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები.

ეთნიკურად სომხების შემთხვევაში, რაც უფრო კარგად იციან ქართული ენა, მით მეტად მიმართავენ ინტეგრაციისა და ასიმილაციის სტრატეგიებს და რაც უფრო ნაკლებად იციან ქართული ენა, მით მეტად მიმართავენ სეპარაციასა და მარგინალიზაციას. ხოლო, აზერბაიჯანელების შემთხვევაში ქართული ენის კარგად ცოდნა დაკავშირებულია ასიმილაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევის მაღალ ალბათობასთან და სეპარაციის სტრატეგიის არჩევის დაბალ ალბათობასთან. შესაბამისად, ენა უნდა იყოს განხილული, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანზე, რადგან ენა არის კომუნიკაციის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ეთნიკურ უმცირესობებს კონტაქტების დამყარებაში.

5.4.3. პიროვნული ფაქტორების კავშირი აკულტურაციის სტრატეგიებთან

კვლევის ფარგლებში უნდა დაგვედგინა, თუ რა კავშირი არსებობდა აკულტურაციის სტრატეგიების არჩევასა და სხვადასხვა პიროვნულ მახასიათებელს შორის. როგორც მეთოდოლოგიის განხილვისას ვახსენეთ, კვლევაში იყო გამოყენებული როტერის კონტროლის ლოკუსის სკალა (Rotter, 1966), როზემბერგის (Rosemberg, 1965) თვითშეფასების სკალა, მარტოობის საზომის სკალა (Russel, Peplau & Kutrona, 1980), ცხოვრების ორიენტაციის სკალის გადამუშავებული ვერსია (Scheier & Carver, 1985), ზოგადი ნდობის სკალა.

ეთნიკური უმცირესობების აკულტურაციის სტრატეგიების არჩევა კავშირშია სხვადასხვა პიროვნულ ფაქტორთან, კერძოდ მარტოობის მაჩვენებელთან, ცხოვრების ორიენტაციასთან, ნდობასთან, კონტროლი ლოკუსთან და თვითშეფასებასთან.

ასიმილაციის მაჩვენებელი დადებით კორელაციაშია მარტოობის მაჩვენებელთან ($r=0.269$; $p=0.000$) და უარყოფით კორელაციაშია კონტროლის ლოკუსთან ($r=-0.249$;

$p=0.000$), კერძოდ კი, უარყოფითი კორელაცია ფიქსირდება გარე ლოკუსთან ($r=0.352$; $p=0.000$). შესაბამისად მარტოობის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად, იზრდება ასიმილაციის არჩევის მაჩვენებელი და მცირდება გარე ლოკუსის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად. მონაცემების ანალიზმა ეთნოსების მიხედვით აჩვენა, რომ ეთნიკურად სომხების შეთხვევაში ასიმილაცია დადებით კორელაციაშია თვითშეფასებასთან ($r=0.406$; $p=0.000$), ისევე, როგორც აზერბაიჯანელებთან ($r=0.157$; $p=0.015$). ასიმილაციის მაჩვენებლის არჩევანი იზრდება თვითშეფასების ზრდასთან ერთად ორივე ეთნოსის წარმომადგენელთან. სეპარაციის მაჩვენებელი დადებით კავშირშია ოპტიმიზმთან ($r=0.187$; $p=0.000$), ნდობასთან ($r=0.246$; $p=0.000$) და კონტროლის ლოკუსთან ($r=0.223$; $p=0.000$) შიდა ლოკუსი - ($r=0.123$; $p=0.029$); გარე ლოკუსი ($r=0.197$; $p=0.000$)), ხოლო უარყოფით კორელაციაშია თვითშეფასების მაჩვენებელთან ($r=-0.104$; $p=0.028$). სეპარაციის მაჩვენებლის არჩევანი იზრდება იმ ეთნიკურ უმცირესობებთან, რომლებსაც აქვთ მაღალი ოპტიმიზმის, ნდობის და კონტროლის ლოკუსის მაჩვენებელი, საპირისპიროდ თვითშეფასების მაჩვენებლის ზრდასთან ერთად კი მცირდება.

ინტეგრაციის სტრატეგია დადებით კორელაციაშია თვითშეფასებასთან ($r=0.362$; $p=0.005$) და უარყოფით კავშირშია ნდობის ($r=-0,138$; $p=0.003$), კონტროლის ლოკუსისა ($r=-0.337$; $p=0.000$) შიდა ($r=-0.17$; $p=0.002$); გარე ($r=0.269$; $p=0.000$)) და მარტოობის მაჩვენებელთან ($r=-0,132$; $p=0.000$). ეთნიკურად სომხებისთვის, მარტოობა და ინტეგრაცია არ არის კავშირში, თუმცა დამატებით აღინიშნება ინტეგრაციასა და ოპტიმიზმს შორის კორელაცია ($r=0.161$; $p=0.02$). ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანი იზრდება მაღალი თვითშეფასების შემთხვევაში და მცირდება ნდობის, კონტროლის ლოკუსის და მარტოობის მაჩვენებლების ზრდასთან ერთად. მარგინალიზაციის მაჩვენებელი დადებით კავშირშია მარტოობასა ($r=0.621$; $p=0.000$) და კონტროლის ლოკუსთან ($r=0.376$; $p=0.000$), კერძოდ, დადებითი კორელაცია აღინიშნება შიდა კონტროლის ლოკუსთან ($r=0.329$; $p=0.000$) და უარყოფით კავშირშია ოპტიმიზმსა ($r=-0.433$; $p=0.000$) და თვითშეფასებასთან ($r=-0.408$; $p=0.000$). მარგინალიზაციის არჩევანი იზრდება მარტოობის შეგრძნებისა და გარე ლოკუსის მაჩვენებლის ზრდასთან ერთად და მცირდება ოპტიმიზმისა და თვითშეფასების მაჩვენებლის ზრდით.

ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანი უარყოფითად არის დაკავშირებული მარტოობასთან, რაც ნიშნავს, რომ რაც უფრო ინტეგრირებულია მიგრანტი კულტურასთან, მით ნაკლებია ალბათობა, რომ განვითარდეს მარტოობის მაღალი დონე; მაშინ, როცა პოზიტიური კავშირი იქნა აღმოჩენილი მარტოობასა და ასიმილაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიებს შორის (Neto et al., 2017). ჩვენს კვლევაში ჯგუფთაშორისი ანალიზი აჩვენებს, რომ მარტოობის მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ასიმილაციისა ($F=0.447$; $p=0.504$) ($t(450)=-7.23$; $p=0.000$) და მარგინალიზაციის ($F=3.365$; $p=0.067$) ($t(450)=-10.967$; $p=0.000$) სტრატეგიის არჩევის მაჩვენებელზე. მაღალი მარტოობის მაჩვენებლის მქონე ადამიანები უფრო ირჩევენ ასიმილაციისა და მარგინალიზაციის სტრატეგიას, ვიდრე დაბალი მარტოობის მაჩვენებლების მქონე ეთნიკური უმცირესობები, რაც ადასტურებს ნეტოსა და მისი კოლეგების (Neto et. Al, 2017) კვლევის შედეგებს.

ცხრილი 31 - ასიმილაცია და მარგინალიზაცია მარტოობის მაჩვენებლის მიხედვით

მარტოობა		ასიმილაცია	მარგინალიზაცია
დაბალი	საშუალო	1,8	2,0
	სტ. გადახრა	1,1	0,7
მაღალი	საშუალო	2,6	2,8
	სტ. გადახრა	1,1	0,9

ცხოვრების ორიენტაციის მიმართულება სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სეპარაციის ($F=68,893$; $p=0.000$) ($t(231,3)=-2,035$; $p=0.043$), ინტეგრაციისა ($F=79,8$; $p=0.000$) ($t(232,5)=-2,679$; $p=0.008$) და მარგინალიზაციის ($F=2,533$; $p=0.112$) ($t(450)=11,227$; $p=0.000$) სტრატეგიის არჩევის მაჩვენებლებზე. ოპტიმიზმის მაჩვენებლის მქონე რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ სეპარაციისა და ინტეგრაციის მაჩვენებლებს, ხოლო ცხოვრების ორიენტაციის პესიმიზმის რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ მარგინალიზაციის სტრატეგიას.

ცხოვრების ორიენტაცია		სეპარაცია	ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
პესიმიზმი	საშუალო	3,47	3,58	2,83
	სტ. გადახრა	1,060	1,379	0,866
ოპტიმიზმი	საშუალო	3,77	4,07	1,93
	სტ. გადახრა	1,639	2,117	0,719

როგორც ზევით აღინიშნა, კვლევების (Roncancio et. Al., 2012; Knight et. Al., 1978; Yao, 1983; Prigooff, 1984; Negg & Woods, 1992) თანახმად, კონტროლის ლოკუსი და თვითშეფასების მაჩვენებელი კავშირშია ინტეგრაციასა და აკულტურაციასთან. მაგალითად, მაღალი შინაგანი კონტროლის ლოკუსის მქონე ლათინო ამერიკელები, უფრო აკულტურირებულნი იყვნენ, ვიდრე გარეგანი ლოკუსის მქონე (Roncancio, et. Al., 2012). მექსიკელ ამერიკელებში აკულტურაციისა და კონტროლის ლოკუსის და თვითშეფასების მაჩვენებლებს შორის კორელაცია დადასტურდა (Knight et. Al., 1978).

კონტროლის ლოკუსსა და აკულტურაციის სტრატეგიებს შორის კავშირი ჩვენს კვლევაშიც დადასტურდა. კონტროლის ლოკუსი გავლენას ახდენს აკულტურაციის ოთხივე სტრატეგიაზე - ასიმილაცია ($F=0,241$; $p=0.642$) ($t(450)=4,493$; $p=0.000$), სეპარაცია ($F=1,59$; $p=0.208$) ($t(450)=-3,677$; $p=0.000$), ინტეგრაცია ($F=4,26$; $p=0.04$) ($t(289,6)=6,817$; $p=0.000$) და მარგინალიზაცია ($F=0,175$; $p=0.676$) ($t(450)=-6,562$; $p=0.000$). ასიმილაციისა და ინტეგრაციის სტრატეგიას უპირატესობას ანიჭებენ შინაგანი ლოკუსის მქონე რესპონდენტები, გარეგან ლოკუსთან შედარებით; ხოლო გარეგანი ლოკუსის მქონე რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ სეპარაციის და მარგინალიზაციის სტრატეგიებს.

კონტროლის ლოკუსი		ასიმილაცია	სეპარაცია	ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
შინაგანი ლოკუსი	საშუალო	2,5	3,4	4,1	2,3
	სტ. გადახრა	1,1	1,2	1,7	0,9
გარეგანი ლოკუსი	საშუალო	1,9	3,9	3,0	2,9
	სტ. გადახრა	1,1	1,4	1,5	0,9

რაც შეეხება თვითშეფასებას, მათი მაჩვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვან სხვაობაშია ინტეგრაციისა ($F=9,442$; $p=0.002$) ($t(30,9)=-3,116$; $p=0.004$) და მარგინალიზაციის ($F=1,28$; $p=0.258$) ($t(450)=4,59$; $p=0.000$) სტრატეგიის არჩევის მაჩვენებელთან.

მაღალი თვითშეფასების მაჩვენებლის მქონე ინდივიდები უფრო ინტეგრირებულნი არიან, ვიდრე დაბალი თვითშეფასების და პირიქით, მარგინალიზაციის მაჩვენებელს დაბალი თვითშეფასების მაჩვენებლის მქონე რესპონდენტები უფრო ირჩევენ, ვიდრე მაღალი თვითშეფასების.

ცხრილი 34 - ინტეგრაცია და მარგინალიზაცია თვითშეფასების მიხედვით

თვითშეფასება		ინტეგრაცია	მარგინალიზაცია
დაბალი თვითშეფასება	საშუალო	3,0	3,3
	სტ. გადახრა	1,1	1,0
მაღალი თვითშეფასება	საშუალო	3,8	2,5
	სტ. გადახრა	1,7	0,9

მონაცემების კორელაციური და ჯგუფთაშორისი ანალიზის შედეგად საინტერესო გახდა გვენახა, თუ რა როლი ჰქონდა აკულტურაციის თითოეული სტრატეგიის არჩევასთან მიმართებაში ამ ფაქტორებს, მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზის შედეგად.

მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ინტეგრაციის სხვადასხვა პრედიქტორ ფაქტორებზე ($R^2=.656$, $F(11)=76.235$, $p<0.01$), როგორცაა ასაკი ($\beta=-0.133$, $p<0.01$), განათლება ($\beta=0.177$, $p<0.01$), სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=0.385$, $p<0.01$), რუსული ენის ცოდნა ($\beta=0.09$, $p<0.01$), ეთნიკური ჯგუფების თანასწორობის აღქმა ($\beta=0.147$, $p<0.01$), სამსახურის დაწყების შესაძლებლობის თანასწორობის აღქმა ($\beta=-0.13$, $p<0.01$), რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობა ($\beta=-0.258$, $p<0.01$), ქართველებისთვის მართლმადიდებლობის, როგორც დამახასიათებელი ფაქტორის აღქმა ($\beta=-0.138$, $p<0.01$), სალოცავის მიმართ ნდობა ($\beta=0.117$, $p<0.01$), რელიგიური რიტუალების შესრულება ($\beta=0.114$, $p<0.01$) და სალოცავად სიარულის სიხშირე ($\beta=0.138$, $p<0.01$).

განათლებულ ახალგაზრდას, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს, რომელმაც იცის ქართული და რუსული ენები და აღიარებს იმას, რომ საქართველოში ყველა

ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი თანასწორია, არ სჯერა იმისა, რომ რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობის გამო ქართული ენის სწავლა აღარ არის საჭირო, აქვს სალოცავის ნდობა, ასრულებს რელიგიურ რიტუალებს, ხშირად დადის სალოცავად და მართლმადიდებლობას არ აღიქვამს, როგორც ქართველობის დამახასიათებელ ნიშანს, უფრო მიმართავს ინტეგრაციის სტრატეგიას საქართველოში. აღნიშნული ცვლადები აღმოჩნდა ინტეგრაციის სანდო პრედიქტორები და ხსნის ინტეგრაციის 65,6%-ს.

ცხრილი 35 - ინტეგრაციის სტრატეგიის რეგრესიული ანალიზი

	ინტეგრაცია	
	β	p<
ასაკი	-0,133	0,01
განათლება	0,177	0,01
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	0,385	0,01
რუსული ენის ცოდნა	0,09	0,01
ეთნიკური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	0,147	0,01
სამსახურის დაწყების შესაძლებლობის თანასწორობის აღქმა	-0,13	0,01
რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობა	-0,258	0,01
ქართველებისთვის მართლმადიდებლობის, როგორც დამახასიათებელი ფაქტორის აღქმა	-0,138	0,01
სალოცავის მიმართ ნდობა	0,117	0,01
რელიგიური რიტუალების შესრულება	0,114	0,01
სალოცავად სიარულის სიხშირე	0,138	0,01

ინტეგრაციასა და პიროვნულ მახასიათებლებს შორის მრავლობითმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა მცირედი კავშირი ($R^2=.25$, $F(3)=49.799$, $p<0.01$), ინტეგრაციის სტრატეგიის არჩევანი შესაძლებელია მხოლოდ 25%-ით იყოს ახსნილი ისეთი პიროვნული მახასიათებლებით, როგორცაა კონტროლის ლოკუსი ($\beta=-0.317$, $p<0.01$), თვითშეფასება ($\beta=0.416$, $p<0.01$) და ოპტიმიზმი ($\beta=-0.226$, $p<0.01$). კონტროლის შინაგანი ლოკუსის, მაღალი თვითშეფასებისა და დაბალი ოპტიმიზმის მქონე ეთნიკური უმცირესობები უფრო ინტეგრირებულნი არიან ქართულ გარემოში. მონაცემების ანალიზმა ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის არ გამოკვეთა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორები, თუმცა ეთნიკურად სომხებისთვის ინტეგრაციის მაჩვენებლის წინასწარმეტყველება ($R^2=.41$, $F(4)=35.583$, $p<0.01$)

შესაძლებელია ისეთი პიროვნული ფაქტორებით, როგორცაა კონტროლის ლოკუსი ($\beta=-0.262$, $p<0.01$), ოპტიმიზმი ($\beta=-0.318$, $p<0.01$), ნდობა ($\beta=-0.191$, $p<0.01$) და თვითშეფასება ($\beta=0.51$, $p<0.01$). ინტეგრაციის მაღალი მაჩვენებლის წინასწარმეტყველება 41%-ით არის შესაძლებელი შინაგანი ლოკუსით, დაბალი ოპტიმიზმის მაჩვენებლით, მაღალი თვითშეფასებითა და დამატებით დაბალი ნდობის მაჩვენებლით.

საინტერესოა, რომ ნდობის მაჩვენებელი აღმოჩნდა უარყოფითი პრედიქტორი ინტეგრაციისთვის - რაც უფრო იზრდება ნდობის მაჩვენებელი, მით უფრო კლებულობს ინტეგრაცია. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ნდობის სკალაზე დებულებების შეფასებისას, რესპონდენტები განიხილავდნენ მათი მშობლიური კულტურის მიმართ ნდობას და აქედან გამომდინარე, რაც უფრო იკლებს მშობლიური კულტურის მიმართ ნდობის მაჩვენებელი, მით უფრო იმატებს სურვილი მასპინძელ კულტურასთან ინტეგრაციის.

ცხრილი 36 - ინტეგრაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი (პიროვნული მახასიათებლები) ეთნიკურად სომხებისთვის

	ინტეგრაცია	
	β	$p<$
კონტროლის ლოკუსი	-0,262	0,01
ოპტიმიზმი	-0.318	0,01
ნდობა	-0.191	0,01
თვითშეფასება	0,51	0,01

რაც შეეხება სხვა ფაქტორებს, ეთნიკურად სომხებისთვის, ინტეგრაციის მაჩვენებლის წინასწარმეტყველება ($R^2=.926$, $F(10)=248.829$, $p<0.01$) შესაძლებელია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ასაკი ($\beta=-0.208$, $p<0.01$), სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=0.361$, $p<0.01$), ქალების აქტიური ჩართულობის აღქმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ($\beta=0.243$, $p<0.01$), ეთნიკური ($\beta=0.545$, $p<0.01$) და რელიგიური ($\beta=-0.571$, $p<0.01$) ჯგუფების თანასწორობის აღქმა, რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობის აღქმა ($\beta=-0.297$, $p<0.01$) სალოცავის ($\beta=0.138$, $p<0.01$), პრეზიდენტის ($\beta=-0.185$, $p<0.01$), სახალხო დამცველისა ($\beta=-0.187$, $p<0.01$) და არასამთავრობო ორგანიზაციების ($\beta=0.277$, $p<0.01$) მიმართ ნდობის მაჩვენებელი. ახალგაზრდა ეთნიკურად სომეხი, რომელმაც

იცის ქართული ენა, აღიარებს ქალების აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თანასწორობას, აქვს ნდობა სალოცავისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, არ ენდობა პრეზიდენტსა და სახალხო დამცველს, ასევე არ აღიარებს რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობას კომუნიკაციისთვის, არის უფრო ინტეგრირებული ქართულ გარემოში.

ცხრილი 37 - ეთნიკურად სომხების ინტეგრაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი

	ინტეგრაცია	
	β	p<
ასაკი	-0,208	0,01
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	0,361	0,01
ქალების აქტიური ჩართულობის აღქმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში	0,243	0,01
ეთნიკური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	0,545	0,01
რელიგიური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	-0,571	0,01
რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობის აღქმა	-0,297	0,01
სალოცავის ნდობა	0,138	0,01
პრეზიდენტის ნდობა	-0,185	0,01
სახალხო დამცველისა ნდობა	0,187	0,01
არასამთავრობო ორგანიზაციების ნდობა	0,277	0,01

ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის კი, მხოლოდ რამდენიმე ფაქტორთან დასტურდება წრფივი მრავლობითი რეგრესიული კავშირები ($R^2=.314$, $F(3)=36.392$, $p<0.01$) - ქართული ენის ცოდნა ($\beta=0.323$, $p<0.01$), რელიგიური ჯგუფების თანასწორობის აღქმა ($\beta=0.256$, $p<0.01$) და განათლება ($\beta=0.228$, $p<0.01$). განათლების მაღალ საფეხურზე მდგომი, ქართული ენის მცოდნე აზერბაიჯანელი, რომელიც აღიარებს რელიგიური ჯგუფების თანასწორობას, უფრო ინტეგრირებულია ქართულ გარემოში.

ცხრილი 38 - ინტეგრაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის

	ინტეგრაცია	
	β	p<
ქართული ენის ცოდნა	0,323	0,01
რელიგიური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	0,256	0,01
განათლება	0,228	0,01

რაც შეეხება ასიმილაციას, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წრფივი მრავლობითი რეგრესიები დასტურდება ($R^2=0.528$, $F(9)=55.043$, $p<0.01$) შემდეგ ფაქტორებთან: ასაკი ($\beta=-0.295$, $p<0.01$), სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=0.422$, $p<0.01$), რუსული ენის ცოდნა ($\beta=0.112$, $p<0.01$), ეთნიკური ჯგუფების თანასწორობა ($\beta=0.148$, $p<0.01$), სამსახურის დაწყების თანაბარი შესაძლებლობები ($\beta=-0.227$, $p<0.01$), სალოცავისა ($\beta=0.152$, $p<0.01$) და მთავრობის ($\beta=-0.128$, $p<0.01$) მიმართ ნდობა, რელიგიური რიტუალების შესრულება ($\beta=0.101$, $p<0.01$) და ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობა სამსახურის დაწყებისთვის ($\beta=-0.273$, $p<0.01$).

ახალგაზრდა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელმაც იცის ქართული ენა, აღიარებს ეთნიკური ჯგუფების თანასწორობას, ასრულებს რელიგიურ რიტუალებს და ამასთანავე, არ ეთანხმება ფაქტს, რომ სამსახურის დაწყების შესაძლებლობა ყველასთვის თანაბარია და ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვანია სამსახურის დაწყებისთვის, ენდობა სალოცავს და არ ენდობა მთავრობას, უფრო მეტად ასიმილაციის სტრატეგიას მიმართავს.

ცხრილი 39 - ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი

	ასიმილაცია	
	β	$p<$
ასაკი	-0,295	0,01
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	0,422	0,01
რუსული ენის ცოდნა	0,112	0,01
ეთნიკური ჯგუფების თანასწორობა	0,148	0,01
სამსახურის დაწყების თანაბარი შესაძლებლობები	-0,227	0,01
სალოცავის ნდობა	0,152	0,01
მთავრობის ნდობა	-0,128	0,01
რელიგიური რიტუალების შესრულება	0,101	0,01
ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობა სამსახურის დაწყებისთვის	-0,273	0,01

როგორც ინტეგრაციის შემთხვევაში, ასიმილაციასა და პიროვნულ მახასიათებლებს შორის მრავლობითმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა მცირედი კავშირი ($R^2=0.212$, $F(4)=29.986$, $p<0.01$). ასიმილაციის სტრატეგიის არჩევანი შესაძლებელია მხოლოდ 21,2%-ით იყოს ახსნილი ისეთი პიროვნული მახასიათებლებით, როგორცაა

მარტობა ($\beta=0.427$, $p<0.01$), კონტროლის ლოკუსი ($\beta=-0.322$, $p<0.01$), თვითშეფასება ($\beta=0.164$, $p<0.01$) და ნდობა ($\beta=0.128$, $p<0.01$). მარტობის მაღალი მაჩვენებელი, კონტროლის შინაგანი ლოკუსი, ნდობა და მაღალი თვითშეფასება შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც ასიმილაციის პრედიქტორები.

ცხრილი 40 - ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით

	ასიმილაცია	
	β	p<
მარტობა	0,427	0,01
კონტროლის ლოკუსი	-0,322	0,01
თვითშეფასება	0,164	0,01
ნდობა	0,128	0,01

მონაცემთა ანალიზმა ეთნოსების მიხედვით აჩვენა, რომ ასიმილაციასთან მიმართებაში ეთნიკურად სომხებისთვის 46,7%-ით პრედიქტორი ფაქტორებია ($R^2=.467$, $F(3)=60.088$, $p<0.01$): კონტროლის ლოკუსი ($\beta=-0.396$, $p<0.01$), თვითშეფასება ($\beta=0.386$, $p<0.01$) და მარტობა ($\beta=0.477$, $p<0.01$), ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის - პიროვნული მახასიათებლები არ წარმოადგენს ასიმილაციის პრედიქტორ ფაქტორებს. ეთნიკურად სომეხი, რომელსაც აქვს შინაგანი კონტროლის ლოკუსი, მაღალი თვითშეფასება და მარტობის მაღალი მაჩვენებელი, უფრო ასიმილაციის სტრატეგიას მიმართავს.

ცხრილი 41 - ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით ეთნიკურად სომხებისთვის

	ასიმილაცია	
	β	p<
მარტობა	0,477	0,01
კონტროლის ლოკუსი	-0,396	0,01
თვითშეფასება	0,386	0,01

ეთნოსების მიხედვით მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკურად სომხებისთვის ასიმილაციის პრედიქტორ ფაქტორებად წრფივი მრავლობითი რეგრესიული ანალიზის შედეგად ($R^2=.854$, $F(7)=169.365$, $p<0.01$), შეგვიძლია მივიჩნიოთ სახელმწიფო

ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=0.278$, $p<0.01$), რუსული ენის კომუნიკაციისთვის გამოყენების შესაძლებლობის აღქმა ($\beta=-0.407$, $p<0.01$), რელიგიის მნიშვნელობა ($\beta=0.166$, $p<0.01$) და სალოცავის ($\beta=0.248$, $p<0.01$), მთავრობისა ($\beta=-0.488$, $p<0.01$) და პრეზიდენტის ($\beta=-0.103$, $p<0.01$) მიმართ ნდობა. ეთნიკურად სომეხმა, რომელმაც იცის ქართული, აღიარებს რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობას კომუნიკაციისთვის, ენდობა სალოცავს და მისთვის მნიშვნელოვანია რელიგია, მაგრამ ამავდროულად, არ ენდობა მთავრობას, უფრო მეტად ასიმილაციის სტრატეგიას მიმართავს.

ცხრილი 42 - ეთნიკურად სომხებისთვის ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი

	ასიმილაცია	
	β	$p<$
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	0,278	0,01
რუსული ენის კომუნიკაციისთვის გამოყენების შესაძლებლობის აღქმა	-0,407	0,01
რელიგიის მნიშვნელობა	0,166	0,01
სალოცავის ნდობა	0,248	0,01
მთავრობის ნდობა	-0,488	0,01
პრეზიდენტის ნდობა	0,103	0,01

ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის კი გამოიკვეთა შემდეგი პრედიქტორები ($R^2=.366$, $F(5)=27.229$, $p<0.01$) – სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=0.397$, $p<0.01$), რელიგიური ჯგუფების თანასწორობის აღქმა ($\beta=0.19$, $p<0.01$), ქართული ენის აუცილებლობის შეფასება სამსახურის დაწყებისთვის ($\beta=-0.362$, $p<0.01$), რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობის შეფასება ($\beta=0.191$, $p<0.01$) და მართმადიდებლობის, როგორც ქართველობის დამახასიათებელი თვისების აღქმა ($\beta=-0.137$, $p<0.01$). ეთნიკურად აზერბაიჯანელი, რომელმაც იცის ქართული ენა, აღიარებს რელიგიური ჯგუფების თანასწორობას, თუმცა მიაჩნია, რომ რუსული ენის გამოყენება შესაძლებელია საქართველოში და არ ეთანხმება, რომ სამსახურის დაწყებისთვის მნიშვნელოვანია ქართული ენის ცოდნა, ან ქართველობა მოიცავს მართმადიდებლობას, უფრო მეტად ასიმილაციის სტრატეგიას ირჩევს.

ცხრილი 43 - ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის ასიმილაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი

	ასიმილაცია	
	β	p<
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	0,397	0,01
რელიგიური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	0,19	0,01
ქართული ენის აუცილებლობის შეფასება სამსახურის დაწყებისთვის	-0,362	0,01
რუსული ენის გამოყენების შესაძლებლობის შეფასება	0,191	0,01
მართმადიდებლობის, როგორც ქართველობის დამახასიათებელი თვისების აღქმა	-0,137	0,01

სეპარაციასთან მიმართებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი წრფივი მრავლობითი რეგრესიები ($R^2=.484$, $F(7)=59.461$, $p<0.01$) დაფიქსირდა შემდეგ მაჩვენებლებთან მიმართებაში: ასაკი ($\beta=0.254$, $p<0.01$), განათლება ($\beta=-0.13$, $p<0.01$), სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=-0.359$, $p<0.01$), მართმადიდებლობის, როგორც ქართველობისთვის დამახასიათებელი ფაქტორის აღქმა ($\beta=0.303$, $p<0.01$), გამგეობის/მერიისა ($\beta=0.214$, $p<0.01$) და პარლამენტის ($\beta=-0.18$, $p<0.01$) მიმართ ნდობა და მატერიალური მდგომარეობა ($\beta=0.219$, $p<0.01$). უფროსი ასაკის, მაღალი მატერიალური მდგომარეობის, დაბალი განათლების საფეხურის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელმაც არ იცის ქართული ენა, აღიქვამს მართმადიდებლობას, როგორც ქართველობისთვის დამახასიათებელ ნიშანს, ენდობა გამგეობას/მერიას და არ ენდობა პარლამენტს, უფრო მეტად სეპარაციის სტრატეგიას მიმართავს.

ცხრილი 44 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი

	სეპარაცია	
	β	p<
ასაკი	0,254	0,01
განათლება	-0,13	0,01
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	-0,359	0,01
მართმადიდებლობის, როგორც ქართველობისთვის დამახასიათებელი ფაქტორის აღქმა	-0,303	0,01
გამგეობის/მერიის ნდობა	0,214	0,01
პარლამენტის ნდობა	-0,18	0,01
მატერიალური მდგომარეობა	0,219	0,01

სეპარაციასთან მიმართებაში უფრო დაბალი პროცენტული მაჩვენებლით არის შესაძლებელი პრედიქტორ ფაქტორებად გამოვკვეთოთ პიროვნული მახასიათებლები ($R^2=.173$, $F(4)=23.364$, $p<0.01$). 17.3%-ით შესაძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ სეპარაციის სტრატეგიის არჩევა ისეთი მახასიათებლებით, როგორცაა: კონტროლის ლოკუსი ($\beta=0.248$, $p<0.01$), თვითშეფასება ($\beta=-0.203$, $p<0.01$), ოპტიმიზმი ($\beta=0.288$, $p<0.01$) და ნდობა ($\beta=0.173$, $p<0.01$). სეპარაციის სტრატეგიას მიმართავენ გარეგანი კონტროლის ლოკუსის, დაბალი თვითშეფასების, მაღალი ოპტიმიზმისა და ნდობის მაჩვენებლების მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

ცხრილი 45 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით

	სეპარაცია	
	β	p<
კონტროლის ლოკუსი	0,248	0,01
თვითშეფასება	-0,203	0,01
ოპტიმიზმი	0,288	0,01
ნდობა	0,173	0,01

ეთნოსების მიხედვით მონაცემების დამუშავებისას იკვეთება მსგავსი ტენდენციები მხოლოდ ეთნიკურად სომხებისთვის და იზრდება პრედიქტორული პროცენტული წილიც - 44,3% ($R^2=.443$, $F(4)=40.838$, $p<0.01$), შემდეგ ფაქტორებთან მიმართებაში: კონტროლის ლოკუსი ($\beta=0.335$, $p<0.01$), ოპტიმიზმი ($\beta=0.267$, $p<0.01$), ნდობა ($\beta=0.287$, $p<0.01$) და თვითშეფასება ($\beta=-0.417$, $p<0.01$), ხოლო ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი რეგრესიული კავშირები.

ცხრილი 46 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი პიროვნული მახასიათებლების მიხედვით ეთნიკურად სომხებისთვის

	სეპარაცია	
	β	p<
კონტროლის ლოკუსი	0,335	0,01
თვითშეფასება	-0,417	0,01
ოპტიმიზმი	0,267	0,01
ნდობა	0,287	0,01

ეთნიკურად სომხებისთვის სეპარაციის სტრატეგიის არჩევანის წინასწარმეტყველება ($R^2=.879$, $F(9)=161.375$, $p<0.01$) შესაძლებელია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ასაკი ($\beta=0.263$, $p<0.01$), სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა ($\beta=-0.394$, $p<0.01$), ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის აღქმა ($\beta=-0.344$, $p<0.01$), ეთნიკური ($\beta=-0.704$, $p<0.01$) და რელიგიური ($\beta=0.569$, $p<0.01$) ჯგუფების თანასწორობის აღქმა, სამსახურის დაწყების შესაძლებლობების თანასწორობის აღქმა ($\beta=0.342$, $p<0.01$), ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობის შეფასება სამსახურის დაწყებისთვის ($\beta=-0.131$, $p<0.01$), ქართველობის მართმადიდებლობასთან გაიგივებისა ($\beta=0.214$, $p<0.01$) და რელიგიური რიტუალების შესრულებით ($\beta=0.108$, $p<0.01$).

ცხრილი 47 - სეპარაციის სტრატეგიის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად სომხებისთვის

	სეპარაცია	
	β	$p<$
ასაკი	0,263	0,01
სახელმწიფო ენის (ქართული) ცოდნა	-0,394	0,01
ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის აღქმა	-0,344	0,01
ეთნიკური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	-0,704	0,01
რელიგიური ჯგუფების თანასწორობის აღქმა	0,569	0,01
სამსახურის დაწყების შესაძლებლობების თანასწორობის აღქმა	0,342	0,01
ქართული ენის ცოდნის მნიშვნელობის შეფასება სამსახურის დაწყებისთვის	-0,131	0,01
ქართველობის მართმადიდებლობასთან გაიგივება	0,214	0,01
რელიგიური რიტუალების შესრულება	0,108	0,01

ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის კი, შესაძლებელია სეპარაციის სტრატეგიის არჩევის 15%-ით წინასწარმეტყველება ($R^2=.15$, $F(4)=10.485$, $p<0.01$) შემდეგი ფაქტორებით - მეზობლებისა ($\beta=-0.262$, $p<0.01$) და ნათესავების ($\beta=0.356$, $p<0.01$) ჯგუფის წევრობის მნიშვნელობის შეფასება, გამგეობის/მერიის მიმართ ნდობა ($\beta=0.267$, $p<0.01$) და მატერიალური მდგომარეობა ($\beta=0.237$, $p<0.01$).

ცხრილი 48 - სეპარაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის

	სეპარაცია	
	β	p<
მეზობლების ჯგუფის წევრობის მნიშვნელობის შეფასება	-0,262	0,01
ნათესავების ჯგუფის წევრობის მნიშვნელობის შეფასება	0,356	0,01
გამგეობის/მერიის მიმართ ნდობა	0,267	0,01
მატერიალური მდგომარეობა	0,237	0,01

რაც შეეხება მარგინალიზაციას, წრფივმა მრავლობითმა რეგრესიულმა ანალიზმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები დააფიქსირა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების პიროვნულ მახასიათებლებთან მიმართებაში ($R^2=.46$, $F(3)=127.357$, $p<0.01$). ეს მახასიათებლებია - მარტობა ($\beta=0.501$, $p<0.01$), კონტროლის ლოკუსი ($\beta=0.236$, $p<0.01$) და თვითშეფასება ($\beta=-0.148$, $p<0.01$).

ცხრილი 49 - მარგინალიზაციის მაჩვენებლის რეგრესიული ანალიზი

	მარგინალიზაცია	
	β	p<
მარტობა	0,501	0,01
კონტროლის ლოკუსი	0,236	0,01
თვითშეფასება	-0,148	0,01

ეთნიკურად სომხებისთვის კი, მარგინალიზაციის პრედიქტორებია ($R^2=.694$, $F(2)=235.246$, $p<0.01$) მარტობის მაჩვენებელი ($\beta=0.546$, $p<0.01$) და კონტროლის ლოკუსი ($\beta=0.521$, $p<0.01$).

მიუხედავად იმისა, რომ მარგინალიზაციასთან მიმართებაში არ გამოიყო წრფივი მრავლობითი რეგრესიული ანალიზით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორები, მონაცემთა ანალიზმა ეროვნებების მიხედვით აჩვენა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზით არ იკვეთება პრედიქტორი ფაქტორები და იკვეთება ეთნიკურად სომხებისთვის.

ეთნიკურად სომხებისთვის მარგინალიზაციის პრედიქტორ ფაქტორებად ($R^2=.841$, $F(9)=117.896$, $p<0.01$) გამოიკვეთა ასაკი ($\beta=0.452$, $p<0.01$), მეგობრების ($\beta=-0.302$, $p<0.01$),

